

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლა

# როგორ ავამაღლოთ სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის 4<sup>ა</sup> კლასის მოსწავლეებში მათემატიკის სწავლის მოტივაცია

*„ყოველ არჩევანს უთუოდ აქვს რაიმე საფუძველი, და ნებელობის შემთხვევაში ასეთ საფუძველს  
მოტივი წარმოადგენს“ დ. უზნაძე*



პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის  
ანგარიში

ავტორი: სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო  
სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ლია შოთაძე

2019

როგორც წარმოდგენილი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

---

ლია შოთაძე 18/06/2019

## მადლობა

---

კვლევაში მონაწილეობისთვის მადლობას ვუხდით სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის 4<sup>ა</sup> კლასის მოსწავლეებს, მათ შობლებს, 4<sup>ა</sup> კლასის საგნებისა და დაწყებითი საფეხურის (I-IV) მათემატიკის მასწავლებლებს. ასევე, კვლევის ანგარიშის გაცნობისა და გაზიარების ინტერესისათვის მადლიერება მინდა გამოვხატო დაწყებითი საფეხურისა (I-VI) და მათემატიკის კათედრის წარმომადგენლების მიმართ.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის 5<sup>ა</sup> კლასის მოსწავლე ანანო სალთხუციშვილს ისტ უნარების მაღალ დონეზე ფლობისათვის და ანკეტირების მონაცემების თვალსაჩინო წარმოდგენაში დახმარებისათვის.

თავი 1. შესავალი -----	6
<b>თავი 2. საკვლევი საკითხის მიმოხილვა</b>	
2.1. პრობლემის აღწერა -----	8
2.2. კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვები -----	12
2.2.1. კვლევის მიზანი -----	12
2.2.2. მთავარი საკვლევი შეკითხვა -----	12
2.2.3. კვლევის კითხვები/ამოცანები -----	12
<b>თავი 3. ლიტერატურის მიმოხილვა</b> -----	13
3.1. მოტივაცია და ზოგადსაგანმანათლებლო მიდგომა -----	14
3.2. რა არის მოტივაცია -----	15
3.3. მოტივაციის ტიპები -----	17
3.4. მოტივაციაზე მოქმედი შიდა საკოლო და სხვა ფაქტორები -----	20
3.4.1. ასაკობრივი და მორალური განვითარების თავისებურებები -----	20
3.4.2. მოთხოვნილებები და მრავალმხრივი ინტელექტი -----	26
3.4.3. TIMSS -ის ფაქტორები -----	29
3.4.4. საკლასო გარემო, რომელიც ზრდის მოტივაციას -----	31
3.5. კავშირი მოტივაციას, ჩართულობასა და აკადემიურ მიღწევებს შორის -----	38
3.6. მათემატიკის სწავლების კონსტრუქტივის ტული მიდგომა -----	46
<b>თავი 4. კვლევის განხორციელების გეგმა</b> -----	50
<b>თავი 5. კვლევის ინსტრუმენტები და შერჩევის სტრატეგია</b> -----	51
5.1. თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტები -----	52
5.2. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები -----	53
<b>თავი 6. შეგროვებულ მონაცემთა ანალიზი და კვლევის შედეგები</b> -----	54
6.1. ფოკუს ჯგუფის შედეგები -----	54
6.1.1. ფოკუს ჯგუფი მასწავლებლებთან -----	54
6.1.2. ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან -----	57
6.2. პირისპირ/ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგები -----	59
6.3. რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის შედეგები -----	61
6.3.1. მშობელთა გამოკითხვის შედეგები -----	62
6.3.2. მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები -----	68
6.4. მონაცემთა ანალიზის ძირითადი მიგნებები და დასკვნები -----	76

<b>თავი 7. ინტერვენცია</b> -----	<b>77</b>
7.1. სწავლების გამრავალფეროვნება - სწავლების დროს მრავალფეროვანი მეთოდების/აქტივობების გამოყენება დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებით-----	<b>78</b>
7.1.1. დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტის „სასწავლო გაჩერებები“ გამოყენება -----	<b>79</b>
7.1.2. ჯგუფური პროექტებით სწავლება-----	<b>81</b>
7.1.3. თამაში კონკურენციის გარეშე-----	<b>82</b>
7.1.4. რუბრიკა „სახალისო წუთი“-----	<b>84</b>
7.1.5. რუბრიკა „სასაუბრო თემა“-----	<b>84</b>
7.1.6. გასვლითი გაკვეთილი (ხარჯთაღრიცხვა)-----	<b>85</b>
7.1.7. ვიდეოსწავლება, როგორც საშინაო დავალება-----	<b>86</b>
7.2. მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლება და გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართულობა -----	<b>87</b>
7.2.1. აქტივობა „მე ვირჩევ“ -----	<b>88</b>
7.2.2. ინსტრუმენტი „სასწავლო მენიუ“-----	<b>89</b>
7.2.3. „ბონუს“ ქულების მინიჭების კრიტერიუმების შემუშავება -----	<b>90</b>
7.3. მოსწავლის აღიარებისა და წახალისების „ბონუს“ ქულების სისტემის დანერგვა -----	<b>91</b>
<b>თავი 8. ინტერვენციის შეფასება</b> -----	<b>93</b>
8.1. ინტერვენციის შეფასება - გაკვეთილზე დაკვირვება-----	<b>93</b>
8.2. ინტერვენციის შეფასება - ფოკუს ჯგუფი მშობლებთან -----	<b>95</b>
8.3. ინტერვენციის შეფასება - სტანდარტიზებული ჩარმავებული ინტერვიუ მოსწავლეებთან -----	<b>96</b>
8.4. ინტერვენციის შეფასება - მოსწავლეთა ანკეტირება -----	<b>97</b>
<b>თავი 9. დასკვნა</b> -----	<b>101</b>
<b>თავი 10. რეკომენდაციები</b> -----	<b>104</b>

**კვლევის ანგარიშში გამოყენებული სქემები/ცხრილები/დიაგრამები**

სქემა N1. მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებელი მოდელი -----	<b>35</b>
ცხრილი N1. კვლევის განხორციელების გეგმა -----	<b>51</b>
დიაგრამა N1. მშობელთა ანკეტირების კითხვარის კითხვა N1-----	<b>63</b>
დიაგრამა N2. მშობელთა ანკეტირების კითხვარის კითხვა N2 -----	<b>64</b>

დიაგრამა N3. მშობელთა ანკეტირების კითხვარის კითხვა N8 -----	66
დიაგრამა N4. მოსწავლის ანკეტირების კითხვა N1 -----	68
დიაგრამა N5. მოსწავლის ანკეტირების კითხვა N2 -----	69
ცხრილი N2. მოსწავლის ანკეტირების კითხვა N5 -----	70
დიაგრამა N6. მოსწავლის ანკეტირების კითხვა N7 -----	71
დიაგრამა N7. მოსწავლის ანკეტირების კითხვა N3 -----	73
დიაგრამა N8. ინტერვენციის შეფასების მოსწავლის კითხვარის კითხვა N1 -----	98
ცხრილი N3. შედარებითი ანალიზის შედეგები, კითხვა N6 -----	100
დიაგრამა N9. ინტერვენციის შეფასების მოსწავლის კითხვარი, კითხვა N10 -----	101

### **დანართები**

დანართი N1. კვლევის ჩატარების თანხმობის ფორმა -----	107
დანართი N2. სადისკუსიო გეგმა მასწავლებლებთან ფოკუს ჯგუფისთვის -----	108
დანართი N3. სადისკუსიო გეგმა მოსწავლეთა ფოკუს ჯგუფისთვის -----	109
დანართი N4. კითხვარი მასწავლებლებთან ინტერვიუსთვის -----	110
დანართი N5. კითხვარი მშობელთა ანკეტირებისათვის -----	111
დანართი N6. კითხვარი მოსწავლეთა ანკეტირებისთვის -----	115
დანართი N7. ინტერვენციის შეფასების გაკვეთილზე დაკვირვების გეგმა -----	119
დანართი N8. ინტერვენციის შეფასების სადისკუსიო გეგმა მშობლებთან ფოკუს ჯგუფისათვის -----	121
დანართი N9 ინტერვენციის შეფასების კითხვარი მოსწავლეთა ანკეტირებისთვის -----	122
დანართი N10 დიაგრამები მშობელთა გამოკითხვისათვის -----	124
დანართი N11 დიაგრამები მოსწავლეთა გამოკითხვისათვის -----	128
დანართი N12 ინტერვენციის შეფასების დიაგრამები მოსწავლეთა გამოკითხვისათვის -----	133

გამოყენებული ლიტერატურა (ბიბლიოგრაფია) -----	137
--	-----

რეფლექსია -----	142
-----------------	-----

## თავი 1. შესავალი

მაღალი მოტივაცია მაღალი აკადემიური მოსწრების საწინდარია. სწავლების დაწყებით საფეხურზე (I-III კლასი) მოსწავლეთა სწავლის ინტერესი, ცნობისმოყვარეობა და ჩართულობა ბუნებრივად მაღალია, თუმცა IV კლასიდან შეიმჩნევა მათი მოტივაციის დაქვეითებისა და აკადემიური მიღწევების მხრივ გარკვეული პრობლემები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოსწავლეებში ავამაღლოთ და განვაფართოოთ მათემატიკის სწავლის მოტივაცია, რათა დავეხმაროთ მათ პიროვნული ინტერესების, სპეციფიკური საგნობრივი საჭიროებების დაკმაყოფილებასა და მიზნების მიღწევაში მათემატიკური კომპეტენციების უკეთ დაუფლებისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით.

წინამდებარე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა იმაზეა, თუ რა მიზეზები იწვევს მე-4 კლასის მოსწავლეთა მოტივაციის დაქვეითებას და რა ღონისძიებები უნდა გავატაროთ მისი ამაღლებისთვის.

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლა მდებარეობს ქვემო ქართლის რეგიონის გარდაბნის მუნიციპალიტეტის ისტორიულ სოფელ მარტყოფში, სადაც ულამაზესი ბუნება, მრავალი ღირშესანიშნაობა და ისტორიული ძეგლია. სოფელი განთქმულია ჭიდაობის სპორტის სახეობებში მოასპარეზე ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონებით. ბავშვობის ასაკიდან ჭაბუკი მოზარდების უმრავლესობა დაკავებულია სპორტის აღნიშნული და სხვა სახეობებით და მომავალ პროფესიასაც, ძირითადად, სპორტს უკავშირებს. სოფლის მოსახლეობა ქართულენოვანია და საკამოდ სტუმართმოყვარე.

აღნიშნულ სკოლაში, მათემატიკის მასწავლებლად ვმუშაობ 2008 წლიდან, ხოლო სკოლის დირექტორად 2015 წლიდან. 2019 წლის მაისის თვის მონაცემებით, სკოლაში სწავლობს 592 მოსწავლე, მუშაობს 55 მასწავლებელი, რომელთაგან 32-ს მინიჭებული აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ხოლო 1 მენტორი მასწავლებელია. 2018-2019 სასწავლო წელს სკოლის 12-მა „უფროსმა“ პედაგოგმა, მასწავლებელთა პროფესიული ზრდის სქემის ფარგლებში გაიარა „გარე დაკვირვება“ და „წამყვანი“ მასწავლებლის სტატუსის მოლოდინშია, ხოლო 3 პრაქტიკოსი მასწავლებელი - „უფროსის“. სკოლა აღჭურვილია კომპიუტერული ლაბორატორიითა და ინტერნეტით. სკოლას აქვს მოსწავლეთა სწავლებითვის ყველა საჭირო რესურსი და მისი მისიაა - მოსწავლის აღჭურვა თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი ზოგადი ცოდნითა და უნარ-

ჩვევებით წარმატებული მოქალაქეების აღსაზრდისათვის. სკოლის მოსწავლეები ჩართული არიან შიდა სასკოლო და გარე სასწავლო, შემოქმედებით და სპორტულ ღონისძიებებში, პროექტებში, კონკურსებსა და ოლიმპიადებში, რომლებშიც მოსწავლეები მონაწილეობენ წარმატებულად. სკოლას ჰყავს საგრანტო პროექტებში გამარჯვებული მოსწავლეები. გასულ სასწავლო წელს სკოლას ყავდა 4 მედალოსანი, წელს კი - 8 მედალოსნობის კანდიდატი.

აღნიშნული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ჩატარდა მათემატიკის საგანის სწავლის მოტივაციის ამაღლების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემით გათვალისწინებული მასწავლებლის სტატუსის ამაღლებისათვის სავალდებულო აქტივობების ფარგლებში. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა აღნიშნული სკოლის 4<sup>ა</sup> კლასის მოსწავლეები, ასევე, მათი მშობლები და მასწავლებლები. 4<sup>ა</sup> კლასში 23 მოსწავლეა, მათგან 1-ს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, რომელის სწავლებაც ხორციელდება შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმითა და ინკლუზიური სწავლების მიდგომებით. კვლევაში მონაწილეობდა კლასის 22 მოსწავლე, მათი 22 მშობელი (სსსმ მოსწავლისა და მისი მშობლის გარდა), დაწყებითი საფეხურის 10 და საკვლევი კლასის 5 საგნის მასწავლებელი.

კვლევა განხორციელდა 2019 წელს და მიმდინარეობდა 5 თვის განმავლობაში. კვლევისას გამოყენებული იქნა, როგორც თვისობრივი, ასევე, რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები. კვლევის მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა მოტივაციის პრობლემის გამომწვევი მიზეზები რამოდენიმე მიმართულებით: მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ნაკლებად მორგებული სწავლების მეთოდები/აქტივობების გამოყენება სწავლებისას, მოსწავლეთა დაბალი ავტონომიურობა და თვითდაჯერებულობა, გარეგანი წახალისების სისტემის არაეფექტურობა. კვლევის შედეგების გათვალისწინებით დაიგეგმა ინტერვენციები აღნიშნული მიმართულებებით, განხორციელდა სწავლების გამრავალფეროვნების, მოსწავლეებისათვის არჩევანის თავისუფლების მინიჭების, თავდაჯერებულობის გაზრდის და ასევე, გარეგანი წახალისების განსხვავებული სტრატეგიის დანერგვის ღონისძიებები, რამაც შესამჩნევი დადებითი შედეგი გამოიღო მოსწავლეთა დაინტერესებისა და ჩართულობის მხრივ და აამაღლა მოსწავლეთა სწავლის მოტივაცია. ინტერვენციების შეფასებისა და ანალიზის შემდგომ შემუშავდა დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებითაც შეიძლება იხელმძღვანელონ აღნიშნული პრობლემებისა და

მახასიათებლების მქონე ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეების კოლეგა მასწავლებლებელმა მსგავს სასწავლო გარემო-პირობებში სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობისათვის.

ნაშრომი შედგება 10 თავისაგან (იხ. სარჩევი), ანგარიშს თან ერთვის ნაშრომში გამოყენებული ცხრილების/დიაგრამების/სქემების ნუსხა და შესაბამისი დანართები, ბიბლიოგრაფია და კვლევის რეფლექსია.

## **თავი 2. საკვლევი საკითხის მიმოხილვა**

### **2.1 პრობლემის აღწერა**

კლასს, რომელსაც ამჟამად მათემატიკას ვასწავლი, ვასწავლიდი, ასევე, მეორე კლასშიც, 2018-2019 სასწავლო წელს აღნიშნული კლასის მოსწავლეები მეოთხე კლასში არიან და ჩემი აზრით, ვასწავლი ისეთივე პასუხისმგებლობითა და მონდომებით როგორც ადრე, თუმცა, წელს ისინი გარკვეული თვალსაზრისით შეიცვალნენ. თითოს ეს ბუნებრივიცაა, ბავშვები იზრდებიან, ეცვლებათ შეხედულებები, განცდები, დამოკიდებულებები, პასუხისმგებლობები, რწმენები, თავს იჩენს მათი ასაკობრივი განვითარების თვისებურებებიც სწავლაში, მაგრამ პრობლემური საკითხები, რომლებმაც მათზე დაკვირვების შედეგად დამაფიქრა, მიმაჩნია, რომ მათ მოტივაციას უკავშირდება.

სასწავლო წლის პირველ სემესტრში შევისწავლეთ მათემატიკის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თემები და ჩვეულებრივ, გავაკეთე სავალდებულო, სემესტრული განავითარებელი წერილობითი კომენტარები ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების მისაღწევი შედეგებისა და ინდიკატორების შესაბამისად. აღნიშნულ პროცესში, ინფორმაციის შეჯამებისას, გამიკვივრდა ის, რომ ჩემი აზრით, ერთნაირი შესაძლებლობების რამოდენიმე მოსწავლეს საკმაოდ განსხვავებული შედეგები ჰქონდა და ეს შედეგები არ იყო საკმარისად სახარბიელო მათი უნარებისათვის. კიდევ ერთხელ გადავაკვლე თვალი ჩანაწერებს, რომლებსაც მოსწავლეების შესახებ სპეციალურ „დღიურში“ ვინიშნავდი, ასევე, სასწავლო პროცესის მიმდინარეობას და შევამჩნიე განსხვავებები მოსწავლეთა სწავლისადმი დამოკიდებულების, მათი დაინტერესებისა და ჩართულობის თვალსაზრისით გასულ (მე-2 კლასი) სასწავლო წელთან შედარებით. ასევე, მეორე სემესტრის დასაწყისში, როდესაც აღნიშნულ კლასში, მასწავლებელთა



პროფესიული განვითარების გარე დაკვირვების აქტივობის გასავლელად, ერთსა და იმავე თემაზე, განსაკუთრებულად საგულდაგულოდ დაგეგმილი ხუთი თანმიმდევრული გაკვეთილი ჩავატარე, ცხადად დავინახე მოსწავლეების მოტივაციისა და ჩართულობის მხრივ დადებითი ცვლილებები, და შესაბამისად, მათი განსაკუთრებულად წარმატებული შედეგები შესასწავლი თემის ფარგლებში, რაც დამეხმარა მეტი ყურადღება გამამახვილებინა სწავლა-სწავლების ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: ნათელი და კონკრეტული სასწავლო მიზნები, ცნობისმოყვარეობის გამოწვევა, მრავალფეროვანი აქტივობები და სასწავლო რესურსები, დიფერენცირებული დავალებები, პოზიტიური უკუკავშირი, დროის მართვა, მოსწავლეთა ჩართულობა, თვითშეფასება, ჩემი მოტივაცია და თავდაჯერებულობა და სხვა, მეტად დავფიქრებულებიყავი მათ როლზე მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლების თვალსაზრისით.

უკეთ გავიაზრე სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მოქმედებები და ქცევები ამ მიმართულებით და გამოვკვეთე რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი: ერთნაირი შესაძლებლობისა და უნარების მქონე მოსწავლეებიდან, ზოგიერთი, ხალისით ასრულებდა ყველა საკლასო დავალებას სირთულის მიუხედავად, ხოლო ზოგიერთი მოსწავლე პირველივე მცდელობის შემდეგ თავს ანებებდა ან გულგრილად ეკიდებოდა დავალების შესრულებას, იმ მიზეზით, რომ დავალება რთულია, ვერ შეძლებდა თავის გართმევას და არ ითხოვდა დახმარებას. აგრეთვე, მოსწავლეთა ნაწილი გაკვეთილის მეორე ან მესამე ფაზაში ვეღარ ახერხებდა აქტიურად ჩართვას აქტივობებში, იყო პასიური, ინდიფერენტული, უყურადღებო და ითხოვდა გარეთ გასვლას ან იყურებოდა საათისკენ ზარის დარეკვის მოლოდინში. კლასში, ასევე, არის მოსწავლეთა ჯგუფი, რომელიც აქტიურად ერთვება აქტივობებში, თუმცა ასეთ მოსწავლეებშიც კი შეინიშნებოდა, რომ ზოგიერთ მათგანს ჩართულობისთვის ესაჭიროებოდა ხშირი შექება და აღიარება, ხოლო ნაწილი, ჩემი წამახალისებელი შეფასების მიუხედავად, სიამოვნებით ასრულებდა საკლასო და დამატებით დავალებებს. ხშირად, მეოთხე-მეხუთე გაკვეთილზე, კლასის მოსწავლეთა ნაწილთან მჭირდებოდა დიდი ძალისხმევა, რომ მომეკრიბა მათი ყურადღება და ჩართულებიყვნენ საკლასო აქტივობებში, როცა რამოდენიმე მოსწავლე დადლილობის მიუხედავად მაინც აგრძელებდა მუშაობას ხალისით. მოსწავლეთა ნაწილი, რომელთა საშინაო დავალებები არ იყო სრულყოფილი, ღიზიანდებოდა საშინაო დავალების ხარისხიანად (მხოლოდ პასუხებიანი დავალებები) შეუსრულებლობის გამო დაწესებულ დამატებით მუშაობასთან დაკავშირებით და ასეთ

მოსწავლეებს არ მოწონდათ დამოუკიდებლად მუშაობა და თვითშეფასების რუბრიკის შევსება, მაშინ როდესაც, ზოგიერთი მოსწავლე საშინაო დავალებას დამოუკიდებლად უმკლავდებოდა ხარისხიანად, კლასშივე ასწრებდა დამხმარე სახელმძღვანელოდან დამატებით სავარჯიშოების შესრულებას და ამყობდა საკუთარი თავდაჯერებულობით ცოდნასა და უნარებში. კლასში, იყო შემთხვევები, როცა წარმატებული მოსწავლეები უარს აცხადებდნენ ჯგუფურად დავალების შესრულებაზე და ითხოვდნენ დამოუკიდებლად მუშაობას, ინდივიდუალური მაღალი შეფასების მოლოდინით და ასევე, სხვა შემთხვევები, როდესაც ჯგუფის წევრებს არ სურდათ წარმატებული მოსწავლე ყოფილიყო მათ ჯგუფში, იმ მიზეზით, რომ ვეღარ ერთვებოდნენ სრულფასოვნად მისი ზედმეტი აქტიურობის გამო. არჩევანის მიცემისას, მოსწავლეთა ნაწილი ირჩევდა მხოლოდ ადვილ დავალებებს, რამოდენიმე მოსწავლეს თითქოს დრო გაყავდა, არ ერთვებოდა და ზარმაცობდა კლასში დამოუკიდებლად მუშაობისას, გამოხატავდა იმედგაცრუებას და ამბობდა, რომ მაინც ვერ ამოხსნის ორ ან სამ მოქმედებიან ამოცანას, რადგან არა აქვს ამის ნიჭი. რამოდენიმე მოსწავლემ თამაშის აქტივობისას თქვა, რომ მოსწონს თამაში, ოღონდ მაშინ, როცა არ იქნება გამოვლენილი გამარჯვებული გუნდი, ხოლო ზოგიერთებს უხაროდათ აღნიშნული აქტივობა სწორედ გამარჯვების მიღწევის სურვილის გამო. იმ მოსწავლეებში, რომლებსაც არ ჰქონდათ შეჯიბრობითობის პირობებში თამაშის ტიპის აქტივობებში ჩართვის სურვილი, მიზნის მიუღწევლობისა და წაგების შიში იწვევდა გარკვეულ ბოღმას და აგრესიას, რაც, სავარაუდოდ, აქვეითებს მათ მოტივაციას.

ასევე, კლასში შეინიშნება გარკვეული სტერეოტიპული დამოკიდებულება მათემატიკის შესწავლისადმი. ერთმა გოგონამ, რომელსაც ვთხოვე ეთქვა საკუთარი აზრი თუ რატომ ვერ ხსნის მათემატიკურ ამოცანებს, თქვა, რომ მათემატიკა რთული საგანია და განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება მის შესწავლას. ჩემი დაკვირვებით აღნიშნული მოვლენები და დამოკიდებულებები უარყოფითად მოქმედებს მოწავლეთა სწავლის ინტერესზე, ენთუზიაზმსა და ცნობისმოყვარეობაზე, მათ ჩართულობაზე და აკადემიურ მიღწევებზე.

აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე, პრობლემად მიმაჩნია მოსწავლეთა სწავლის დაბალი მოტივაცია. ვფიქრობ, მოსწავლეებს არა აქვთ გარკვეული საკითხების შესწავლის ინტერესი და აქტივობებში ჩართულობის მზაობა, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მათი არასაკმარისი წინარე ცოდნით, დაბალი თვითდაჯერებულობითა და თვითშეფასებით, ნაკლები მონდომებით ან მათი

აზროვნების სტილისა და გამოცდილებისთვის შეუსაბამო სასწავლო მეთოდების/აქტივობების და მათთვის ნაკლებად საინტერესო დავალებების შეთავაზებით სასწავლო პროცესში. ასევე, აღნიშნულზე შეიძლება გავლენას ახდენდეს ნაკლებად წამახალისებელი, სოციალური და მხარდამჭერი საკლასო სასწავლო გარემო და არამრავალფეროვანი სასწავლო რეაურსები ან სხვა რაიმე გარე ფაქტორები (მაგ. ოჯახი, თემი), რომლებიც იწვევენ მოსწავლეების სწავლის მოტივაციის შემცირებას, ნაკლებ ჩართულობას და აკადემიურ შედეგების გაუარესებას.

ზემოთ აღწერილი პრობლემის გამოსწორებას შევეცადე ჩემი პედაგოგიური გამოცდილებიდან გამომდინარე. ცვდილობდი მეტად წამახალისებინა დაბალი ჩართულობისა და ინტერესის მქონე, “ზარმაცი” მოსწავლეები, მეტად ვამახვილებდი ყურადღებას მათ დახმარებაზე საკლასო დავალებების შესრულებისას, ვტოვებდი დამატებით მეცადინეობებზე და გავააქტიურე მშობლებთან ურთიერთობაც, რამაც გარკვეული დადებითი ცვლილებები გამოიწვია მოსწავლეთა ჩართულობის თვალსაზრისით, თუმცა არა ხალისით და სურვილით, არამედ, თითქოს ჩემი „ხათრით“, რამაც ნამდვილად არ დამაკმაყოფილა. ვფიქრობ, რომ ჩემი მიდგომებით, სწავლის მოტივაციის გაზრდის თვალსაზრისით ხელშესახები ცვლილებები ვერ გამოვიწვია მოსწავლეებში.

ამდენად, სემესტრულ სასწავლო შედეგებსა და სასწავლო პროცესზე დაკვირვებით გამოვლენილი მოსწავლეთა ზემოთ აღნიშნული მოქმედების, ქცევების, დამოკიდებულებებისა და პასუხისმგებლობების ერთ ჭრილში დანახვამ და ჩემი თეორიულ-პრაქტიკული გამოცდილების მიუხედავად, მათი კომპლექსურად გადაჭრის ბუნდოვანებამ, გადამაწყვეტინა საფუძვლიანად შემესწავლა მოტივაციასთან და ჩართულობასთან დაკავშირებული საკითხები აღნიშნულ კლასში. მინდა გავარკვიო მოსწავლეთა დაბალი მოტივაციის მიზეზები, რათა ეფექტიანი ჩარევით მაქსიმალურად დავეხმარო თითოეულ მათგანს წარმატებების მიღწევაში.

ვფიქრობ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მოტივირებას სწავლების დაწყებით საფეხურზე, რადგან მისი განვითარება გავლენას ახდენს მის შემდგომ კლასებში სწავლის ხარისხზე და მის მომავალ წარმატებაზე. ეროვნული სასწავლო გეგმასა და მასწავლებლის სტანდარტში გამოკვეთილია სკოლისა და მასწავლებლის როლი და პასუხისმგებლობა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიმართულებით, აღნიშნულ საკითხს ეძღვნება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები, საგანმანათლებლო კონფერენციები, პროექტები და კვლევები, რაც, თავისთავად, მეტყველებს სწავლა-სწავლების პროცესში მოტივაციის პრიორიტეტსა და ჩართულობის მნიშვნელობაზე. გაზიარების შემთხვევაში, აღნიშნული კვლევა დაეხმარება ჩემს კოლეგებს გააკეთონ შედარებითი ანალიზი ამ და სხვა კოლეგების მიერ, ამავე საკითხზე ჩატარებულ კვლევების შედეგებს შორის, განაწყობს უკეთ გაიაზრონ მოტივაციისა და ჩართულობის მნიშვნელობა სწავლა-სწავლების პროცესში, იხელმძღვანელონ აღნიშნული კვლევის შედეგებითა და რეკომენდაციებით შესაბამისი მოდიფიცირების შემდეგ და ზოგადად, დახვეწონ საკუთრი პრაქტიკა მოსწავლეთა მოტივაციის განვითარების მიმართულებით.

## **2.2. კვლევის მიზანი და საკვლევო შეკითხვები**

### **2.2.1. კვლევის მიზანი:**

კვლევის მიზანია სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტოფის N1 საჯარო სკოლის 4<sup>ე</sup> კლასის მოტივაციის საკითხის შესწავლა და პრობლემის მოგვარებისთვის სათანადო ინტერვენციის განხორციელება.

### **2.2.2. მთავარი საკვლევო შეკითხვა:**

როგორ უზუნველყოთ სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტოფის N1 საჯარო სკოლის 4<sup>ე</sup> კლასის მოსწავლეებში მათემატიკის სწავლის მოტივაციის ამაღლება.

### **2.2.3. კვლევის კითხვები/ამოცანები:**

- დავადგინო რა განაპირობებს საკვლევის კლასის მოსწავლეთა დაბალ მოტივაციას;
- გავიგო რა გამოცდილება, დამოკიდებულება და მოსაზრებები აქვთ მასწავლებლებს საკვლევო პრობლემის გამომწვევ მიზეზებთან და მათი გადაჭრის საკითხებთან დაკავშირებით;
- დავარკვიო რა აღქმა და დამოკიდებულება აქვთ მშობლებს საგნის მნიშვნელობის, საკუთარი შვილის სწავლის მოტივების, ინტერესების, სირთულეებისა და შესაძლებლობების საკითხების მიმართ და რას მიიჩნევენ ბავშვის მამოტივირებელ ფაქტორებად;

- გავიგო როგორია მოსწავლეთა მოტივაციის დონე, სწავლის მოტივები, მათი ინტერესები, თავდაჯერებულობის ხარისხი, რა დამოკიდებულება აქვთ მოსწავლეებს საგნისადმი და მათი შეხედულებით რა განაპირობებს სწავლის მოტივაციის ამაღლებას;
- შევაფასო მოსწავლეთა მოტივაციის გაუმჯობესების გზები და შევიმუშაო რეკომენდაციები.

### თავი 3. ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის დაწყებამდე, იმისათვის, რომ კარგად გამეცნობიერებინა საკვლევი თემის (მოტივაცია) არსი, ნათლად გავრკვეულიყავი შესასწავლი თემის შინაარსში, არსებული გამოცდილების შესწავლისა და განხილვის საფუძველზე დამეზუსტებინა საკუთრი პრაქტიკის კვლევის ფოკუსი, გადავწყვიტე, გავცნობოდი რეფერირებად და საგანმანათლებლო ჟურნალებში გამოქვეყნებულ ელექტრონულ და ბეჭდურ ლიტერატურას, უნივერსიტეტების, საგანმანათლებლო ასოციაციებისა და ცენტრების გამოცემებს, საერთაშორისო კვლევებსა და სტატიებს შესასწავლი საკითხის შესახებ, შესაბამისად, გავეცანი რამოდენიმე საინტერესო კვლევას და მეთოდურ სტატიას, ფოკუსირებულად გადავხედე ზოგადსაგანმანათლებლო საკანონმდებლო ბაზას (ეროვნულ სასწავლო გეგმა, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტი), მასწავლებლის სახლის მიერ გამოცემულ პროფესიულ გზამკვლევებს, განვითარებისა და სწავლის თეორიებს, და მასწავლებლის პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების მოთხოვნებისა და გამოწვევების ჭრილში, შევეცადე, პრობლემის გამომწვევი მიზეზებისა და მათი დაძლევის გზების შესახებ უკვე არსებული, ავტორებისეული მიდგომების, მეთოდების, არგუმენტებისა და იდეების შეჯამება-გაანალიზებას.

ჩემ მიერ განხილული ლიტერატურა დავაჯგუფე მოტივაციის საკითხთან დაკავშირებულ თემებად და ქვეთემებად და გავიაზრე თანამედროვე თუ ადრეული თეორიები და კვლევების მიგნებები: მოტივაციის არსის, ტიპების, მასზე მოქმედი ხელშემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორებისა და უკვე ნაცადი ეფექტური ინტერვენციების შესახებ, რომლებსაც დაწვრილებით განვიხილავ ლიტერატურის მიმოხილვის ძირითად ნაწილში.

### **3.1. მოტივაცია და ზოგადსაგანმანათლებლო მიდგომა**

მოსწავლის სწავლისა და განვითარების უზრუნველყოფა, მისი მიღწევების (უნარ-ჩვევები და ცოდნა) გაუმჯობესება ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის მთავარი მიზანი და ამოცანაა. სასწავლო პროცესის ეფექტიანობისა და ეფექტურობისთვის კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მოსწავლი მოტივაცია - დაინტერესება და სურვილი ისწავლო ზოგადი განათლების ეროვნული და საკუთრი მიზნების მისაღწევად.

ეროვნული სასწავლო გეგმის (I კარი, II თავი) სწავლა-სწავლების მიზნებისა და საგანმანათლებლო პრინციპების თანახმად, სწავლების „დაწყებითი საფეხურის ერთ-ერთი მისიაა სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისათვის“ (მუხლი 4.„გ“), ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზანია (მუხლი 7.1.) მოსწავლეს გამჭოლ უნარებთან და კომპეტენციებთან ერთად განუვითაროს ისეთი ღირებულება, როგორცაა: სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა.

ხოლო, მთავარი მეთოდოლოგიური ორიენტირებია: მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა და მოსწავლის მოტივაციის გაზრდა, რაც გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლების, ემოციების, ინტერესების, აკადემიური საჭიროების, სწავლის სტილისა და პირადი გამოცდილების გათვალისწინებას სწავლების პროცესში და პოზიტიური სასწავლო გარემოს, რომელიც ორიენტირებული უნდა უნდა იყოს მოსწავლის მოტივაციის გაზრდაზე სკოლაში მიმდინარე პროცესებსა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის კავშირების დანახვის გზით.

მრავალი კვლევა ადასტურებს მასწავლებლის ფაქტორს მოსწავლეთა მოტივირების საქმეში. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით, უფროსი მასწავლებელი ზრუნავს საკუთრი პრაქტიკის გაუმჯობესებაზე სამოქმედო კვლევების შედეგების გათვალისწინებით და „თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებით ირჩევს მოტივაციის ამაღლების შესაბამის სტრატეგიებს“ (III თავი, მუხლი 12), რაც წარმოადგენს მასწავლებლის სავალდებულო პროფესიულ მახასიათებელს მამოტივირებელი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბების მხრივ და ითვალისწინებს მათ გავლენას მოსწავლეთა მიღწევებზე.

### **3.2. რა არის მოტივაცია?**

ცნობილია, რომ მოტივაცია საფუძვლად უდევს ნებისმიერ საქმიანობას და გვიბიძგებს სასურველი ქცევის განხორციელებისკენ. „ყველა აქტივობას მოტივაცია უდევს საფუძვლად. მოტივაცია არის ქცევის განხორციელების ფსიქოლოგიური საფუძველი“ (ინკლუზიური განათლება გზამკვლევი მასწავლებლისათვის, 2009: 147). თანამედროვეობაში სულ უფრო და უფრო იზრდება ინტერესი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მისი ფართო გამოყენების აუცილებლობის გამო ფსიქოლოგიაში, პედაგოგიაში, ბიზნესსა და ადამიანის საქმიანობის სხვა სფეროებში შედეგების გაუმჯობესებისათვის.

სხვადასხვა ლიტერატურაში არსებობს ბევრი განსხვავებული თუ მსგავსი დასაბუთებული მოსაზრება მოტივაციის ცნების შესახებ, რომლებიც გამყარებულია კვლევებითა და თეორიებით. „ზოგად ფსიქოლოგიაში“ დიმიტრი უზნაძე, მოტივაციას ნებელობის (განწყობის განცდა) აქტის წინა პერიოდად მიიჩნევს. მისი აზრით, მოტივის ცნება მხოლოდ ნებელობითი ქცევის ანალიზისას გამოიყენება და გადაწყვეტილების მიღების პროცესთან მიმართებაში მოიაზრება. „ყოველ არჩევანს უთუოდ აქვს რაიმე საფუძველი, და ნებელობის შემთხვევაში ასეთ საფუძველს მოტივი წარმოადგენს“ (უზნაძე, 1940: 149). მეცნიერის აზრით, ცენტრალური ადგილი ნებელობის პრობლემაში აღმძვრელი ძალის, ენერჯის წყაროს საკითხს უკავია, თუმცა არაა დაკონკრეტებული რა ტიპის ძალებზეა ყურადღება გამახვილებული.

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ლილი ხეჩუაშვილის აზრით, დაახლოებით 1937 წლიდან, ყველაზე გავლენიანი თეორიები და პიროვნების ფსიქოლოგიის მკვლევარები (ოლპორტი, ფროიდი, მარეი, როჯერსი და სხვ.) მოტივაციის ცნებას უკავშირებენ „ადამიანის ქცევისა და გამოცდილების შინაგან მამოძრავებელ ძალას“ და ცდილობენ ამოეცნოთ ის შინაგანი ფაქტორები, რომლებიც ენერჯით აღავსებენ და მიმართულებას აძლევენ იმის საკეთებლად ადამიანებს, რასაც ისინი რეალურად აკეთებენ (ხეჩუაშვილი, 2013: 35), აღნიშნული, მოტივაციასთან მიმართებით აღიარებს პიროვნების ინდივიდუალიზმს და მის შინაგანი სამყაროს, თუმცა, მოტივაციის არსის შესახებ არსებობს საპირისპირო შეხედულებაც, აქვე ნათქვამია, რომ უფრო ადრე, ჯონ ბ. უოტსონი, ბიჰევიორისტული მოძრაობის ფუძემდებელი და მისი მიმდევრები უარყოფდნენ მოსაზრებას შინაგანი იდეების შესახებ, მიაჩნდათ, რომ პიროვნებას და მის ქცევას გარემო აყალიბებს დასწავლის მეშვეობით, სიამოვნების მიღებისა და

ტკვილის თვიდან აცილების სურვილით (ხეჩუაშვილი, 2013: 95), რაც ფაქტიურად განმარტავს იმ დროინდელ მოტივაციის გაგებას, როგორც სიამოვნების მიღებისაკენ სწრაფვას გარემოს ზემოქმედებით და არ აღიარებს ადამიანის ქცევაზე მისი შინაგანი მახასიათებლების გავლენას. ელექტრონულ CIVIL ენციკლოპედიური ლექსიკონში გადმოცემულია, რომ დუაიტ დ. ეიზენჰაუერმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა მოტივაციის განმარტება: *„მოტივაცია არის უნარი, ადამიანი იქამდე მიიყვანოთ, რომ გააკეთოს ის, რაც საჭიროა, როცა საჭიროა და როგორც საჭიროა იმიტომ, რომ ეს თვითონ მას სურს“* (ზაბუნაშვილი, 2007). აღნიშნული განმარტება, გულისხმობს ადამიანის პიროვნული სურვილების დაკმაყოფილებას სხვა ადამიანის ზემოქმედების უნარის წყალობით, რაც გარკვეულწილად მსგავსია ზემოთ ხსენებული მოტივაციის ბიჰევიორისტული განმარტებისა.

აგრეთვე, „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის“ უმცროსი მკვლევარის ნინო გუგუშვილის ელექტრონულ სტატიაში „მოტივაცია“ გადმოცემულია, რომ „მოტივაციის ცნება ლათინური ენიდან მომდინარეობს, კონკრეტულად სიტყვიდან “movere”, რაც მოძრაობას, მიზნისკენ სწრაფვას, მიმართულების მიცემას გულისხმობს. მოტივაცია ფსიქოლოგიაში სწორედ ფსიქიკური და ფიზიკური აქტივობების დაწყების, მათთვის მიმართულების მიცემისა და მართვის პროცესს ეწოდება“. ავტორის აზრით, მოტივაციის ფსიქოლოგებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ კითხვაზე თუ *„რატომ აკეთებს ადამიანი იმას, რასაც აკეთებს“*, თუმცა, საბოლოოდ, მოტივაციის ცნების ქვეშ ისინი ერთხმად მოიაზრებენ, როგორც პიროვნების საჭიროებებსა და მიზნებს, ასევე გარედან სტიმულაციას. ხოლო, ავტორი მოტივაციას აღიქვამს, როგორც პროცესს, სადაც, პიროვნება, გარკვეული იმპულსების (მოტივები) საშუალებით იღებს გადაწყვეტილებას, აკეთებს არჩევანს ამა თუ იმ აქტივობის სასარგებლოდ და შემდეგ, მას ენერგიას, სიმტკცესა და მდგრადობას სძენს. (CSS ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, გუგუშვილი, 2016). რაც ემსგავსება უზნაძისეულ მოტივის აღქმას, როგორც ნებელობის შემთხვევაში ქცევის არჩევანის საფუძველს.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტის (1993-2006) მზია წერეთლის *„განათლების ფსიქოლოგიაში“* (რიდერი, 2016) გადმოცემულია მოტივაციის ბროფისეული (Brophy, 2004) განმარტება: *„მოტივაცია არის ძალა, რომელიც აძლიერებს, ამყარებს და მართავს ქცევას მიზნისკენ“*, ხოლო, მარიამ გაბაშვილის



(„ეფექტიანი სწავლება თეორია და პრაქტიკა“, 2010) აზრით, პედაგოგიკაში და პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში ტერმინს „მოტივაცია“ იყენებენ *„მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართულობის, მისი სწავლის მიმართ ინტერესისა და დადებითი განწყობის აღნიშვნისთვის“* (გაბაშვილი, 2010: 85). რადგანაც, მოტივაცია განაპირობებს სასურველ ქცევას და ყოველდღიურ პრაქტიკაში, მოსწავლეებზე დაკვირვებით, პედაგოგები ვხედავთ მოსწავლეთა ქცევების ცვალებადობას სწავლასთან მიმართებაში, ლოგიკურია დასკვნა, რომ მოტივაციაც ცვალებადია. სპეციალისტების აზრით, *„მოტივაცია არ არის თანდაყოლილი და უცვლელი, როგორც, მაგალითად, თვალის ფერი. იგი საკმაოდ დინამიურია და მნიშვნელოვად იცვლება ინდივიდუალური (მაგ. ასაკის მატება) თუ ადამიანზე მოქმედი გარემო ფაქტორების ზეგავლენით“* (გაბაშვილი, 2010: 86).

მოტივაციის ცვალებადობის შესახებ მსგავსი მოსაზრება ფიქსირდება მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის გამოცემაში *„პედაგოგიური გზამკვლევი პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის“* (2016), სადაც გადმოცემულია, რომ *„მოტივაციის ზოგიერთი განმარტება ეყრდნობა შინაგან, პიროვნულ ფაქტორებს, როგორებიცაა მოთხოვნილება, ინტერესი, ცნობისმოყვარეობა, რწმენა, ღირებულებები, მოლოდინი და ა.შ. სხვა განმარტებაში ყურადღება გამახვილებულია გარე ფაქტორებზე, როგორებიცაა ჯილდო, სოციალური ზეწოლა, დასჯა და ა.შ.“* (გვ. 108), ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი, ქცევას განაპირობებს დროებითი სიტუაცია, რაიმე მდგომარეობა (მაგ. სწავლა გამოცდის წინ).

### **3.3. მოტივაციის ტიპები**

ცხადია, ადამიანის დამოკიდებულება მოტივაციასთან, ჯერ კიდევ ადრეული ბავშვობის ასაკიდან იწყება, როდესაც მისი განვითარებისთვის საჭირო ქცევის სტიმულირებისთვის, აღმზრდელი იყენებს სხვადასხვა გამლიზიანებლებს და წააქეზებს ბავშვს მოქმედებისკენ. მანანა მელიქიშვილი *„დომიტრი უზნაძის პედაგოგიურ კონცეფციაში“* განიხილავს უზნაძის ფილოსოფიურ და მეცნიერულ მიდგომებს პედაგოგიკასა და აღზრდაში. უზნაძის თეორიის მიხედვით ბავშვის განვითარება მხოლოდ *„შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ერთიანობის ნიადაგზეა შესაძლებელი“* (მელიქიშვილი, 2013: 15). მის ქცევას ანუ აქტივობას განსაზღვრავს *„მოთხოვნილება და ის გარე სინამდვილე, რომელმაც ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს“*, რაც ქმნის მოქმედების განხორციელების განწყობას. მეცნიერის აზრით, ადამიანის ქცევას

განაპირობებს ორგვარი ტიპის მოთხოვნილება: სუბსტანციური და ფუნქციური. სუბსტანციური მოთხოვნილებები განაპირობებენ ექსტროგენულ (გარეგანი) წარმოშობის ქცევებს, მაგალითად, შრომა, საქმე და სხვა, სადაც ქცევა თითქოს გარედან იღებს იმპულსს, ხოლო ფუნქციური მოთხოვნილებები წარმოშობს ინტროგენულ (შინაგანი წარმოშობის) ქცევებს, როგორცაა თამაში, შემოქმედება, სპორტი და სხვა, სადაც ქცევას შინაგანი იმპულსი განსაზღვრავს. უზნაძე ასაბუთებს, რომ „ზოგი ქცევა კი ორმაგი ბუნებისაა, იგი ერთდროულად შინაგანი და გარეგანი იმპულსებით შეიძლება იყოს განპირობებული, მაგალითად, სწავლა“, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ისეთი ინტელექტუალური მოთხოვნილებით, როგორცაა ცნობისმოყვარეობა და ასევე, მასწავლებლის მიერ შექებისა და აღირების მოთხოვნილებით.

იმის მიხედვით თუ რა აღძრავს მოსწავლის ინტერესს სწავლის პროცესში, სპეციალურ ლიტერატურაში განასხვავებენ მოტივაციის ორ ფორმას: შინაგანს და გარეგანს. მარიამ გაბაშვილის აზრით, როცა მაგალითად, მოსწავლე კითხულობს წიგნს, იმიტომ, რომ ეს მისთვის ღირებული და სასიამოვნოა, საქმე გვაქვს შინაგანი მოტივაციით განპირობებულ ქცევასთან. ხოლო, როცა მოსწავლე წიგნს კითხულობს მხოლოდ იმიტომ, მასწავლებლის ან მშობლისგან შექებას ელის ან ცდილობს არ წაკითხვით თავიდან აიცილოს მოსალოდნელი სასჯელი, მაშინ სახეზეა გარეგანი მოტივაციით გამოწვეული ქცევა. დასავლური ფსიქოლოგიური სკოლის მიერ აღიარებული ე. წ. შინაგანი და გარეგანი მოტივაციის შინაარსი კონკრეტული მაგალითების განხილვითაა გამყარებული მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელოში (II) „სწავლება და შეფასება“. სახელმძღვანელოს შესაბამის თავში (I) ავტორის, ქეთევან თოფაძის გადმოცემით, შინაგანი მოტივაცია კონკრეტული ქმედებისაკენ სწავლა შიგნიდან გამოწვეული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებისა და რაღაცის აღმოჩენის სურვილით, ხოლო „გარეგანი მოტივაცია არის, ასევე, კონკრეტული ქმედებისაკენ სწავლა, რომელიც გამოწვეულია გარეგანი ფაქტორებით, გარკვეული ჯილდოს ან აღიარების მოპოვების სურვილით“. ავტორის აზრით, დ. უზნაძის „შემეცნებით ინტერესებზე და სწავლის ღირებულების გაცნობიერებულ დამოკიდებულებაზე“ დამყარებული იდეა ახლოსაა დასავლური ფსიქოლოგიის შინაგან მოტივაციასთან.

მზია წერეთლის „რიდერში“ (II-III, 2016) გადმოცემულია, რომ სპეციალისტები განასხვავებენ მოტივაციის ორ კატეგორიას: შინაგანს (ინტრინსიკული) და გარეგანს (ექსტრინსიკული).

*„ექსტრინსიკული მოტივაცია ეს არის მოტივაცია, რომელიც მიმართავს აქტივობას გარკვეული მიზნის მისაღწევად, ხოლო ინტერინსიკული მოტივაცია განაპირობებს ქმედებას, რომელიც მიმართულია პირადი ინტერესებისკენ“* (Pintrich & Schunk, 2002, წყაროში: წერეთელი, 2016). ავტორის აზრით, გარე ფაქტორებით მოტივირებული მოსწავლეები შეიძლება კარგად მოემზადონ ტესტისთვის, რადგანაც მათ მიაჩნიათ, რომ ამ გზით მათ შეეძლება ტესტში კარგი ქულების მიღება; ხოლო შიდა ფაქტორებით მოტივირებულები სწავლობენ იმიტომ, რომ სურთ კარგად გაიგონ საგანი და თვლიან, რომ სწავლა ზოგადად მნიშვნელოვანია. დასაფიქრებელია, რომ თუ მოსწავლის სწავლის მოტივაცია შინაგანია, მას შეიძლება არ ქონდეს გარეგანი მოტივები და პირიქით, გარემო ფაქტორებით წახალისებული მოსწავლე ვერ იქნება შინაგანად მოტივირებული, თუმცა, მკვლევარები ადასტურებს, რომ მოტივაციის ეს ორი კატეგორია „*სხვადასხვა განზომილებაზეა*“ და ერთი ხელს არ უშლის მეორეს, რასაც ავტორი ასაბუთებს ბროფის მოსაზრებით, რომ „*ზოგიერთმა მოსწავლემ შეიძლება ისწავლოს ორივე მიზეზის გამო, ერთი - რომ საგანი საინტერესოა, და ასევე, მას სურდეს მაღალი შეფასების მიღება. ხოლო მოსწავლეების მეორე ნაწილი სწავლობს მხოლოდ იმიტომ, რომ დაიმსახურონ კარგი ნიშანი*“. აღნიშნული მოსაზრება ეხმიანება დ. უზნაძის ქცევის ორმაგი ბუნების შესახებ კონცეფციას, როდესაც ქცევა, ერთდროულად, შინაგანი და გარეგანი იმპულსებით შეიძლება იყოს განპირობებული.

ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევაში (2012) სოფიო გორგოძე ავითარებს კოვინტონის (2000) აზრს, რომ უკვე 60 წელზე მეტია ფსიქოლოგების აზრით არსებობს ორი ტიპის მოტივაცია, შინაგანი და გარეგანი და მოჰყავს მოსწავლეების მიერ შექსპირის წაკითხვის მაგალითი. ასევე, ამბობს, რომ რანდალ სპრიკი (2006) წინააღმდეგია შინაგანი და გარეგანი მოტივაციის მკაფიოდ გამიჯვნის და თვლის, რომ ქცევას შეიძლება ორივე ტიპის მოტივაცია განაპირობებდეს. მაგალითად, შექსპირის კითხვა მოსწავლეს შეიძლება სიამოვნებდეს შინაგანად და ამავე დროს შექებასაც ელოდეს მშობლისა და მასწავლებლისაგან. აღნიშნული მოსაზრება ფაქტიურად ეთანხმება მზია წერეთლის ბროფისეულ მიდგომას და საყურადღებოა სწავლის მოტივაციის ასპექტში, იმ თვალსაზრისით, რომ მასწავლებელი უნდა ეცადოს მოსწავლეებში ხელი შეუწყოს როგორც შინაგანი, ასევე, გარეგანი მოტივაციის განვითარებას. თუმცა, სხვადასხვა კვლევები და თეორიები მხოლოდ შინაგანი მოტივაციის მნიშვნელოვნებაზე აკეთებენ აქცენტს, როგორც რეალური ცოდნის მიღების საფუძველზე. ბროფის აზრით, „*ინტრინსიკული მოტივაცია უფრო*

*მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც იგი მიმართულია სწავლასა და გაგებაზე“* (2004, წყაროში: წერეთელი, 2016: 19), ასევე, მარიამ გაბაშვილის გადმოცემით დ. უზნაძეს (2003) მიაჩნდა, რომ *„ნამდვილი სწავლა შესაძლებელია, მხოლოდ შემეცნებითი ინტერესის, ცოდნის წყურვილის, მამასადამე შინაგანი მოტივაციის პირობებში“* (გაბაშვილი, 2010: 89). აქვე, განხილულია ქართველი მკვლევარის შ. ჩხარტიშვილის (1972) შრომებში გამოკვეთილი, ორი განსხვავებული მიდგომა ჰომოგენურ (შინგან) და ჰეტეროგენურ (გარეგან) მოტვებთან დაკავშირებით და მეცნიერის მოსაზრება, რომ *„სწორედ ჰომოგენური მოტივაცია გულისხმობს სწავლის ობიექტური ღირებულებების შეგნებას“*.

ფსიქოლოგები იზიარებენ მოტივაციის შინაგანად და გარეგანად დაყოფას, თუმცა მათი აზრით, რიგ შემთხვევებში სირთულეს წარმოადგეს იმის განსაზღვრა, მოტივაცია რომელი ტიპისაა, რადგაც კონკრეტულ სიტუაციაში ის შეიძლება მოიცავდეს როგორც პიროვნულ ნიშნებს, ასევე, გარემო ფაქტორებს.

### ***3.4. მოტივაციაზე მოქმედი შიდა სასკოლო და სხვა ფაქტორები***

სწავლის მოტივაციის საკითხი და მასზე მოქმედი ფაქტორები განხილულია სხვადასხვა ლიტერატურაში და დასაბუთებულია მრავალი კვლევითა და თეორიით. ზოგიერთი მოსწავლისთვის საინტერესო და მიმზიდველია სწავლის პროცესი, მაგრამ არსებობენ მოსწავლეები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ იჩენენ ინტერესს სწავლისადმი და მუდმივად საჭიროებენ მასწავლებლის მხარდაჭერასა და თანადგომას. როგორც სპეციალისტები ამბობენ *„ყველა აქტივობას მოტივაცია უდევს საფუძვლად და იგი ქცევის განხორციელების ფსიქოლოგიური საფუძველია“*, შესაბამისად, აღნიშნული კვლევისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია უკვე არსებული ინფორმაციის გაცნობა სწავლის მოტივაციაზე მოქმედი ფაქტორების შესახებ. რადგან, სამოქმედო კვლევის ჩატარება დაგეგმილი მაქვს მეოთხე კლასში, მათემატიკაში, ძირითადად შევეხები აღნიშნული ასაკის სწავლის მოტივაციის განმსაზღვრელ ფაქტორებს მოძიებული მასალებიდან.

#### ***3.4.1. ასაკობრივი და მორალური განვითარების თავისებურებები***

ყველა მოსწავლე განსხვავებულია, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მახასიათებლებით. მათ სწავლაზე, უპირველესად, გავლენას ახდენს

მათი ასაკობრივი და მორალური განვითარების დონე, რაც განაპირობებს მათ მზაობას სწავლისადმი და გავლენას ახდენს მათი მხრიდან გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე.

ნეიროფსიქოლოგი, ფსიქომეტრიული და საკონსულტაციო ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი თამარ გაგოშიძე სტატიაში „შუა ბავშვობა“ დეტალურად ახასიათებს 6-11 წლის ბავშვის ასაკობრივ განვითარებას და იძლევა საინტერესო რჩევებს მათი აღზრდისა და სწავლების შესახებ. მისი აზრით, შუა ბავშვობა დაწყებითი სკოლის ბოლომდე გრძელდება და ეს პერიოდი „განსაკუთრებული სილალით, ცნობისმოყვარეობით, შემეცნების სიყვარულით, მოქნილი, კოორდინირებული მოძრაობის სწრაფი განვითარებით, აზროვნების პროცესების თვისობრივი ცვლილებებით, თვით-მართვის უნარებით“ ხასიათდება, თუმცა, აღნიშნულ ასაკს გარკვეული სირთულეებიც ახლავს, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა სწავლებისას. ავტორი კვლევების მიხედვით აცხადებს, რომ *„შუა ბავშვობაში მიღებული ნეგატიური გამოცდილება - ბავშვის შესაძლებლობებისა და ინტერესების გაუთვალისწინებლობა, მისადმი არაადეკვატური მოლოდინები, არათანმიმდევრული აღზრდის სტილი“* ხელს უწყობს სწავლისადმი მოტივაციის დაქვეითებას. ავტორი ყურადღებას ამახვილებს 8-11 წლის ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებზე:

- *თანატოლებთან ურთიერთობისა და თამაშის უფრო მეტი ინტერესი აქვს;*
- *უკვე ყავს რამდენიმე გამორჩეული მეგობარი;*
- *იყალიბებს მორალურ ღირებულებებს და შეუძლია იმსჯელოს მისაღებ და მიუღებელ, “კარგ” და “ცუდ” ქცევაზე;*
- *შფოთავს მნიშვნელოვანი ადამიანის მოლოდინის გაცრუების გამო;*
- *ძლიერი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს და ცდილობს შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები;*
- *ლოგიკურად მსჯელობს და უვითარდება კონკრეტული ოპერაციების დონეზე პრობლემის გადაჭრის უნარები (გაგოშიძე, 2017)*

ასევე, თამარ გაგოშიძის აზრით, აღნიშნულ პერიოდში ბავშვის წამყვანი ქცევა ჯგუფისადმი მიკუთვნებაა, ბავშვები ამჟღავნებენ უკიდურეს ცნობისმოყვარეობას და აღმოჩენების მოთხოვნილების დონეზე იჩენენ სამყაროს შემეცნების ინტერესს, შეუძლიათ მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების გაგება და თანდათან უვითარდებათ აბსტრაქტულ-ლოგიკური

აზროვნება, ასევე, მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ავტორიტეტული პიროვნების მისადმი დამოკიდებულებას, შეუძლიათ დამოუკიდებლად ვალდებულებების შესრულება და საკუთრი განცდების გადმოცემა. ამავე დროს, შეიძლება თვი იჩინოს: სასკოლო შფოთვამ, გარიყულობისა და არასრულფასოვნების განცდამ, დაბრკოლების გადალახვისა და შეცდომის დაშვების შიშმა. აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, ავტორი, ბავშვის სწავლის, ქცევისა და სურვილების მიმართ გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მისი თვითშეფასებისა და ემოციური მდგომარეობის გავლენას, რაზეც თავის მხრივ გავლენას ახდენს ავტორიტეტული ადამიანის დამოკიდებულება და მოლოდინები. სწავლის მოტივაციის გასაღვიძებლად, იგი გვირჩევს ყურადღება გავამახვილოთ ბავშვის მისამართით გამოთქმული რეკლიკებისა და შეფასებების პოზიტიურობაზე, ხელი შევუწყოთ მათში სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბების ჩამოყალიბებას, ასევე, შემეცნების განვითარებას ცნობისმოყვარეობის სტიმულირებით, შევაქოთ ისინი დამოუკიდებლად მუშაობისათვის, მოვეპროთ პატივისცემითა და თანაგრძნობით, შეცდომებისადმი შფოთვა შევამციროთ მათი მხარდაჭერითა და დახმარებით.

უმცროსი სასკოლო ასაკის (6-11 წელი) პოზიტიური ცვლილებებისა და ნეგატიური გამოვლინებების შესახებ, მსგავსი შეხედულებებია გადმოცემულია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის გზამკვლევის დანართში (2014), სადაც პოზიტიური მახასიათებლების მხრივ საინტერესოა: შემეცნებითი აქტივობა, ცნობისმოყვარეობა, მდიდარი ფანტაზია და შემოქმედებითობა, მასწავლებლის ხელშეუხებელი ავტორიტეტი, დამოუკიდებლობის ზრდა და სხვ. ხოლო, ნეგატიური მახასიათებლებიდან მნიშვნელოვანია: მაღალი ინტერესი გარეგანი ატრიბუტებისადმი (მაგ, ყველაზე კარგი კალამი), შემეცნებითი (ცოდნის მიღების სურვილი) სასწავლო მოტივაციის ჩამოყალიბებლობა, „შეფასების“ მისეული აღქმა - არასწორი გაგება, თვითშეფასების სირთულეები, ყურადღების გადახრადობა, თვალსაჩინო-ხატოვანი მეხსიერების დომინირება ვერბალურ მეხსიერებაზე, სწავლის დაბალი აქტივობა და სხვ. (დანართი 5), რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა სწავლების პროცესში მოსწავლის მოტივაციის გაზრდისა და აკადემიური შედეგების გაუმჯობესებისათვის.

აღნიშნულ დანართში (დანართი 6), ასევე, განხილია პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია, სადაც თეორეტიკოსი 7-დან 11 წლამდე ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებას კონკრეტული

ოპერაციების სტადიაზე მიიჩნევს და გვაწვდის შესაბამის ასაკობრივ მახასიათებლებს. მისი აზრით, ბავშვის აზროვნება ამ ეტაპზე „აღქმიდან იხრება ლოგიკისაკენ“; რაც ეხმარება მას პრობლემის გონებაში გადაწყვეტაში, თუმცა მხოლოდ რეალურ ობიექტზე დაკვირვებით, ბავშვი სწავლობს საგნების/ობიექტების კლასიფიკაციას, ეუფლება სერიაციას და შენახვის პრინციპს. ამ პერიოდში ვითარდება რაოდენობის, წონის, მოცულობის და სხვა ცნებები. აქვე, გადმოცემულია პიაჟეს აზრი, რომ „სწავლა უნდა ეყრდნობოდეს მის განვითარების დონეს“; მისი განვითარების რეალური დონის გათვალისწინებით ბავშვი აქტიურად უნდა იყოს ჩართული სწავლების პროცესში, სადაც მიეცემა საშუალება ჩაატაროს კვლევა, ექსპერიმენტი, დასვას კითხვები და შეეცადოს თვითონვე იპოვოს პასუხები. ავტორების აზრით, აღნიშნული თვისებურებების გათვალისწინება გამოიწვევს მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას და მათი მოტივაციის გაზრდას. სწავლის მოტივაციის ჭრილში, სხვადასხვა ასაკში გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მოსწავლის მორალური განვითარების საკითხი. ბავშვის შეხედულებები და მორალური პრინციპები განსაზღვრავს მათ ქცევას. აღნიშნულ საკითხზე კოლბერგისეულ მორალური განვითარების თეორიას გავეცანი, როგორც „განვითარებისა და სწავლის თეორიების“ მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოში (I ნაწ, 2009), აგრეთვე ზემოთ აღნიშნულ დანართსა და ელექტრონულ სტატიაში. ლორენს კოლბერგი, კონსტრუქტივიზის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ადამიანების მორალურ განვითარებას სამ დონედ ყოფდა: პრეკონვენციური, კონვენციური და პოსტკონვენციური, ხოლო თითოეულს ორ სტადიად. ნებისმიერ გადაწყვეტილებას, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები მოყვება, მათი ანალიზი და მოსწავლის მსჯელობა, თუ რატომ მიიღო ესა თუ ის გადაწყვეტილება, საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ მოსწავლის გადაწყვეტილების მიზეზებს და გამოვიყენოთ იგი მათი შეხედულებებისა და მოტივების ამოცნობისა და მართვისათვის. კოლბერგის აზრით, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა დიდი ნაწილი განვითარების პრეკონვენციურ მორალურ დონეზეა, რომლის პირველი სტადია მორჩილებასა და დასჯაზეა ორიენტირებული, როცა მოსწავლეები თვლიან, რომ ის რაც ისჯება ცუდია, ხოლო ის რაც ჯილდოვდება - კარგი. ხოლო, მეორე სტადიაზე მყოფი ბავშვისთვის მნიშვნელოვანია სხვათა შეხედულებების გაზიარება საკუთარი, პირადი მოთხოვნილებებისა და სურვილების დაკმაყოფილების სასარგებლოდ - „სწორი საქციელი ის არის, რასაც შენთვის სარგებელი მოაქვს“. უმცროსი ასაკის ბავშვების მცირე ნაწილი,

გადაწყვეტილებების მიღებისას, კონვენციური მორალით ხელმძღვანელობს. მორალური განვითარების მესამე სტადიაზე ისინი ცდილობენ მოიქცნენ ისე, რომ ავტორიტეტულ პირებს ასიამოვნონ და კარგი საქციელით მეგობრების, მშობლებისა და მასწავლებლების მოწონება დაიმსახურონ (ჯანაშია, იმედაძე, გორგოძე, 2009). პოსტკონვენციურ მორალურ განვითარების დონეს ძალიან იშვიათად აღწევენ სკოლის მოსწავლეები, ამდენად, მორალური განვითარების 4-6 სტადიებს არ შევხები ალნიშნულ ნაშრომში.

ალნიშნულ საკითხზე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სტანდარტის გზამკვლევის დანართში, ანალოგიური მოსაზრებებია გადმოცემული, რომ, უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლის მორალური გადაწყვეტილებები ორიენტირებულია დასჯასა და დაჯილდოვებაზე, პირადი ინტერესების დაკმაყოფილებაზე, ადამიანურ ურთიერთობებსა და ავტორიტეტების (მასწავლებელი, მშობელი, მეგობრები) მოლოდინებზე. ავტორები გადმოგვცემენ, რომ კოლბერგის აზრით, „*ბავშვის მორალური განვითარებისათვის საჭიროა მათი აქტივობა, დისკუსიებში, მსჯელობასა და განხილვებში მონაწილეობა*“, რითაც იზიარებენ პიაჟეს შეხედულებას, რომ ბავშვი არის „*აქტიური მკვლევარი*“, რომელსაც გარემოსთან ურთიერთობით უყალიბდება აზროვნების უფრო რთული სტრატეგიები. ასევე, კოლბერგიც თვლის, რომ თუ მასწავლებელი შეძლებს მიაწოდოს მოსწავლეს მის მორალურ განვითარების საფეხურზე უფრო მაღალი დონის არგუმენტები, გადაწყვეტილების მიღების მიზეზების მისეულ ახსნასთან შედარებით, მაშინ მოხდება ბავშვის მორალური განვითარების სტიმულირება (გახელაძე, ელბაქიძე და სხვები, 2014), შესაბამისად, კი შეხედულებებისა და თავდაჯერებულობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს დადებითი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას და მოტივაციის ზრდას.

ვანო ჯანიაშვილისა და მარიამ აბესაძის სტატიაში „*მორალური განვითარების სტადიები და კვლევა სასკოლო ასაკის ბავშვებში*“ (2014) გადმოცემულია კვლევებზე დაფუძნებული მოსაზრება, რომ ადამიანის მორალური განწყობების ფორმირებაზე სოციალური გარემოს გარდა გავლენას ახდენს ტელევიზია და რელიგია. თანამედროვე მკვლევარები ფიქრობდნენ, რომ ზნეობისა და მორალის განვითარებაზე „*უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას და ეს ფაქტორები ცვალებადია*“. შესაბამისად, მათი კვლევა მიზნად ისახავდა კოლბერგის თეორიაზე დაყრდნობით შეედარებინათ კონვენციური და პრეკონვენციური სტადიები სასკოლო ასაკის ბავშვებში და გაერკვიათ, რა ახდენს რეალურ გავლენას თანამედროვე გარემოში მორალურ განვითარებაზე. კვლევისთვის



შერჩეული 75 ცდისპირისგან 60 იყო 6-დან 10 წლამდე ასაკის, დანარჩენი - 10-დან 15 წლამდე. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ 10-დან 16 წლამდე ბავშვების მორალური განვითარება ნაწილობრივ ემთხვევა კოლბერგის დონეს, თუმცა განსხვავებული შედეგები დაფიქსირდა გოგონებსა და ბიჭებს შორის იმ თვალსაზრისით, რომ გოგონებმა აჩვენეს უფრო მაღალი მორალური პასუხისმგებლობა და პროსოციალური აზროვნება. ასევე, გოგონებში კონვენციურ დონეზე დაფიქსირდა პოსტკონვენციური ტიპის მორალური მსჯელობა, რაც აჩენს გარკვეულ ეჭვებს კოლბერგის მიდგომების უნივერსალურობასთან დაკავშირებით თანამედროვე რეალობაში. ასევე, კვლევამ დაადასტურა, რომ მორალური აზროვნების ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს: ოჯახი, მათი პოზიტიური მორალური მოდელის შეთავაზებით შვილებისთვის; თანატოლები, რომლებსაც კარგი ქცევით შეუძლიათ დადებითი გავლენა მოახდინონ ერთმანეთზე და უბიძგონ ასევე კარგი ქცევისაკენ; რელიგია - სოციალური მხარდაჭერითა და სიკეთისა და სიყვარულის რწმენის დადებითი გავლენით მოზარდის ქცევაზე და ტელევიზია - ძალადობის დემონსტრირებით ბავშვებში თანაგრძნობის შესუსტებით.

ავტორების აზრით, კოლბერგს აკრიტიკებდნენ ანტიფემინისტური მიმართულების გამოც, რადგან მისი კვლევებში არ მონაწილეობდნენ გოგონები, ასევე, იმ ჯგუფების კულტურული ღირებულებების გაუთვალისწინებლობის გამო, რომელშიც მოზარდები იზრდებოდნენ და თვლიან, რომ „მორალური განვითარება მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესია“ (ჯანიაშვილი, აბესაძე, 2014), იგი ყველა ადამიანისთვის ინდივიდუალურად მიმდინარეობს და ვიწრო ჩარჩოებში აღნიშნული პროცესის ჩასმა არასწორია.

თამარ კაციტაძე, სტატიაში „ლორენს კოლბერგის რჩევები ბავშვის აღზრდის თობაზე“ ყურადღებას ამახვილებს გარემოს ზეგავლენაზე ბავშვის ცოდნისა და უნარების შექმნის პროცესზე და გვაცნობს კოლბერგის რჩევებს ბავშვის სწორი შეხედულებებისა და მორალური პრინციპების ჩამოყალიბებისა და მისი ქცევების მართვისთვის, რომელთგან მნიშვნელოვანია:

თანაგრძნობისა და სხვათა დახმარების სურვილის გაჩენა მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის; მოსწავლეთ წახალისება საკლასო დისკუსიებში ჩართულობით დაასაბუთონ საკუთარი მორალური შეხედულებები; საკლასო ოთხში უსაფრთხო და სანდო გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა გაკიცხვისა და შერცხვენის გარეშე გამოხატონ საკუთარი აზრი; მოსწავლეების ჩართვა საზოგადოებრივ პროექტებში მათი

სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით. აღნიშნული რჩევები, ავტორის აზრით, დაეხმარება მოსწავლეს ემოციურ განვითარებაში, რაც კოლბერგის თეორიის მიხედვით ჩამოუყალიბებს მოსწავლეს დადებით შეხედულებებს და ხელს შეუწყობს მის მორალურ განვითარებას, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ბავშვის არჩევანს გადაწყვეტილების მიღებისას და საბოლოოდ კი - მის ქცევას.

### *3.4.2. მოთხოვნები და მრავალმხრივი ინტელექტი*

ადამიანის სურვილებსა და მოთხოვნებს სხვადასხვა დროის მრავალი ფსიქოლოგი თუ თეორეტიკოსი იკვლევდა. უდიდესი წვლილი ქცევის მოტივების კვლევაში შეიტანა აბრაამ მასლოუმ. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ სწავლა უნდა მიმდინარეობდეს აღმოჩენების გზით (კონსტრუქტივიზმი) და სწავლასთან ერთად უნდა მოხდეს მოსწავლის პიროვნული და სოციალური განვითარება, მოსწავლეს უნდა ხედავდეს საკუთარ წარმატებას და არა მარცხს, ხოლო პედაგოგმა პატივი უნდა სცეს მოსწავლეს ისეთს, როგორც არის და მისი გრძნობები და მიდრეკილებები გაითვალისწინოს სწავლების პროცესში (გახელაძე, ელბაქიძე და სხვები, 2014). მარცხის გამოცდილება მოსწავლეს აეჭვებს საკუთარ შესაძლებლობებში, უკარგავს საკუთარი თავის რწმენას, ეუფლება წარუმატებლობის განცდა, რაც იწვევს შფოთვას. „*განმეორებითი წარუმატებლობა იწვევს დაბალ მოტივაციას*“ (წერეთლი, რიდერი, 2016).

მზია წერეთლის „რიდერში“ (2016, II-III ნაწ.) გადმოცემულია, რომ მასლოუმ, „მთლიანი პიროვნების“ პირველადი (დეფიციტის) და მეორადი (ზრდის) მოთხოვნები პირამიდაზე იერარქიულად დაალაგა და განავითარა ადამიანის ფიზიკურ, სოციალურ, ემოციურ, ინტელექტუალურ და თვითაქტუალიზაციის მოთხოვნებზე ორიენტირებული თეორია. მასლოუ თვლიდა, რომ სანამ მოთხოვნილებათა უფრო მაღალ საფეხურზე გადავიდოდეთ, უნდა დაკმაყოფილდეს უფრო დაბალი რანგის მოთხოვნები, როგორცაა ფიზიოლოგიური და უსაფრთხოებისა და დაცვის, შემდეგ სოციალური გაგებით - მიკუთვნებულობის, ემოციური გაგებით - პატივისცემისა და აღიარების, ხოლო განვითარების კუთხით - ინტელექტუალური და ესთეტიკური თვითრეალიზაციის მოთხოვნები. ხოლო, კარლ როჯერსის აზრით, რომელიც გადმოცემულია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის გზამკვლევის დანართში (დანართი 6, 2014), ადამიანის ქცევას მართავს თვითრეალიზაციის ტენდენცია, ხოლო მისი „*მნიშვნელოვანი*

ასპექტია მისწრაფება კომპეტენტურობისაკენ, რომელიც გამოიხატება ბავშვის მცდელობით, იყოს საკმარისად კომპეტენტური, რათა მიაღწიოს წარმატებას“ (გახელაძე, ელბაქიძე და სხვები, 51).

მასლოუს კრიტიკოსების აზრით, მან „ვერ შეძლო გაეთვალისწინებინა ადამიანთა მოთხოვნილებებში ინდივიდუალური განსხვავებები, რომელთა გამოც ერთი ადამიანი შეიძლება უფრო მეტად დაინტერესდეს თვითგამოხატვით, მეორე - ალიარებით, მესამე კი - სოციალური მოთხოვნილებებით“ (შუბლაძე, მღებრიშვილი, წოწკოლაური, 2008, III, თავ 13.3), რასაც ადასტურებს, ის რომ რეალურად, ცხოვრებაში არსებობენ ადამიანები, რომელთათვისაც პატივისცემა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიყვარული ან შია, მაგრამ მაინც სწავლობს და სხვა. ანუ, ზოგჯერ, აუცილებელი არაა მთლიანად დაკმაყოფილდეს უფრო დაბალი დონის მოთხოვნილებები და იერარქიის ჩამონათვალი შეიძლება შეუსაბამოც იყოს. „ჩვენ ხშირად გაგვიგია, რომ ადამიანები, რომლებიც დაავადებულნი ან უნარშეზღუდულნი არიან, და შესაბამისად, ვერ იკმაყოფილებენ პირველად მოთხოვნილებებს, ხშირად აღწევენ ინტელექტუალური ან ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, როგორცაა, წარმატება, სიმართლე, სილამაზე. მასლოუს მიხედვით კი, ეს შეუძლებელია“ (წერეთლი, 2016, ნაწილი II-III: 28).

ზოგადად, ყველა მოსწავლის პრობლემის გადაჭრა დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ მასწავლებელმა, ადამიანური ფაქტორების გათვალისწინებით, უნდა შეძლოს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება ცოდნის მიღების ინტელექტუალური წყურვილის გაღვიძებისა და მათი ინდივიდუალური მოთხოვნილებების გაცნობიერების გზით. „მოსწავლე, რომელიც გრძნობს მასწავლებლისგან უპირობოდ პოზიტიურ დამოკიდებულებას, უფრო მეტად დაინტერესებულია ისწავლოს და ხალისით ხვდება ყველა გამოწვევას აკადემიური წლის განმავლობაში, ნაცვლად იმისა, რომ აირჩიოს უფრო იოლი დავალება, რომელსაც ნამდვილად გაართმევს თავს“ (Kohn, 2005b, გვ.21, წყაროში: წერეთელი, 2016).

მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაიცნობიეროს ის ფაქტიც, რომ დროთა განმავლობაში მოთხოვნილებები იცვლება, ვითარდება და არ შეიძლება, მაგალითად, მე-4 და მე-8კლასის მოსწავლეებს ერთი და იგივე მოთხოვნილებები ჰქონდეთ.

მზია წერეთლის აზრით, ჰუმანისტური მიდგომისთვის მნიშვნელოვანია, რომ „მასწავლებელმა საკლასო პრაქტიკაში მოტივაციის განვითარებისათვის ეფექტურად გამოიყენოს ორი ელემენტი:

1) მასწავლებლისა და მოსწავლის კარგი ურთიერთობა და 2) კარგი საკლასო გარემოს შექმნა (Hamachek, 1987, წყაროში: წერეთელი, 2016). მან უნდა დააჯილდოვოს მოსწავლეები მათი რეალური შედეგების/ცოდნის გაზრდის გამო და არა უბრალო მონაწილეობისთვის, შექმნას უსაფრთხო/მოწესრიგებული საკლასო გარემო, მოსწავლეების მიმართ ჰქონდეს უპირობო პოზიტიური დამოკიდებულება და მათი კარგი სწავლის მოლოდინი. ასევე, მნიშვნელოვანია შეცდომებისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მოსწავლეებში, მაგალითად, მასწავლებლის ნათქვამი: „შეცდომა სწავლის განუყოფელი ნაწილია“ (წერეთელი, 2016: 32) წარმოადგენს გაკვეთილზე მოტივაციის ჰუმანისტური მიდგომის ეფექტურად გამოყენების მაგალითს.

დაბალი მოტივაცია მოსწავლეებში შეიძლება გამოწვეული იყოს მათი არასწორი დამოკიდებულების გამო საკუთრი ინტელექტისა და შესაძლებლობებისადმი. ზოგიერთ მოსწავლეს სჯერა, რომ არა აქვს საკმარისი ნიჭი და უნარები შეისწავლოს ესა თუ ის საგანი (მაგ. მათემატიკა, ფიზიკა და სხვ.) და არ იცის, რომ ინტელექტი ექვემდებარება წვრთნასა და განვითარებას და რომ ეს მიიღწევა მათი ძალისხმევით (გახელაძე, ელბაქიძე და სხვები, დანართი 6, 2014). ასეთ შემთხვევაში, ერთი მხრივ, მასწავლებლის მიერ, სასწავლო პროცესში, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის ჰოვარდ გარნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის გათვალისწინება, ინტელექტის ამა თუ იმ უნარის გამოვლენისა და სასურველი ნიჭის განვითარების თვალსაზრისით, ხოლო, მეორე მხრივ, თვითეფექტურობის (რწმენა საკუთარი შესაძლებლობების შესახებ) კოგნიტური თეორიის პრაქტიკული გამოყენება, მოსწავლის თავდაჯერებულობისა და ძალისხმევის შედეგად წარმატების დაუფლების განცდის ჩამოყალიბების მხრივ, შეიძლება მოსწავლის წარმატების მიღწევის მძლავრი სამოტივაციო იარაღი აღმოჩნდეს.

მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელოში „განვითარებისა და სწავლის თეორიები“ (2009, I ნაწ.) გადმოცემულია, რომ ფსიქოლოგთა დიდი ნაწილის აზრით, ადამიანის ინტელექტუალური ქცევა და აზროვნება დამოკიდებულია ადრე შეძენილ ცოდნაზე და მისი შეცვლა შესაძლებელია სწავლისა და გამოცდილების საშუალებით. გარნერი, მრავალმხრივი ინტელექტის თეორიაში განასხვავებს ინტელექტის 10 სახეობას და მის შესაბამის სწავლის სტილს: ლინგვისტური, ლოგიკურ-მათემატიკური, სივრცითი (ვიზუალური), ფიზიკურ-სხეულებრივი და სხვ. და

თვლის, რომ თითოეულ მოსწავლეს გააჩნია ყველა ტიპის ინტელექტი, თუმცა სწავლისას, მიდრეკილებას ავლენენ რომელიმე კონკრეტული მიმართულებით, ამდენად, „სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის წინაპირობას ბავშვის კარგად გაცნობა და მისი შედარებით განვითარებული და გასავითარებელი უნარების გათვალისწინება წარმოადგენს“ (ჯანაშია, იმედაძე, გორგოძე, 2009: 139). მოსწავლეები განსხვავებულად იღებენ, გადაამუშავებენ და ინახავენ ინფორმაციას, ამიტომ აღნიშნული თეორიის პრაქტიკაში გამოყენებისას, მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ ყველა ბავშვს აქვს ყველა ნიჭი რაღაც დოზით. მან ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა ნიჭისა და უნარის განვითარებას გაკვეთილზე, საკლასო აქტივობების მრავალფეროვნებით (წერითი, ვიზუალური, ვერბალური, რიტმული, მოსწავლის გამოცდილებასთან და გრძნობებთან დაკავშირებული, წყვილებსა ჯგუფებში მუშაობით და სხვ.), მრავალმხრივი ინტელექტის მეტ სფეროზე ფოკუსირებით, რათა ყველა ყველამ იგრძნო წამატება (გახელაძე, ელბაქიძე და სხვები, დანართი 6, 2014), რაც გააძლიერებს მოსწავლეების ძალისხმევას, გაზრდის თავდაჯერებულობას და კომპეტენტურობის განცდას, შესაბამისად, სწავლის მოტივაციას და აკადემიურ მოსწრებას.

### *3.4.3. TIMSS-ის ფაქტორები*

იმისათვის, რომ მასწავლებელმა გააზრებულად დაგეგმოს სწავლის მოტივირების პოლიტიკა, აუცილებელია, სანდო კვლევების შედეგების გათვალისწინებით, იცოდეს რა უწყობს ხელს ამა თუ იმ საგანის სწავლებას და რა ფაქტორები ახდენს გავლენას მოსწავლის მიღწევებზე. აღნიშნულ საკითხზე საქართველოში ჩატარებული კვლევებიდან მნიშვნელოვანია „მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა“ (TIMSS), რომელსაც საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია (IEA) უძღვება და გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ტარდება საქართველოში, ყოველ ოთხ წელში ერთხელ (2007, 2011, 2015), სწავლების ორ საფეხურზე - მეოთხე და მერვე კლასებში. კვლევის მიზანია მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ხელშეწყობა. TIMSS-ის კვლევები განხორციელდა ორ ნაწილად: მოზარდთა ტესტირება მათემატიკური აზროვნების პროცესების (ცოდნა, გამოყენება, მსჯელობა) შემოწმებისა და პროგრესის შეფასების მიზნით და გამოკითხვა (მოსწავლე, მასწავლებელი, დირექტორი) იმ ფაქტორების გაანალიზების მიზნით, რომლებიც გავლენას ახდენს აღნიშნული საგნების სწავლებაზე. კვლევის ფარგლებში, აქცენტი გაკეთდა მოსწავლის მიღწევებზე მოქმედ: საზოგადოებრივ, ოჯახის, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების,

მასწავლებლის, საკლასო აქტივობების, მოსწავლისა და სკოლის ფაქტორებზე. ვინაიდან, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას ვახორციელებ მათემატიკის საგნის მე-4 კლასში, აღნიშნული (TIMSS) კვლევიდან განვიხილავ მხოლოდ შესაბამის ინფორმაციას, რომელიც საქართველოს აღნიშნული კლასის მონაცემებს ეყრდნობა.

TIMSS 2007-2015-ის ანგარიშში ასახულია, კვლევაში საქართველოს (2007წ. -152 სკოლა; 2011წ. - 173 სკოლა, 2015 წ. - სკოლა) მონაწილეობის 8-წლიან პერიოდში, მოსწავლეთა მიღწევების შედარებითი ანალიზი, სადაც გადმოცემულია, რომ 2007 წლიდან მოყოლებული საქართველო, ნელი ტემპით, თუმცა აუმჯობესებს შედეგებს მათემატიკაში მე-4 კლასში. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს 11%-ით შემცირდა იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთაც მათემატიკაში მინიმალური კომპეტენცია ვერ გამოავლინეს, კვლევის სამივე ანგარიშიდან იკვეთება, რომ ქართველმა მოსწავლეებმა ვერც ერთ წელს ვერ შეძლეს საკუთარი მიღწევების გაუმჯობესება საერთშორისო მიღწევის შკალის საშუალო ნიშნულამდე (სტ. მნიშვ. 500). ანგარიშის ავტორის, ია კუტალმის აზრით, კრიტიკულია ის ფაქტი, რომ მეოთხეკლასელთა 22%-ს მინიმალური კომპეტენცია არ გააჩნია მათემატიკაში და განსაკუთრებით დაბალი შედეგებია მოსწავლეებში მსჯელობის კოგნიტური უნარის განვითარების მხრივ. კვლევის ანგარიშში, ასევე, ასახულია მოსწავლის ინდივიდუალური (მოსწავლის მზაობა სწავლისადმი, მოსწავლის მიერ მათემატიკის მნიშვნელობის აღქმა, მშობლისა და მოსწავლის დამოკიდებულება მათემატიკისადმი), სასკოლო გარემოს (აკადემიური, უსაფრთხო, საკლასო) და მასწავლებლის (კომპეტენცია, ძალისხმევა და მოლოდი) ფაქტორების გავლენა მოსწავლეთა შედეგებზე. კვლევის შედეგებისან ჩანს, რომ მოსწავლის ფაქტორებიდან მნიშვნელოვანი კავშირი გამოვლინდა მის მოტივაციას, თვდაჯერებულობას, ჩართულობასა და აკადემიურ შედეგებს შორის. სკოლის მახასიათებლებიდან მნიშვნელოვანი პოზიტიური კავშირი დადასტურდა მოსწავლის აკადემიური წარმატებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებასა (სკოლის ხელმძღვანელობის და მასწავლებლების მხრიდან ძალისხმევა მოსწავლის აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად) და მოსწავლის მიღწევებს შორის. მშობლის ფაქტორიდან, დადებითი გავლენის თვალსაზრისით, აღსანიშნავია, მათი მხარდაჭერით, შვილის ჩართვა მათემატიკასთან დაკავშირებულ აქტივობებში (სასკოლო მზაობა) და მშობლის კმაყოფილების დონე შვილის სკოლით. ოჯახის სოციო-ეკონომიკური სტატუსის გავლენას, სკოლისა და ოჯახის

თანამშრომლობისა და საზოგადოებისა და მისი კულტურული ფასეულობების როლზე აღნიშნულ ნაშრომში არ გავამახვილებ ყურადღებას, აღნიშნულ მახასიათებლებზე არაფოკუსირებულობის გამო ჩემი კვლევის ფარგლებში.

TIMSS-ის კვლევებში გამოიკვეთა გარკვეული შეუსაბამობები საქართველოში შეგროვებულ მონაცემებსა და მოსწავლეთა მიღწევებს შორის. კერძოდ, მოსწავლეების უმრავლესობას (2007-ში 90%, 2011-ში 76%, 2015-ში 52%) პოზიტიური დამოკიდებულება აქვს მათემატიკისადმი, თუმცა მათი აკადემიური შედეგები დაბალია, რაც კვლევის მიგნებებიდან გამომდინარე პირიქით უნდა იყოს, თუმცა მკვლევარებმა აღნიშნული შეუსაბამობა ახსნეს ქართველი ბავშვების „არაგულწრფელი დამოკიდებულებით“ გამოკითხვისას.

#### *3.4.4. საკლასო გარემო, რომელიც ზრდის მოტივაციას*

იმ ფაქტორებიდან, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკლასო გარემოს. მამოტივირებელ საკლასო გარემოში, „სასწავლო აქტივობები და საკლასო გარემო მოსწავლეებს უნდა უღვიძებდეს და უვითარებდეს შემოქმედებითობას, ცნობისმოყვარეობას, წარმოსახვას. მხოლოდ ასე შეძლებს მასწავლებელი, მოსწავლე „აიძულოს“, რომ წაიკითხოს, შექმნას, დაწეროს, იმსჯელოს, განიხილოს. ასე გარდაიქმნება ცნობისმოყვარეობა სწავლის წყურვილად“ (მოსიაშვილი, 13.03.2015). ცნობისმოყვარეობის როლი და მნიშვნელობა მნიშვნელოვანია მოსწავლის მოტივაციისა და სასწავლო პროცესში ჩართულობის გაზრდის საკითხში. თამარ მოსიაშვილის აზრით, რომელიც გადმოცემულია ელექტრონულ სტატიაში „ცნობისმოყვარეობიდან ცოდნისმოყვარეობამდე“ (31.03.2015), „მოსწავლეთა სწავლის პროცესში ჩართვა და მათი მოტივაციის ზრდა შეუძლებელია, თუ მათ ცნობისმოყვარეობას უგულვებლავყოფთ“ და არ აღუძრავთ მათ ახალი მასალის შესწავლის სურვილს. ავტორი, გვთავაზობს, წარმოსახვითი თეორიის (წარმოსახვის საფუძვლადაც ცნობისმოყვარეობა ითვლება) შემქმნელის, კირან იგანის მიერ, სასწავლო პროცესში ცნობისმოყვარეობის გამოყენების მიზნით შემუშავებულ, მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობის გაღვივების ორ ინსტრუმენტს: ამბავი და ბინარული დაპირისპირებები. სტატიაში აღწერილია თუ როგორაა შესაძლებელი ინსტრუმენტის საშუალებით მოსწავლეების წარმოსახვისა და ცნობისმოყვარეობის გააქტიურება, სასწავლო პროცესში ამბების შეტანითა და ბინარულ დაპირისპირებებზე მოსწავლეთა დაფიქრებით. ავტორის გადმოცემით, ამბავი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი შემეცნებითი ინსტრუმენტია.

სხვადასხვა საკითხზე შეთხზული ან მოძიებული ამბები მოსწავლეებზე დადებითად მოქმედებს, ისინი ახდენენ შესასწავლი საკითხის გადამუშავებას და გააზრებას წარმოსახვის გამოყენებით. „ამბავის“ ინსტრუმენტის გამოყენებისას, მოსწავლეთა წარმოსახვის გააქტიურებისა და საგაკვეთილო პროცესში მათი ემოციური ჩართულობის გაზრდის მიზნით, იგი გვიჩვენებს, რომ საგაკვეთილის დაგეგმვის პროცესში ყურადღება გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე: რა ამბავს შეიტყობენ მოსწავლეები? მისი შესაბამისობა საგაკვეთილის მიზანთან და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან; როგორ მოვახერხოთ მოსწავლეების ემოციური ჩართვა საგაკვეთილო პროცესში? და როგორ გავზარდოთ მათი ცნობისმოყვარეობა? ხოლო, ბინარული დაპირისპირებები, ავტორის აზრით, ცოდნის მოწესრიგებისა და კატეგორიებად დაყოფის ყველაზე მნიშვნელოვანი და ძლიერი ინსტრუმენტია, რომელსაც, თითქმის ყველა ამბავში ვხვდებით. მაგალითად, ყველაზე ძლიერი დაპირისპირებებია: კარგი/ცუდი, უსაფრთხოება/შიში, შეჯიბრი/თანამშრომლობა. ამგვარი დაპირისპირების ფონზე წარმართული სწავლების პროცესი ემოციურია და ზრდის მოსწავლის ჩართულობას. „ბინარული დაპირისპირებების“ გამოყენებისას, კი გასათვალისწინებელია: რა წინააღმდეგობას შეიცავს შესასწავლი თემა? რა ალტერნატივები არსებობს ამ წინააღმდეგობის დასაძლევად? რა მხატვრული სახეებით შეიძლება ამ წინააღმდეგობის, დაპირისპირების გამოსახვა? ავტორი თვლის, რომ ცნობისმოყვარეობის გაღვივების აღწერილი, ორი ინსტრუმენტი (სხვა ინსტრუმენტებთან ერთად) – ამბავი და ბინარული დაპირისპირებები წარმოადგენს მოსწავლეების მნიშვნელოვან მოტივატორს. მარიამ გაბაშვილი „ეფექტიანი სწავლება თეორია და პრაქტიკაში“ (VI თავი, მოსწავლეთა მოტივაცია, 2010) განხილვს მოტივაციისა და სასწავლო გარემოს კავშირებზე, მოტივაციასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულ ელემენტებზე: სასწავლო აქტივობები, შეფასების პოლიტიკა და პასუხისმგებლობის განაწილება, ასევე, გვთავაზობს მოტივაციის ამაღლების პრაქტიკულ სტრატეგიებსა და მეთოდებს. მისი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ისეთი სასწავლო გარემო შექმნას, რომელშიც მოსწავლეები ნაწილობრივ მაინც იქნებიან პასუხისმგებელნი საკუთარ განათლებასა და განვითარებაზე და თვლის, რომ „*გარემო, სადაც ისინი თავს მასწავლებლის პარტნიორებად გრძნობენ, ხელს უწყობს მოტივაციის ზრდასა და სასწავლო პროცესში ჩართულობას*“ (გვ.94). მოსწავლეთა ჩართულობა და თანამონაწილეობა მნიშვნელოვანია, აგრეთვე, საკლასო გადაწყვეტილებების მიღებასა და იდეების, შეფასებებისა და



მოსაზრებების წარმოდგენის თვალსაზრისით. მარიამ გაბაშვილი (2010) გვთვავლობს მოსწავლეთა ჩართულობისა და თანამონაწილეობის გაზრდის ინსტრუმენტს: „წინადადებების ყუთი“. აღნიშნული მეთოდის არსი, სწორედ, მოსწავლეებისთვის საკუთარი მოსაზრებების, იდეების თუ შეფასებების ანონიმურად წარმოდგენის შესაძლებლობის მიცემაა. მნიშვნელოვანია, რომ მეთოდის გამოყენებისას გასათვალისწინებელია, რომ საჭიროა: მოსწავლეთა კარგად ინფორმირებულობა მეთოდის დანიშნულებისა და ეფექტურობი შესახებ; მასწავლებელმა წინადადებების წარმოდგენის გარკვეული ფორმატი უნდა შეიმუშაოს (რომელიც აუცილებლად დასაცავი იქნება ყველასათვის); მასწავლებელმა სისტემატიურად უნდა განიხილოს წინადადებები და მოახდინოს რეაგირება. ასევე, ავტორის მიერ, ხაზგასმულია ხელშემწყობი საკლასო გარემოს როლი მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვის, რომ საბოლოო მიზნის მიღწევისკენ გადაადგმულ თითოეულ წარმატებულ ნაბიჯს ძალუმს წაახალისოს და გააღვივოს მოსწავლის მოტივაცია შემდგომი ეფექტური ნაბიჯების განხორციელებისათვის *„მცირე წარმატებები შეიძლება გახდეს უფრო დიდი წარმატებების მიღწევის სტიმული“* (გვ. 92). გაბაშვილის (2010) აზრით, *„ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა იმდენად რეალურ/ობიექტურ პროგრესს, არამედ ამ პროგრესის არსებობას ადამიანის აღქმაში.“* თუკი მოსწავლეს მიაჩნია, რომ მან წინ გადადგა ნაბიჯი და გააუმჯობესა საკუთარი შედეგი, ეს უკვე საკმარისი სტიმული შეძლება გახდეს შემდგომი წარმატებებისათვის, მაშინაც კი, როდესაც ეს ნაბიჯი რეალურად გადადგმული არ ყოფილა“. ასევე, პირიქით, რეალურად მნიშვნელოვანი წინსვლა შეიძლება არ გახდეს შემდგომი წარმატების სტიმული, თუკი მოსწავლე მას არ აღიქვამს პროგრესად.

TIMSS-ის კვლევებმაც ცხადყო, რომ *„ისეთ საკლასო გარემოში, სადაც მასწავლებლები მხარს უჭერენ მოსწავლეებს და ცდილობენ, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა და თვდაჯერებულობა შემატონ, მოსწავლეთ მიღწევები მაღალია“* (TIMSS 2011: 168). ასევე, ძლიერი პოზიტიური კავშირი გამოვლინდა მოსწავლეების მათემატიკისადმი დამოკიდებულებასა და ამ საგანში მიღწევებს შორის, ხოლო, მათემატიკის სწავლის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება ესგ-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია, რაც მოსწავლეებში მიიღწევა, ერთი მხრივ, წარმატებული გამოცდილებით მიღებული კმაყოფილების განცდით და მეორე მხრივ - მასწავლებლის მიერ, სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლების ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენებით (TIMSS

2011). ასევე, TIMSS 2015-ის კვლევის შედეგებით დასტურდება სასკოლო გარემოს (აკადემიური, უსაფრთხო, საკლასო) პოზიტიური გავლენა მოსწავლის მიღწევებზე. ამ მხრივ, მათემატიკაში ყველაზე მნიშვნელოვანია მხარდამჭერი და მზრუნველი საკლასო გარემოს ფაქტორი, კერძოდ, მოსწავლეთა დამოკიდებულება მათემატიკისადმი (მომწონს მათემატიკა, მათემატიკის მნიშვნელობის აღქმა, თვითეფექტურობა), მოსწავლეთა მიკუთვნებულობა (აღიარება, მხარდაჭერა), მაღალი მოტივაცია და სასწავლო პროცესში ჩართულობა, ასევე, მასწავლებლის მომზადების დონე და გამოცდილება, სწავლების რესურსები და საკლასო შეფასება. უცხო არაა ის ფაქტი, რომ საკლასო ოთახი ფორმალური სწავლის უშუალო გარემოა. იქ მიმდინარე სწავლა-სწავლების პროცესი, საკლასო გარემო, სასწავლო აქტივობები და ურთიერთობები გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე. ის ძალიან მნიშვნელოვანი ადგილია, სადაც „ბავშვები ვითარდებიან არა მარტო კონიტურად, არამედ ემოციურად და სოციალურად“ (TIMSS 2007-2015 : 212) და მის ეფექტიანობას, პირველ რიგში, განსაზღვრავს მოსწავლისა და მასწავლებლის მახასიათებლები. მოსწავლეები, რომლებიც ერთსა და იმავე კლასში სწავლობდნენ, შეიძლება განსხვავებული დამოკიდებულებები ჰქონდეთ მათემატიკის მიმართ, რასაც მათი განსხვავებული პირადი ისტორიები, შესაძლებლობები და სწავლისადმი მზაობა განაპირობებს, შესაბამისად, მოსწავლეები სხვადასხვაგვარად არიან მოტივირებულები საგნის შესწავლის მიმართ და ჩართულები სასწავლო პროცესში და განსხვავებული მხარდაჭერა სჭირდებათ მასწავლებლის მხრიდან. კვლევები ადასტურებს, რომ პოზიტიური და მხარდამჭერი საკლასო გარემო ურუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და ზრდის მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს. „მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის „მხარდამჭერი“ ურთიერთობა პოზიტიურად აისახება არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევებზე, არამედ სასწავლო პროცესში მის ჩართულობაზე, მოტივაციასა და საგნის შესწავლის მიმართ ინტერესზე“ (CorneliusWhite, 2007; Fauth et al., in press, წყაროში: TIMSS 2007-2015, 2017).


ასევე, თანამშრომლობითი საკლასო გარემოს ჩამოყალიბებისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნას მოსწავლის მიკუთვნებულობის (ურთიერთობის) მოთხოვნილება - „სურვილი იყო სხვებთან სოციალურ გარემოში და გრძნობდე სიყვარულს და პატივისცემას, იყო დაფასებული შესაძლებლობისა და აკადემიური მოსწრებისა. აღნიშნული ურთიერთობა გავლენას ახდენს მოსწავლის მოტივაციასა და სწავლაზე. თუ მოსწავლე თვლის, რომ მასწავლებელს

მოსწონს, უგებს, მხარს უჭერს და გულისხმიერია მის მიმართ“ (Furrer, Skinner, 2003; McCombs, 2001, წყაროში: წერეთელი, II-III, 2016, 66), მაშინ მისი ჩართულობა მაღალია საკლასო აქტივობებში, დადებითად აღწერენ გაკვეთილს და ისახავენ უფრო მეტად სასურველ მიზნებს, რაც მნიშვნელოვანია სწავლისა და მოტივაციის ზრდისთვის (Stipek 1996, 2002, წყაროში: წერეთელი II-III, 2016).

მზია წერეთელი, რიდერის IV ნაწილში „მოტივაცია საკლასო ოთახში“, კლასში მოტივაციის ამაღლების მხრივ აქცენტს აკეთებს სწავლებაზე ფოკუსირებულ სასწავლო გარემოზე, რომელიც ხაზს უსვამს მონდომებას, მუდმივ გაუმჯობესებასა და საკითხის გაგებას. მისი აზრით, მიღწევებზე ფოკუსირებული გარემოსგან განსხვავებით, სადაც პრიორიტეტია მაღალი მოსწრებისა და უნარების გამოაშკარავება და შეჯიბრობითობა, სწავლებაზე ფოკუსირებული საკლასო გარემო ორიენტირებულია მოსწავლეებში მაღალი ინტერესის გამოწვევაზე, შესაფერისი სწავლების მეთოდებისა და აქტივობების გამოყენებასა და თანამშრომლობაზე.

აღნიშნულ ლიტერატურაში, ავტორი, კვლევებსა და თეორიებზე დაყრდნობით აღწერს მოსწავლეების მოტივაციის ასამაღლებელ ოთხ კომპონენტთან მოდელს (იხ, სქემა N1), საიდანაც აღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელოვნად მიმაჩნია მესამე კომპონენტი: კლიმატური ცვლადები: მამოტივირებელი გარემოს შექმნა და მეოთხე კომპონენტი - სწავლების პროცესის ცვლადები: სასწავლო აქტივობებისადმი ინტერესის განვითარება, თუმცა წერეთელი თვლის, ერთი კომპონენტის ეფექტიანობა დამოკიდებულია სხვებზეც.

სქემა N1: მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებელი მოდელი (წერეთელი, IV, 2016: 5)



მოწესრიგებული და უსაფრთხო გარემო ქმნის პოზიტიურ განწყობებსა და დამოკიდებულებებს კლასში. ამ გარემოში „*მოსწავლეები ერთად მუშაობენ და ეხმარებიან ყველას მაღალი შედეგების მიღწევაში*“ (Palincsar, 1998, Rogoff, 1998, წყაროში: წერეთელი, IV, 2016) და დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა ავტონომიურობას საკლასო გადაწყვეტილებების მიღებაში, ასევე, ურთიერთპატივისცემასა და ემოციურ უსაფრთხოებას (შიში, რომ გააკრიტიკებენ). შემდეგი ეტაპი, სწავლებაზე ორიენტირებული გარემოს ჩამოყალიბებისათვის, ავტორის აზრით, არის მოსწავლის წარმატების მოთოვნილების დაკმაყოფილება, რაც ნიშნავს პროგრესს და უნარების დაუფლებას და არა მაღალ შეფასებებსა და სხვებზე უკეთ სწავლას. წერეთელი თლის, რომ დამოკიდებულებამ *“შეცდომები გვასწავლის”* უნდა ჩაანაცვლოს რწმენა *– „შეცდომები ნიშნავს წარუმატებლობას“* და შექება/ჯილდო გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ პროგრესის მიღწევისას. აღნიშნულის ხელშესაწყობად მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სხვადასხვა სტრატეგია: გაკვეთილის დასაწყისში ღია კითხვების გამოყენებით ჩართოს მოსწავლეები დისკუსიებში, გამოიყენოს ცხოვრებისეული მაგალითები საკითხის უკეთ გაგებისათვის, დამატებითი შეკითხვებით დაეხმაროს მოსწავლეს როცა უჭირს პასუხის გაცემა, გაავარჯიშოს მოსწავლეები დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებამდე, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა გამოწვევას შესაბამისი სირთულის სასწავლო დავალების შერჩევითა და მისი მნიშვნელობის გააზრებით, მისცეს მოსწავლეებს დროული და ხშირი უკუკავშირი. აღნიშნული სტრატეგიები გამოიწვევს მოსწავლეთა თავდაჯერებულობისა (თვითეფექტურობის) და კომპეტენციის შეგრძნებების გაზრდას და მათ მონდომებასა და მოტივირებას შეუწყობს ხელს.

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის „G-Pried“ მათემატიკის მიმართულების დირექტორის (2012.07- 2018.02) გიორგი ნოზაძის აზრით, მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდისა და ცნობისმოყვარეობის გაღვივების ხერხების შერჩევა მოცემული სასწავლო მასალის ასათვისებლად თითოეული მასწავლებლის გამოწვევაა. სასურველი შედეგების მისაღწევად, გარდა საგნობრივ-მეთოდოლოგიური და საორგანიზაციო საქმიანობების განხორციელებისა მასწავლებლის მიერ, მისი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე, რომელმაც სწავლის აქტი უნდა განახორციელოს, სათანადოდ იყოს მონდომებული და განწყობილი, ანუ მოტივირებული. სტატიაში „საგნობრივ შედეგებზე ორიენტირებული გაკვეთილების დაგეგმვა“ ნოზაძე სწავლის მოტივებს ორ კატეგორიად ყოფს, „*ერთი კატეგორია დაკავშირებულია სასწავლო საქმიანობის შინაარსსა და*

მისი შესრულების პროცესთან, ხოლო მეორე – გარემოსა და ბავშვის ურთიერთობასთან“ და თვლის, რომ მასწავლებელი, მოსწავლის მოტივირებისას, უნდა დაეყრდნოს ისეთ მოთხოვნებებს, როგორცაა აქტიური საქმიანობის, ემოციური დაკმაყოფილების, კოლექტივში თვითდამკვიდრების და სხვა მოთხოვნები და მოახერხოს, რომ განხორციელდეს მოქმედებებმა მოსწავლეში გამოიწვიოს დადებითი ემოციური განცდები, დააკმაყოფილოს მისი ინტერესები, ჩაუნერგოს პრობლემათა გადალახვის შესაძლებლობის რწმენა, საკუთარი უნარიანობის რწმენა, საკუთარი წარმატების გამო სიამაყე და სიხარული. ავტორს, სასწავლო მოტივების ჩამოყალიბებაში, ასევე, მნიშვნელოვნად მიაჩნია მოსწავლეთა ყურადღების მიმართვა არა მარტო სასწავლო საქმიანობის შედეგისკენ, არამედ მისი მიღწევის ხერხებისკენაც. მისი აზრით, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ყველაზე შედეგიანი ხერხებია:

- *თბილი, ურთიერთნდობითა და პატივისცემით გამსჭვალული გარემოს შექმნა; შემოქმედებითი ინიციატივის სტიმულირება;*
- *კრიტიკული აზროვნების წახალისება; დისკუსიების ჩატარება; პოზიტიური ქცევის ნიმუშების მოყვანა;*
- *მაღალი მოლოდინების დამკვიდრება; წარმატების იმედის გაღვივება; მუდმივი გამოწვევების ატმოსფეროს ჩამოყალიბება;*
- *ლიდერობისა და თანამშრომლობის წახალისება; დამანტირიგებელი პასუხისმგებლობების დაკისრება (მაგალითად, მოსწავლეთა მიერ ერთმანეთის ნამუშევრების შემოწმება-შეფასება; აქტივობების ხელმძღვანელობა; სავარჯიშოების შედგენა ან შერჩევა; დამატებითი ინფორმაციისა თუ მასალების მოძიება და სხვა);*
- *სწავლის მიზნებისა და სასურველი შედეგების წინასწარ გაცნობა; მიზნების მიღწევის საშუალებათა შერჩევაში მოსწავლეთა დახმარება;*
- *მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება (ვიზუალური მასალითა და მოდელებით მანიპულაციის გზით ცნობისმოყვარეობას აღძვრა; შესაფერისი, ცოცხალი და კონკრეტული მაგალითების მოყვანა; ისეთი უჩვეულო, სახალისო ან/და პარადოქსული ფაქტების დასახელება, რომლებიც გაკვირვებას იწვევს); მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო გამოცდილებაზე აპელირება;*

- *სასწავლო პროცედურების, პრინციპებისა და წესების ერთობლივად შემუშავება განუხრელად დაცვა; ობიექტურობა და მომთხოვნელობა; ინდივიდუალური მიდგომა;*
- *სასწავლო მასალის სწორად ორგანიზება (ახალი მასალის დაშენება წინა მასალაზე; ახალი მასალის წარდგენამდე წინმსწრებ შემამზადებელ აქტივობათა შესრულება; მოსწავლეების ჩართვა ახალი მასალის გაგებასა და გამოყენებაზე ორიენტირებულ აქტივობებში; ათვისებული მასალის განმტკიცება და გაღრმავება; ათვისებული მასალის შეჯამება და რეფლექსია მიღებულ გამოცდილებაზე);*
- *სწავლება/სწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება (მათ შორის განსაკუთრებით პრობლემურ-საძიებო მეთოდებისა);*
- *შესაფერისი სირთულის დავალებების მიცემა და საკუთარი ძალების რწმენის განმტკიცება; დავალების არჩევანის უფლების მინიჭება (გარდა გამოკითხვის შემთხვევისა);*
- *პრაქტიკული და თეორიული საქმიანობის ბალანსის დაცვა; მკაფიო ინსტრუქციების მიცემა; კონსტრუქციული რეკომენდაციების მიწოდება; უწყვეტი უკუკავშირის განხორციელება;*
- *ენტუზიაზმისა და მაღლიერების დემონსტრირება; მიღწევების აღიარება და დაფასება; პროგრესზე პოზიტიური გამოხმაურება (ნოზაძე, 5.07.2012).*

### **3.5. კავშირი მოტივაციას, ჩართულობასა და აკადემიურ მიღწევებს შორის**

ექსპერტების აზრით, მაღალი მოტივაცია ზრდის მოსწავლეთ ჩართულობას. „სწავლების პროცესის თვალსაზრისით, მოტივირებული მოსწავლე არის ინდივიდი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სწავლების პროცესში“ (Brophy, 2004; Stipek, 2002, წყაროში, წერეთელი, IV, 2016: 29). ხოლო, ჩართულობისათვის აუცილებელია მოსწავლეთ ყურადღების მიპყრობა და შემდეგ, შენარჩუნება. ზემოთ გადმოცემული, მზია წერეთლის „მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებელი მოდელის“ (იხ. სქემა N1, გვ. 35) მეოთხე კომპონენტის, სწავლების მახასიათებლების შესაბამისად, გაკვეთილის დაწყებისას, ეფექტური შესავალი იპყრობს მოსწავლეების ყურადღებას პრობლემის მიმართ და იწვევს მათ ინტერესს. ინტერესის გამოწვევა ასევე, შესაძლებელია პარადოქსული შეკითხვის დასმით, დემონსტრირებით ან თვალშისაცემი მაგალითით. შესავალში მოსწავლეთა გააქტიურებისა და ფოკუსირებისთვის, ავტორის აზრით, მასწავლებელმა ერთმანეთს უნდა დაუკავშიროს მოსწავლის წინარე ცოდნა, გაკვეთილის შინაარსი და ინტერესები. შემდეგ, კი

გაკვეთილის განმავლობაში შეინარჩუნოს მოსწავლეების ყურადღება შინაარსის მოსწავლის ცხოვრებასთან დაკავშირებით (პერსონალიზაცია) და ემოციურად შესაბამისი საილუსტრაციო მაგალითებით. თუმცა, გაკვეთილის მსვლელობისას, შეიძლება მოსწავლეთა მოტივაცია მაინც გაქრეს თუ მასწავლებელი დამატებით არ გამოიწვევს მათი ჩართულობასა და გააქტიურებას. *„ეფექტური მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეები ჩართონ გაკვეთილში მათი ინტერესის გასაზრდელად (Hidi, 2002, Schraw,&Lehman, 2001, წყაროში: წერეთელი, IV, 2016: 33), ასევე, აქტიური ჩართვა „ზრდის მოსწავლეების მიერ საკითხის გაგებას და უვითარებს კომპეტენტურობისა და ავტონომიურობის შეგრძნებას (Bruning et al, 2004, წყაროში: წერეთელი, IV, 2016: 33), რაც, ზემოთ აღწერილი კვლევებისა და თეორიების თანახმად ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. მოსწავლეთ აქტიური ჩართულობის შესანარჩუნებლად და ინტერესის დონის გასაზრდელად სწავლა-სწავლების პროცესში, ავტორი გვიჩვენებს გამოვიყენოთ ღია კითხვების (მრავალპასუხიანი) დასმის სტრატეგია, პრაქტიკული აქტივობები, თამაშის ტიპის დავალებები, ჯგუფური სამუშაოები და გავაკეთოთ პროცესის შესახებ დეტალური უკუკავშირი, რათა მოსწავლემ დაინახოს საკუთარი პროგრესი და გაუძლიერდეს კომპეტენტურობის განცდა და თავდაჯერებულობა.*

TIMSS 2015-ის კვლევამ (საქართველოს მონაცემები) დაადასტურა სწავლაში მოსწავლეთა ჩართულობისა და მათი მიღწევების პოზიტიური კავშირი, ასევე, ანგარიშში ნათქვამია, რომ სხვა კვლევების მონაცემებით დადასტურებულია მოსწავლეთა ჩართულობაზე მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების სტრატეგიების პოზიტიური გავლენა, მაგალითად, მასწავლებლის მიერ ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ტექნოლოგიების გამოყენება, მცირე ჯგუფური აქტივობებით თანატოლებისგან სწავლის ხელშეწყობა და სხვა. აღნიშნულმა კვლევამ დაადასტურა მნიშვნელოვანი კავშირი მოსწავლეთა ჩართულობასა და მოსწავლეთა მახასიათებლებს (თავდაჯერებულობა, მოსწავლის მიერ მათემატიკის მნიშვნელობის აღქმა, სკოლისადმი მიკუთვნებულობა და მოსწავლეს მოსწონს მათემატიკა) შორის. *„მოსწავლის სწავლაში ჩართულობას ხელს უწყობს საგნის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება“ (გვ. 229). ასევე, „პოზიტიური დამოკიდებულება მათემატიკის მიმართ და ძლიერი თვითრწმენა ხელს უწყობს მოსწავლეების სწავლაში ჩართვას, შეუპოვრობის, ძალისხმევისა და ყურადღების გამოჩენას. მაღალი ჩართულობის მქონე მოსწავლეები, ტიპურად,*

უფრო მაღლი აკადემიური მიღწევებით ხასიათდებიან“ (TIMSS 2011: 173), ხოლო, მოსწავლეთა მზაობას სწავლისადმი, მოტივაციასა და თავდაჯერებულობას მივყავართ შედეგთან - სასწავლო პროცესში ჩართულობასა და აკადემიურ მიღწევებთან. საქართველოს შემთხვევაში, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი გამოიკვეთა კლასში მოსწავლეთა დაგროვილ წინარე ცოდნის ნაკლებობასა და მოსწავლეთა მიღწევებს შორის. ხოლო, ადრე მიღებული ცოდნა და უნარები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმისათვის რომ მოსწავლე ჩაერთოს სასწავლო პროცესში, რადგან „ახალი ინფორმაცია უნდა შენდებოდეს იმ ცოდნაზე, რომელიც მოსწავლეს უკვე აქვს“ ( McLaughlin et al., 2005, p. 5, წყაროში: TIMSS 2007-2015, 2017: 230). ასევე, TIMSS 2007 (2009) - ის ანგარიშის მიხედვით, მათემატიკისადმი ინტერესის გაღვივებაში, დაწყებით საფეხურზე, დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთათვის საფუძვლად დაგროვილ მყარ ცოდნას და გაგება-გააზრებით ელემენტარული მათემატიკის სწავლებას. „მათემატიკური პროცედურების გაგება, გააზრება, და არა მისი მექანიკური დამახსოვრება, უღვივებს მოსწავლეებს მათემატიკის მიმართ ინტერესს და ქმნის საფუძველს მათემატიკური უნარების განვითარებისათვის“ (გვ. 11), რაც ხელს უწყობს საგნისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებას, მოსწავლეთა ჩართულობას და მათემატიკის სწავლებაში წარმატების მიღწევას მომდევნო საფეხურზე. წინარე ცოდნაზე დაფუძნებული სწავლება წამოადგენს სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომის საფუძველს, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავ.

მოსწავლის მზაობასთან ერთად, TIMSS 2007-2015 ანგარიშში, მოსწავლის აკადემიური წარმატების ერთ-ერთ საფუძვლად მიჩნეულია მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის არსებობა. „თუ კლასში მოსწავლეები ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში, აქვთ კონკრეტული საგნის შესწავლის მოტივაცია, გამოხატავენ სწავლის მიმართ ენთუზიაზმს და ინტერესს, ეს პოზიტიურად აისახება კლასში თითოეული ამ მოსწავლის შედეგებზე“ (გვ. 232). მკვლევარები თვლიან, რომ ინტერესი და მოტივაცია არის მოსწავლის პირადი ძალისხმევის წინაპირობა და იგი გრძელდება გაკვეთილის ან საკითხის შესწავლის დამთავრების შემდეგაც.

TIMSS-ის შედეგები აჩვენებს, რომ 2007 წლიდან 2015 წლამდე, რაც უფრო დიდი სიამოვნებით სწავლობენ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მათემატიკას, მით უკეთესი შედეგები აქვთ მოსწავლეებს. ასევე, სპეციალისტების აზრით, „მოსწავლეს ჩამოუყალიბდება მაღალი მოტივაცია, თუ მას სჯერა, რომ მათემატიკა მნიშვნელოვანი საგანია“ (Liu, Koirala, 2009, წყაროში: TIMSS 2011),



შესაბამისად, მათემატიკის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება მოსწავლეთა მოტივაციაზე მოქმედი მიშვნელოვანი ფაქტორია. *„ბავშვების სწავლის მოტივაციაზე გავლენას ახდენს ის, თუ რამდენად ღირებულად მიიჩნევენ ისინი მათემატიკის სწავლას მათი მომავალი კარიერისთვის. საგნის მიმართ ინტერესი აღვიძებს მოსწავლის სწავლის მიმართ მოტივაციას და ხელს უწყობს სიღრმისეული ცოდნის მიღებას“* (TIMS 2011: 171) აღნიშნული კი განაპირობებს მოსწავლეთა უკეთეს შედეგებს ამ საგანში. თუმცა, 2011 წლის კვლევის ანგარიშში, ნათქვამია, რომ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისთვის, მათემატიკის მოწონებისა და მისი ცხოვრებაში გამოყენების მნიშვნელობის გააზრების გარდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ასევე, მოსწავლის რწმენას, თავდაჯერებულობას, რომ შეუძლია მოცემული ამოცანის გადაწყვეტა და საგნის დაძლევა. როგორც აღმოჩნდა, რაც უფრო მაღალია ბავშვის თვითრწმენა, მით უკეთეს შედეგს აჩვენებს ის ტესტში (TIMSS 2007, 2009). თუმცა, *„მათემატიკისადმი დადებითი დამოკიდებულების მქონე მოსწავლეს შეიძლება დაბალი თვითეფექტურობა ქონდეს“* (TIMS 2011:173), შესაბამისად, მოსწავლის თვითეფექტურობის გაზრდა მასწავლებლის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. *„ძლიერი თვითრწმენა ხელს უწყობს მოსწავლეების სწავლაში ჩართვას, შეუპოვრობის, ძალისხმევისა და ყურადღების გამოჩენას“* (TIMS 2011: 173). მაღალი ჩართულობა კი, იწვევს მაღალ აკადემიურ მიღწევებს.

როგორც ცნობილია, სპეციალისტები მოტივაციის ორ ტიპს განასხვავებენ: შინაგანს და გარეგანს (იხ. მოტივაციის ტიპები, გვ. 17). შინაგანად მოტივირებული მოსწავლისთვის საგნის შესწავლა სასიამოვნო და საინტერესოა, ხოლო გარეგანი მოტივაცია განიხილება, როგორც აქტივობის სტიმულირება გარედან (შექება, ჯილდო და სხვ.). მკვლევარების უმრალესობა ადასტურებს შინაგანი მოტივაციის უპირატესობას სწავლის შემთხვევაში და თვლის, რომ გარეგანი მოტივაცია უარყოფით გავლენას ახდენს შინაგანზე, ხოლო ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ გარეგანი მოტივაცია ყოველთვის უარყოფით გავლენას არ ახდენს მოსწავლის შინაგან მოტივაციაზე. სახელმძღვანელოში *„ეფექტიანი სწავლება სკოლაში“* (2009) *„მოსწავლის წარმატების აღიარება: კვლევები და თეორიების“* ქვეთავში (გვ. 63) გადმოცემულია, 1971 წლიდან ძალისხმევის აღიარების („ჯილდოს“) მოტივაციაზე გავლენის შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგები, რომლითაც დასტურდება, რომ მოსწავლის წარმატების აღიარება ამცირებს მის შინაგან მოტივაციას (მარზანო, ფიქერინგი, ფოლოქი, 2009), ასევე ნათქვამია, რომ 1983 წლამდე ჩატარებულ

კვლევების შედეგების გათვალისწინებით გაკეთებულია ზოგადი დასკვნა: ჯილდო ყოველთვის უარყოფით გავლენას არ ახდენს მოსწავლის შინაგან მოტივაციაზე. „ძირითადი დასკვნა, რაც შეიძლება ამ კვლევების მიმოხილვით გაკეთდეს, გახლავთ ის, რომ ჯილდომ შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს, ან პირიქით, გაზარდოს მოტივაცია. ყველაფერი დამოკიდებულია გარემოებებზე“ (მორგანი, გვ. 25, წყაროში: მარზანო, ფიქერინგი, ფოლოქი, 65). აქვე გადმოცემულია, რომ შემდეგომ წლებში, უ.უიერსმამ (1992), ჯ. ქამერონმა და უ. ფირსმა (1994) მნიშვნელოვანი მეტაანალიზი ჩაატარეს ამ თემაზე და დაადასტურეს მორგანის დასკვნა. თუმცა, შინაგანი მოტივაციის გაზომვის მეთოდის სხვადასხვაობის გამო მკვლევარები სხვადასხვა დასკვნებამდე მივიდნენ. 44 კვლევა, რომელიც შინაგანი მოტივაციის საზომად „თავისუფალ დროს მოსწავლის საქმიანობას“ იყენებს, ასკვნიდა, რომ ჯილდოს მცირედ ნეგატიური გავლენა აქვს შინაგან მოტივაციაზე, ხოლო 39 კვლევა, რომელიც მოსწავლის შინაგან მოტივაციას საქმიანობისადმი დამოკიდებულებით ზომავდა, ადასტურებს, რომ ჯილდო ხელს უწყობს მის ზრდას. ასევე, გამოიკვლიეს მოსწავლის შესაძლებლობა შეასრულოს ჯილდოსთან დაკავშირებული დავალება და 11 კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ჯილდოს დადებითი გავლენა აქვს მოტივაციაზე. „ზოგადად, მოსწავლის მოტივაციაზე ჯილდოს უარყოფითი გავლენა იკვეთება მხოლოდ მაშინ, როცა მკვლევარი მოტივაციის საზომად იყენებს მოსწავლის თავისუფალ არჩევანს, რომ დრო დავალების შესრულებას დაუთმოს“ (უიერსმა, 1992, გვ.101, წყაროში: მარზანო, ფიქერინგი, ფოლოქი, 67). ჯილდო ყველაზე ეფექტურია, მაშინ, როცა მისი მიღება აკადემიური მოსწრების გარკვეული სტანდარტის მიღწევას უკავშირდება. ავტორების გადმოცემით, უ. უიერსმას (1992), ისევე როგორც ჯ. ქამერონისა და უ. ფირსის (1994) მიერ ჩატარებული მეტაანალიზი ადასტურებს, რომ „მოსწავლეთა შინაგან მოტივაციაზე უარყოფითი გავლენა ჯილდოს შეიძლება ჰქონდეს მაშინ, როდესაც დავალების შესრულებისათვის მოსწავლეებს ისე აჯილდოებენ, რომ არ აფასებენ დავალების შესრულების ხარისხს“ (მარზანო, ფიქერინგი, ფოლოქი, 68). აღნიშნულ წყაროში, მოსწავლეთა აღიარების შესახებ ასახული ბოლო დასკვნა უკავშირდება იმას, რომ სიტყვიერ აღიარებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან აღმოჩენებს ქამერონი და ფირსი შემდეგ დასკვნამდე მიჰყავს: „როდესაც ადამიანების შესაფასებლად შექებასა და პოზიტიური შეფასების სხვა ფორმებს თუნდაც დროებით იყენებენ, მათი შეწყვეტის შემდეგ, ადამიანები ამ საქმისადმი ინტერესს მაინც ამჟღავნებენ“ (მარზანო, ფიქერინგი, ფოლოქი, 69).

გარეგანი მოტივაციის საშუალებები ემყარება მოსწავლის პიროვნულ აღიარებას, რაც აძლევს მოსწავლეს გამოცდილებას და აძლიერებს მის ძალისხმევას, „*ისინი აცნობიერებენ, რომ დამატებითი მცდელობა გაზრდილ წარმატებასთანაა დაკავშირებული*“ (მარზანო, ფიქერინგი, ფოლოქი, 71) და იზრდება არა მარტო აკადემიური მოსწრება, არამედ იზრდება მოსწავლის მოტივაცია კიდევ უფრო მეტი იშრომოს მიზნის მისაღწევად.

საინტერესოა, შინაგანი მოტივაციის გავლენა მოსწავლის საგნის მიმართ დამოკიდებულებასა და მიღწევებზე, „*მკვლევარებმა დადებითი და ძლიერი კორელაცია დაადგინეს მოტივაციასა და მიღწევას შორის*“ (McDermott, Mordell & Stotzfus 2001; Wang, Heartel, & Welberg, 1993; R. Weinstein, 1998, წყაროში: წერეთლი, II-III, 2016, 17). ასევე, „*მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევაში*“ (I ნაწილის IV თავი) გადმოცემულია აზრი, რომ „*მოტივაცია, როგორც შინაგანი, ასევე, გარეგანი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსწავლის მიღწევებს, რაც უფრო მეტად მოტივირებულნი არიან მოსწავლეები, მით მეტია სწავლის ხარისხი, რაც ნაკლებად, შესაბამისად, სწავლის ხარისხიც იკლებს*“ (ინასარიძე, ლობჯინძე და სხვები, 101). აქვე ნათქვამია, რომ შინაგანად მოტივირებულ მოსწავლეები, გარეგანი მოტივაციისგან განსხვავებით უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სწავლას, უყალიბდებათ სწავლის მიმართ დადებითი განწყობა და თავდაჯერებულობა, შესაბამისად, მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს პროცესზე, მის მიერ მიღებულ სიამოვნებაზე და არა შედეგზე, გამოიყენოს მრავალფეროვანი სტრატეგიები და აქტივობები და ჩართოს მოსწავლეები ისეთ აქტივობებში, რომლებიც დააკმაყოფილებს მათ ინტერესებს, აღძრავს ცნობისოყვარეობას და დაკავშირებულია მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. ავტორების აზრით, შინაგან მოტივაციას ამაღლებს სირთულეებთან შეჭიდება, თუმცა ზედმეტად რთულმა დავალებებმა მოსწავლეთა დემოტივაციაც შეიძლება გამოიწვიოს, ასევე მაღალი მოლოდინების გამოხატვა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებას.

ავტორები ხაზს უსვამენ მოტივაციისა და ჩართულობის მჭიდრო კავშირს სასწავლო პროცესში, მათი აზრით „*მოსწავლე, რომელიც ხედავს საკუთარ პროგრესს, შინაგანად მოტივირებულია და გამკვეთილზე მაღალი ჩართულობის მზაობაც აქვთ*“ (ინასარიძე, ლობჯინძე და სხვები, 102) და გვაწვდიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობის ხელშესაწყობ სტრატეგიებს:

- *საინტერესოდ და მრავალფეროვნად წარმოდგენილი სასწავლო მასალა;*
- *ისეთი მასალა/ საქმიანობის შეთავაზება, რომელსაც პრაქტიკული ღირებულება გააჩნია;*
- *სწავლების პროცესის იმგვარად დაგეგმვა, რომ მოსწავლეებმა თავად აღმოაჩინონ;*
- *ჯგუფურ საქმიანობებში მონაწილეობა;*
- *გაკვეთილის მსვლელობის ზომიერი ტემპი;*
- *მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა;*
- *სწავლისადმი ინტერესის ასამაღლებელი სტრატეგიების გამოყენება, როგორებიცაა ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებები, არჩევანი, შემეცნებითი თამაშები (როლური, იმიტაციური), კონკურენცია თამაშის ელემენტებით და სხვ.*
- *ისეთი საკლასო გარემოს შექმნა, სადაც აწყობენ სიურპრიზებს, სადაც აქვთ სიამოვნების მიღების შესაძლებლობა ენთუზიაზმის, იუმორის, სიახლეების საშუალებით, სადაც მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება იმოქმედონ საკუთარი ინტერესების მიხედვით, გამოხატონ საკუთარი მიზნები, ღირებულებები და ოცნებები;*

თუმცა ავტორები თვლიან, რომ ზოგჯერ მასწავლებელი შეიძლება მოტყუვდეს ე.წ. მოჩვენებითი აქტიურობით (მაგალითად, მოსწავლეები ფიზიკურად აქტიურობენ: ხაზავენ, აფერადებენ), მაგრამ ჩართულობა გულისხმობს არა ფიზიკურ, არამედ შემეცნებით აქტიურობას, როცა მოსწავლეები ფიქრობენ, სვამენ შეკითხვებს, უარყოფენ ან ადატურებენ ახვათა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, ამიტომ მასწავლებელმა, გაკვეთილის დაგეგმვის დროს უნდა გაითვალისწინოს სწორედ აზროვნების პროცესის აზროვნების მასტიმულირებები დავალებების გათვალისწინება გაკვეთილის დაგეგმვისას (დისკუსია, ექსპერიმენტი).

მზია წერეთელია “რიდერში“ (II-III, 2016) გადმოგვცემს მკვლევარების აზრს: „სწავლება და მოტივაცია ერთმანეთზე იმდენად ურთიერთდამოკიდებულია, რომ შეუძლებელია რომელიმეს გაგება მეორის გარეშე“ (Brophy, 2004; Pintrich & Schunk, 2002, წყაროში: წერეთელი, 2016: 20) და, რომ მოსწავლეები შინაგანად მოტივირებულნი არიან სასწავლო აქტივობებით ან გამოცდილებით, როცა:

1. *თავს იჩენს/ვლინდება გამოწვევა - იგი აღმოცენდება მაშინ, როცა მიზანის მიღწევა არ არის ადვილი და და წარმატება გარანტირებული არაა. გამოწვევასთან შეჯახება ემოციურ კმაყოფილებას იწვევს (R.Ryan & Deci, 2000; Stipek, 2002, წყაროში: წერეთელი, 2016: 19).*

2. იგი უქმნის შემსწავლელს ავტონომიის განცდას-მოსწავლეები უფრო მეტად მოტივირებული ხდებიან, როდესაც ისინი გრძნობენ, რომ მათ შეუძლიათ სიტუაციის მართვა და საკუთარ სწავლაზე გავლენის მოხდენა (N.Perry, 1998; Ryan & Deci, 2000, წყაროში: წერეთლი, 2016: 19).

3. ხდება ცნობისმოყვარეობის პროვოცირება - საინტერესო, ახალი, მოულოდნელი და განსხვავებული გამოცდილება ქმნის ინტრინსიკულ მოტივაციას (Brophy, 2004, წყაროში: წერეთლი, 2016: 19).

4. ხდება შემოქმედებობის ან ფანტაზიის ამუშავება - გამოცდილება ეხმარება მოსწავლეს საგნის შინაარსი საკუთარი ფანტაზიის მიხედვით წარმოიდგინოს (Lapper & Hodell, 1989, წყაროში: წერეთლი, 2016: 19).

სოფიო გორგოძის აზრით, კი, რომელიც გადმოცემულია ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევაში (2012), გასათვალისწინებელია ისიც, რომ თითოეული მოსწავლე განსხვავებულია, ის რაც ერთ მოსწავლეს მოტივაციას აღუძრავს შესაძლოა სხვა მოსწავლეს პირიქით, მოტივაციას უხშობდეს. სწორედ ამიტომ მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს საკუთარ მოსწავლეებს, რათა სწორად შეარჩიოს სამოტივაციო სტრატეგიები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ავტორი თვალის, რომ „მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის გაზრდა მათი გამოცდილებებისა და ინტერესების შესწავლითაა შესაძლებელი“. ყოველ მოსწავლეს კონკრეტული ინტერესები და გამოცდილება გააჩნია, მაგალითად ეს შეიძლება იყოს ცურვა, მოგზაურობა, ცხოველების სიყვარული, ოჯახური პრობლემები, ავადმყოფობის გადატანა, მოხალისეობა, დ.ა.შ.“ მასწავლებლებს შეუძლიათ ამ გამოცდილებებთან და ინტერესებთან დააკავშირონ სასწავლო საკითხები, რაც მათ მოტივაციის გაზრდას შეუწყობს ხელს.

ასევე, სოფიო გორგოძე გვაწვდის სპრიკისეულ (2006) რჩევებს, თუ როგორ გავზარდოთ მოსწავლეთა მოტივაცია მათი აქტიურობის სტიმულირებით ეფექტური ჩართულობის უზრუნველსაყოფად (სპრიკი, 2006, წყაროში: გორგოძე, 2012: 92):

- ნუ ისაუბრებთ ბევრს, შეამცირეთ სალექციო მეთოდის გამოყენების სიხშირე და ხანგრძლივობა, ნუ მისცემთ მოსწავლეებს მოდუნების საშუალებას;
- დასვით კითხვები, მოაწყვეთ დისკუსიები და განხილვები;
- გამოიყენეთ გონებრივი იერიში;
- მოსწავლეები ამუშავეთ წყვილებსა და ჯგუფებში;

- მიეცით მოსწავლეებს მცირე მოცულობის დამოუკიდებელი სამუშაო;
- გაკვეთილებზე დანერგეთ როლური თამაშები და სიტუაციური ამოცანები;
- გამოიყენეთ სასწავლო ვიზუალური თვალსაჩინოებები

### **3.6. მათემატიკის სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომა**

განათლების ექსპერტები და მკვლევარები, თანხმდებიან იმაზე, რომ მასწავლებელთა კვალიფიკაცია და პროფესიული უნარები გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თანამედროვე კვლევების ინტერესს წამოადგენს მასწავლებლის დამოკიდებულებებისა და მათემატიკის სწავლებასთან დაკავშირებული შეხედულებების შეფასება. TIMSS 2011-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2008 წელიდან, საქართველო ჩართულია „მათემატიკის მომავალი მასწავლებლების განათლების საერთაშორისო კვლევა TEDS-M“-ში, რომლის მიზანია მასწავლებელთა განათლებისა (მათემატიკის ცოდნა, სწავლების მეთოდოლოგია, პროფესიული უნარები) და მათემატიკის სწავლა-სწავლების ხელშეწყობა. აღნიშნულ კვლევაში მონაწილე ყველა ქვეყანა აღიარებს და იზიარებს სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომის ეფექტურობას მათემატიკაში. „*მოსწავლე ყველაზე უკეთ ითვისებს მაშინ, როდესაც ის ინფორმაციის პასიური მიმღები კი არ არის, არამედ სწავლის პროცესის აქტიური თანამონაწილეა - თავად ახდენს საკუთრი ცოდნის კონსტრუირებას და საკუთრი გამოცდილების მეშვეობით ართმევს თავს დავალებას*“ (ტიმს 2011: 158), ხოლო, თუ როგორ ისწავლიან მოსწავლეები ამაზე გავლენას ახდენს მასწავლებლის მაღლი მოლოდინები თანაბრად ყველა მოსწავლის მიმართ. ხშირად, მოსწავლეს, რომელიც დაბალი აკადემიური მოსწრების მქონეაა მიჩნეული, აკლია მასწავლებლის მხარდაჭერის მცდელობა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვზე და უფრო ამცირებს შედეგებს.

სწავლების კონსტრუქტივისტულ მიდგომაზე, ია კუტალაძე, სტატიაში „TIMSS 2011 - ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლეთა მიღწევებზე მათემატიკაში“ აღნიშნავს, რომ „*სწავლის პროცესში აქტიური ჩართვა კონსტრუქტივისტული მიდგომის ძირითადი პრინციპია*“. მისი აზრით, ამ თეორიის მიხედვით მოსწავლე სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა, რომელიც ცოდნას აგებს საკუთრი აქტიური თანამონაწილეობით წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. „*მათემატიკის სწავლასა და სწავლებასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპები*

მოიცავს მასწავლებელთა გაცნობიერებულ მოლოდინს იმის შესახებ, თუ რა უნდა ისწავლონ მოსწავლეებმა უკვე არსებული ცოდნის გათვალისწინებით“ (Sabean, Bavaria, 2005, წყაროში: კუტალაძე, II ნაწ. 2013). აქვე, გადმოცემულია, რომ „მათემატიკური პროცედურების გაგება გააზრება და არა მისი მექანიკური დამახსოვრება, უღვივებს მოსწავლეებს მათემატიკის მიმართ ინტერესს და ქმნის საფუძველს მათემატიკური უნარის განვითარებისათვის“, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებით საფეხურზე ამ საგნისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის და მათემატიკური უნარის შემდგომი განვითარებისათვის.

დაწყებითი განათლების პროექტ „G-pried“ –ის ელექტრონული კურსების (მათემატიკის სწავლების ინოვაციური მეთოდები (I-IV), სესია #1), საკითხავ მასალაში „მათემატიკის ინტერაქტიული კონსტრუქტივისტული სწავლება და ეფექტიანი გარემო“ გადმოცემულია, რომ „კონსტრუქტივიზმის თეორია ემყარება მოსაზრებას, რომ ეფექტიანი სწავლება მხოლოდ თხრობით, მასალის მოყოლით შეუძლებელია. მასწავლებელი მოსწავლეებს უნდა დაეხმაროს, თავად მოახდინონ ახალი იდეების კონსტრუირება წინარე ცოდნის საფუძველზე“ (გვ.1) და ყურადღება გამახვილებულია სამ ძირითად, მოქმედ ფაქტორზე: მოსწავლის ანალიტიკური აზროვნება; თანაკლასელებთან სოციალური ინტერაქცია და საწავლო მოდელებისა და ხელსაწყოების გამოყენება (თვალსაჩინოებები, სიმბოლოები, კომპიუტერული პროგრამები, ნახატები, მოთხრობები და სხვ.). ასევე, მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა მზაობას და საჭიროებებს და ეხმარება მოსწავლეებს მცირე და დიდ ჯგუფებში თანამშრომლობით აღმოაჩინონ კავშირები წინარე გამოცდილებას, ახალ ცოდნასა და გარე სამყარო შორის, ამარაგებს მათ განვითარების დონის შესაბამისი, ადეკვატურად რთული ამოცანებით და სავარჯიშოებით და იყენებს აქტიური სწავლების სხვადასხვა ფორმას: დიალოგური სემინარი, ჯგუფური მუშაობა, პროექტი, პრაქტიკუმი, კეთებით სწავლება, დისკუსია, გონებრივი იერიში და ქმნის სწავლისათვის ხელსარელ, კომფორტულ ფიზიკურ გარემოს, „რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას და ქმნის მათემატიკის წარმატებულად შესწავლის აუცილებელ პირობას“ (გვ.3) (მაგ. კედლებზე განთავსებული პოსტერები, პლაკატები, სტერეომეტრიული მოდელები, სახაზავები, ტრანსპორტირი, მოსწავლეების ნამუშევრები და სხვ.).

ასევე, სესიაში #4 „საკითხის სწავლება კონსტრუქტივისტული მეთოდის გამოყენებით“ გადმოცემულია, რომ კონსტრუქტივიზმისთვის ძალიან მნიშვნელოვანია შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება, შეცდომის მიზეზებში წვდომა და ხშირი უკუკავშირი/გამოხმაურება მოსწავლის განვითარებისა და საკითხის შესწავლის შესახებ და სკაფოლდინგი (სასწავლო ხარაჩო) სასწავლო შინაარსის გაგებისათვის. სწავლების აღნიშნული მიდგომა (სამფაზიანი გაკვეთილის მოდელი) იწვევს შესასწავლი საკითხისადმი ინტერესის აღძვრას, მოსწავლეთა წახალისებას წინარე ცოდნის გააქტიურებისათვის, მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას პრაქტიკულ საქმიანობებში, სწავლის მიზნისა და ნასწავლის ღირებულების გააზრებას, რაც განაპირობებს *„მოსწავლეთა მოტივაციას დამატებითი და გაღრმავებული ძიებისთვის, თვითშეფასებისთვის, შემდგომი სწავლისთვის და ა.შ.“* (გვ.6).

ასევე, სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპების შესახებ გადმოგვცემს ნუცა (მაგდა) კობახიძე, გამოცდების ეროვნული ცენტრის გამოცემაში „ეფექტიანი სწავლება თეორია და პრაქტიკა“ (2010). აღნიშნული პრინციპები, ავტორის აზრით, დამყარებულია მოსწავლის გამოცდილებაზე, მათი განვითარებისა და სწავლის თეორიების გათვალისწინებაზე სასწავლო აქტივობების შერჩევას, ცოდნის კონსტრუირებისას სოციალური სიტუაციების (ჯგუფური მუშაობა, დისკუსია) გამოყენებასა და ზრდის მოსწავლის აქტიურობას და ჩართულობას ცოდნის აგების პროცესში. შესაბამისად, *„მასწავლებელი სწავლების პროცესში ცდილობს, მეთოდები მოსწავლეთა ინტერესებს მაქსიმალურად მოარგოს, წახალისოს მოსწავლეები, რათა მათ შეძლონ ფაქტების, მოვლენებისა და ცნებების ანალიზი და ინტერპრეტაცია“* (გვ. 6), რაც მიიღწევა მოსწავლის წინა ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით დაგეგმილი გაკვეთილების საშუალებით.

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია ერთ-ერთი ყველაზე ქრონიკული პრობლემაა სკოლის მასწავლებლებისთვის (Rubinson, 2004, წყაროში: წერეთელი, 2016) და ზოგადად, განათლების სისტემისთვის, რომელიც მნიშვნელოვნად აისახება მოსწავლის სწავლის შედეგებზე. იგი გამოიხატება მოსწავლეების მხრიდან მონდომებისა და პასუხისმგებლობის ნაკლებობაში, პასიურობასა და უყურადღებობაში, უინტერესობასა და შფოთში, სწავლისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში და საბოლოოდ, მოსწავლეთა დაბალ აკადემიურ შედეგებსა და მიღწევებში. ამის მიზეზი კომლექსურია, მოსწავლის მოტივაციაზე



გავლენას ახდენს, მისი, როგორც შინაგანი (პიროვნული) ფაქტორები, როგორებიცაა: ასაკი, მოთხოვნილებები, ინტერესები, ცნობისმოყვარეობა, ღირებულებები, დამოკიდებულებები, მოლოდინები, თვითფექტურობა, ემოციები, თვითშეფასება, ინტელექტი, უნარები და გარეგანი ფაქტორები: ჯილდო, დასჯა, სოციალური ზეწოლა სხვა, ასევე, მასწავლებლის მახასიათებლები: პირადი თვითშეფასება სწავლებაზე, მზრუნველობა, ენთუზიაზმი, მოდელირება, მოლოდინები და სხვა (წერეთელი, 2016, IV). მნიშვნელოვანია, აგრეთვე, სკოლის კლიმატი, ოჯახისა და საზოგადოების ფაქტორები და ის სოციალური გარემო, სადაც ბავშვი იზრდება. „მოტივაცია მოსწავლის ცნობისმოყვარეობის აუცილებელი პირობაა და ხელს უწყობს განათლების, ცოდნის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას“ (გაბაშვილი, 85). ცნობისმოყვარეობა კი, შ. ჩხარტიშვილის მიხედვით, ინტელექტუალური მოთხოვნილებაა, რომელიც აღიარების, ურთიერთობის და დამოუკიდებლობის მოთხოვნილებებთან ერთად გამოკვეთილი წამყვანი მოტივია უმცროს სასკოლო ასაკში და უბიძგებს მოსწავლეს აქტივობისაკენ (ჯანელიძე, ლაბარტყავა და სხვები, 90).

მრავალი თეორია ცდილობს ახსნას მოტივაციის გამომწვევი მიზეზები და გაანალიზოს ის სხვადასხვა ფაქტორთან მიმართებაში. მოსწავლეები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ასაკობრივი და მორალურ-ემოციური განვითარებით, გამოცდილებით, საჭიროებით, სწავლის მრავალმხრივი ინტელექტითა და რწმენა-დამოკიდებულებებით, ასევე სოციალური და კულტურული კონტექსტით, რაც განაპირობებს მოტივაციის ამალგებაზე მოქმედ ფაქტორთა მრავალგვარობას და შეუძლებელს ხდის მოტივაციის გამომწვევი ერთი კონკრეტული მიზეზის დადგენას (აბულაძე, 24.06.2014).

ზემოთ განხილული ლიტერატურიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლის მაღალ მოტივაციას, ჩართულობასა და სასწავლო მიღწევებს შორის ძლიერი და პირდაპირი კავშირი არსებობს. სწავლების პროდუქტიულობა იზრდება, როდესაც მოსწავლეები თავად არიან აქტიური სასწავლო პროცესის განმავლობაში. როდესაც მოსწავლეს გაკვეთილზე ვუქმნით პირობებს, რომ თავად იყოს სწავლების პროცესის აქტიური მონაწილე, მისი სწავლის მოტივაცია იზრდება. აქ კი უმნიშვნელოვანესია მასწავლებლის ფაქტორი, რომელიც სხვა შიდა სასკოლო და გარე ფაქტორებთან ერთად, საკუთარი სწორი დამოკიდებულებით, ენთუზიაზმითა და მაღალი კომპეტენტურობით, ზემოთ ჩამოყალიბებულ კვლევებსა და თეორიებზე დაფუძნებული

რჩევების გათვალისწინებით, უმეტესწილად განაპირობებს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და განვითარებას.

ადრეულ თუ თანამედროვე ლიტერატურაში გადმოცემულია მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მრავალი ეფექტური მეთოდი და სტრატეგია, რის მიხედვითაც, ეფექტურ მასწავლებელს შეუძლია: შექმნას სწავლებაზე ორიენტირებული უსაფრთხო და მამოტივირებელი საკლასო კლიმატი; ჩამოაყალიბოს პოზიტიური პიროვნული ურთიერთობები; დაისახოს სწავლის მაღალი მოლოდინები და მიზნები; სწავლების პროცესი მთლიანად მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს და სწავლის სტილს; გამოიწვიოს მაღალი ჩართულობა და უზრუნველყოს ავტონომიურობა; დადებითად შეცვალოს მოსწავლის რწმენები, დამოკიდებულებები სწავლისადმი და გაზარდოს მათი თვითეფექტურობა; აღძრას მოსწავლეთ ცნობისმოყვარეობა და შეინარჩუნოს მათი ინტერესი სწავლების კონსტრუქტივისტული და დიფერენცირებული მიდგომით, მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობებისა და რესურსების გამოყენებით; დაბალანსებულად და გააზრებულად გამოიყენოს შინაგანი და გარეგანი მოტივატორები (შექება, ჯილდო და სხვ.) და დაეხმაროს თითოეულ მოსწავლეს წარმატებული სწავლისთვის საჭირო ძლისხმევის გამოყენებაში.

ამდენად, მასწავლებელმა, მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლების შესწავლის საფუძველზე, უნდა განახორციელოს მოსწავლეთა სწავლის მოტივირების ეფექტიანი პოლიტიკა, შექმნას მზრუნველი, მხარდამჭერი, უსაფრთხო და მოწესრიგებული სწავლაზე ორიენტირებული საკლასო სასწავლო გარემო და მუდმივი დაკვირვებისა და ეფექტიანი რეაგირების რეჟიმში ხელი შეუწყოს მოსწავლის შინაგანი მოტივაციის ამაღლებასა და განმტკიცებას შესაბამისი სასწავლო სტრატეგიებითა და მეთოდებით, ასევე, ადეკვატური გარეგანი განმამტკიცებლებისა და წამახალისებელი ინსტრუმენტების გამოყენებას სწავლების პროცესში.

#### **თავი 4. კვლევის განხორციელების გეგმა**

კვლევის დაგეგმვის დასაწყისში შევიმუშავე განხორციელების გეგმა შესასრულებელი სამუშაოებისა და ვადების გათვალისწინებით.

ცხრილი N1. კვლევის განხორციელების გეგმა

	შესასრულებელი სამუშაო	ვადები (თვე) 2019 წელი					
		I	II	III	IV	V	
	პრობლემის იდენტიფიცირება	X					
	კვლევის გეგმის შემუშავება	X					
1	ლიტერატურის მიმოხილვა		X				
2	ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმის შემუშავება (მასწავლებლები/ მოსწავლეები)		X				
	ინტერვიუს გეგმა-კითხვარის შემუშავება		X				
3	ფოკუს ჯგუფის ჩატარება (მასწავლებელი/ მოსწავლე)			X			
4	ინტერვიუ საგნის მასწავლებლებთან			X			
	ანკეტების კითხვარების შემუშავება/პილოტირება			X			
5	ანკეტირება მშობლებთან/მოსწავლეებთან			X	X		
7	მონაცემების შეგროვება და ანალიზი				X		
8	ინტერვენციების დაგეგმვა				X		
	ინტერვენციების განხორციელება				X	X	
9	კვლევის შედეგების ანალიზი					X	
10	საბოლოო ანგარიშის მომზადება					X	X

**თავი 5. კვლევის ინსტრუმენტები და შერჩევის სტრატეგია**

მოცემულ თავში წარმოდგენილია ინფორმაცია პრაქტიკული კვლევის პროცესში გამოყენებული კვლევის ინსტრუმენტების შესახებ. კვლევისას გამოყენებული იყო, როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები.

## 5.1 თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტები

თვისებრივმა კვლევამ საშუალება მომცა სიღრმისეულად გამოძვევლია სამიზნე ჯგუფების (მასწავლებლები, მოსწავლეები) დამოკიდებულება, მოსაზრებები და შეხედულებები საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, გამოძვევითა პრობლემური საკითხები და მოძვემზადებინა ეფექტური კითხვარი რაოდენობრივი კვლევისთვის. თვისობრივი კვლევისას გამოყენებული იქნა შემდეგი ინსტრუმენტები:

- ფოკუს ჯგუფი
- პირისპირ/ჩადმავებული ნახვერადსტრუქტურიზებული ინტერვიუ

პირველ ეტაპზე, ჩავატარე ფოკუს ჯგუფი დაწყებითი საფეხურის (1-4 კლ.) მათემატიკის მასწავლებლებთან.

შერჩევის ტიპი: მიზნობრივი შერჩევა (ჩემს გარდა ყველა მასწავლებელი);

გენერალური ერთობლიობა: 11 მასწავლებელი;

გამოკითხულთა ერთობლიობა: 10 მასწავლებელი.

ჩემთვის საინტერესო იყო კოლეგების გამოცდილებისა და შეხედულებები გაცნობა, მათი მოსაზრებებისა და პოზიციების გაგება დაწყებით საფეხურზე, მათემატიკის საგნის სწავლის მოტივაციის თვალსაზრისით არსებული პრობლემების, მათი გამოძწვევი მიზეზებისა და გადაჭრის სტრატეგიების/მეთოდების შესახებ. შევიმუშავე ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმა, რომელიც შედგებოდა 7 კითხვისაგან (იხ. დანართი N2) და ფოკუს ჯგუფის ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 1 საათსა და 15 წუთს.

შემდეგ, ჩავატარე ფოკუს ჯგუფი საკვლევ კლასის მოსწავლეებთან (IV კლასი).

შერჩევის ტიპი: მიზნობრივი შერჩევა (სურვილის ნიხედვით);

გენერალური ერთობლიობა: 23 მოსწავლე;

შერჩევითი ერთობლიობა: 11 მოსწავლე;

გამოკითხულთა ერთობლიობა: 11 მოსწავლე.

მოსწავლეთა ფოკუს ჯგუფისათვის შევიმუშავე სადისკუსიო კითხვარი, რომელიც შედგებოდა 7 კითხვისაგან (იხ. დანართი N3) და რომელმაც საშუალება მომცა გამეგო მოსწავლეთა შეხედულებები მათი სასწავლო მოტივებისა და დაბალი მოტივაციის მიზეზების, ასევე, მოძვესმინა

მოსაზრებები მოტივაციის ამალღების გზების შესახებ. ფოკუს ჯგუფი მიმდინარეობდა დაახლოებით 1 საათის განმავლობაში.

ფოკუს ჯგუფების შემდეგ, საკვლევი კლასის საგნის მასწავლებლებთან, ჩავატარე პირისპირ/ჩაღრმავებული, ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ.

შერჩევის ტიპი: მიზნობრივი (ჩემს გარდა ყველა მასწავლებელი);

გენერალური ერთობლიობა: 6 მასწავლებელი;

გამოკითხულთა ერთობლიობა: 5 მასწავლებელი.

ინტერვიუსთვის შევიმუშავე გეგმა-კითხვარი, რომელიც შედგებოდა 11 კითხვისაგან (იხ. დანართი N4) ინტერვიუმ საშუალება მომცა გამეგო რა პრობლემებს აწყდებიან საგნის მასწავლებლები აღნიშნულ კლასთან მოტივაციის თვალსაზრისით, რა ფაქტორები განაპირობებს მათი აზრით მოსწავლეთა დაბალ მოტივაციას და რას თვლიან ისინი მოტივაციის ამალღების საშუალებებად.

## **5.2 როდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები**

როდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი შემუშავდა კვლევის თვისობრივი მონაცემების ანალიზის შემდეგ, როცა მასწავლებელთა და მოსწავლეთა მხრიდან გამოიკვეთა გარკვეული ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის და ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლის მოტივაციას.

როდენობრივი კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენე ანკეტირება:

- ანკეტირება მშობლებთან
- ანკეტირება მოსწავლეებთან

პირველად ჩავატარე მშობელთა ანკეტირება. მოვამზადე კითხვარი, რომელიც შედგებოდა 10 კითხვისაგან (იხ. დანართი N5) ანკეტირების მონაცემები დამეხმარა გამეგო საკვლევი კლასის მშობლების მოსაზრებები საკუთარი შვილის სასწავლო მოტივების, ინტერესებისა და შესაძლებლობების შესახებ, ასევე, მშობელთა დამოკიდებულება მათემატიკისადმი და მათი შეხედულება მოსწავლეთა მოტივაციის ამალღების მხრივ. ანკეტების შევსებისთვის მშობლებს მიეცათ ვადა 3 დღე.

შერჩევის ტიპი: მიზნობრივი შერჩევა

გენერალური ერთობლიობა: 45 მშობელი;

შერჩევითი ერთობლიობა: 23 მშობელი (ერთ-ერთი მშობელი, რომელიც უფრო მეტად არის ჩართული ბავშვის სასწავლო პროცესში);

გამოკითხულთა ერთობლიობა: 22 მშობელი (სსსმ მოსწავლის მშობელმა არ მოგვაწოდა კითხვარი).

შემდეგ, ჩავატარე მოსწავლეთა ანკეტირება, მათი სასწავლო მოტივების, თავდაჯერებულობის, ინტერესებისა და სწავლის სტილის, მათემატიკის საგნისადმი დამოკიდებულების, დაბალი მოტივაციის მიზეზების შესახებ მოსაზრებებისა და მოტივაციის ამაღლების შესახებ ინფორმაციის მოვიპოვების მიზნით. კითხვარი შედგებოდა 13 კითხვისაგან (იხ. დანართი N6) და კითხვარების შევსების ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 30 წუთს.

შერჩევის ტიპი: სრული შერჩევა

გენერალური ერთობლიობა: 23 მოსწავლე;

გამოკითხულთა ერთობლიობა: 22 მოსწავლე (სსსმ მოსწავლე არ ჩაერთო გამოკითხვაში)

## **თავი 6. მონაცემთა ანალიზი და კვლევის შედეგები**

ანგარიშის აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილია გამოყენებული კვლევის ინსტრუმენტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე გაკეთებული ანალიზი, რომელიც ეფუძნება, როგორც თვისობრივი, ასევე, რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

### ***6.1. ფოკუს ჯგუფის შედეგები***

პრაქტიკული კვლევის განხორციელების პროცესში, საკვლევი საკითხის შესახებ მოსაზრებებისა და შეხედულებების გაგებისა და კითხვარების შემუშავებისათვის აღნიშნული ინფორმაციის გამოყენების მიზნით, განხორციელდა ორი ფოკუს ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობდნენ მასწავლებლები და მოსწავლეები.

#### ***6.1.1. ფოკუს ჯგუფი მასწავლებლებთან***

მასწავლებლებთან განხორციელებულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდა დაწყებითი საფეხურის (I-IV კლ.) მათემატიკის 10 პედაგოგი. მასწავლებლებს გავაცანი შეხვედრისა და პრაქტიკული კვლევის მიზნები, ვთხოვე გულწრფელად ემსჯელათ და გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები და

შეხედულებები საკვლევო პრობლემის, მისი გამომწვევის მიზეზებისა და გადაჭრის გზების შესახებ წინასწარ მომზადებული სადისკუსიო გეგმის შესაბამისად.

მასწავლებლების აზრით, მოტივაცია უმნიშვნელოვანესია მოსწავლის სწავლის სურვილის გაჩენისა და გაკვეთილზე, სასწავლო პროცესში ჩართვის თვალსაზრისით. თუ მოსწავლე სწავლის ინტერესი არა აქვს ან ვერ იგებს ახსნილ საკითხს, მაშინ იგი სხვა რამითა დაკავებული გაკვეთილზე და დაბალი აკადემიური მოსწრებით გამირჩევა, ხოლო, მოტივირებული მოსწავლე მაქსიმალურადაა ჩართული საკლასო აქტივობებში და შესაბამისად, მისი სასწავლო შედეგები მაღალია.

შეკითხვაზე - რა მდგომარეობაა მოტივაციის თვალსაზრისით და დგას თუ არა აღნიშნული პრობლემა მათ კლასში? მასწავლებელთა ძირითადი ნაწილი თვლის, რომ დაწყებით საფეხურზე (1-3 კლ), საკუთარ კლასებში, მოსწავლეთა 80% მოტივირებულია ისწავლოს, თუმცა არიან მოსწავლეები, რომლებიც 20 წუთის შემდეგ ვეღარ ინარჩუნებენ ყურადღებას და უინტერესოდ (თითქოს ძინავთ) სხედან გაკვეთილზე ან იწყებენ გართობას. რამოდენიმე კლასში იკვეთება მოსწავლეთა მცირე ნაწილის ქცევის პრობლემებიც. ორი მასწავლებლის აზრით, კლასში ყველა მოსწავლეს მაღალი მოტივაცია აქვს, რაც გამოიხატება მათ მაღალ ჩართულობაში, როცა, ზარის დარეკვის შემდეგაც არ უნდათ გაკვეთილის დასრულება მოსწავლეებს. ასეთი მოსწავლეები მე-4 - მე-5 გაკვეთილებზეც კი არ არიან მოდუნებულები და მაღალ იტერესს ინარჩუნებენ.

მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედი ფაქტორებიდან, გამოკითხულთ აზრით, სწავლის მოტივაციაზე დიდ გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- მასწავლებლის წახალისება (შექება, ჯილდო);
- მასწავლებლის პროფესიონალიზმი და მიდგომები;
- სასწავლო მეთოდები და აქტივობები (თამაშები, ვიდეოგაკვეთილები, ტექნოლოგიები);
- სასწავლო გარემო (მრავალფეროვან სასწავლო რესურსები);
- ოჯახი (მშობლის წახალისება-აღიარება, დასჯის შიში, სოციალური მდგომარეობა);
- ბავშვის სხვადასხვა ინტერესების გათვალისწინება (მოსწონს სათავგადასავლო თემები, ცხოველები, საინფორმაციო ტექსტები, ყიდვა-გაყიდვა, ზღაპრები, მანქანები ..);
- მოსწავლის თვითშეფასება და თავდაჯერებულობა;

- ბავშვების ურთიერთდამოკიდებულება (ბულინგი-დაცინვა, კონკურენციის პირობები (არ უნდათ ჩამორჩნენ ერთმანეთს);
- მოსწავლეებისთვის არჩევანის მიცემა;

დისკუსიისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის ამაღლებას ხელს უწყობს:

- მაღლი თვითშეფასება და თავდაჯერებულობა;
- რწმენა (წარმატებულ შედეგს რომ გამოიღებს შრომა);
- მასწავლებლის აღიარება, თბილი ურთიერთობა, საინტერესო გაკვეთილი;
- სასწავლო გარემო, რომელიც უბიძგებს სწავლისაკენ;
- მშობლის დამოკიდებულება სასჯა-წახალსებისადმი და მათთან თანამშრომლობა;

ხოლო, სწავლის მოტივაციის ამაღლებას ხელს უშლის:

- წახალისების არ ქონა;
- თანაკლასელის დაცინვა;
- მშობელი უარყოფითად ახასიათებს შვილს (არ აქვს მისი შესაძლებლობების რწმენა);
- მასწავლებლის არაპოზიტიური შეფასება/კომენტარი;
- შეცდომების დაშვების შიში (გაკიცხვა);
- დავალებები როცა ძალიან მარტივია ან ძალიან რთული;
- მოტივირებული მოსწავლეების მიერ პასუხების წამოყვრება აფერხებს სხვის ჩართულობას (თვლის რომ მაინც ვერ დაასწრებს და ვერ მოიფიქრებს პასუხს მასზე ადრე);
- გულდაწყვეტილობა (როცა მოსწავლის ინტერესი არაა გათვალისწინებული მაგ. ბოლომდე უნდოდა ტექსტის წაკითხვა და რომ ვერ მოხერხდა - გაიბუტა და დაკარგა კითხვის სურვილი).

საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით, კოლეგები თვლიან, რომ მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ასამაღლებლად საჭიროა შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- საინტერესო და სახალისო აქტივობების განხორციელება (თამაშები, ოდნავ რთული დავალებების მიწოდება და სხვ.);
- სქეების, ცხრილების და თვალსაჩინოებების გამოყენება;



- მაქსიმალური ჩართულობის ხელშემწყობი აქტივობებისა და სასწავლო მეთოდების გამოყენება (ყველა რომ აკეთებს რაღაცას);
- ჯგუფური მუშაობა (როცა ყველა დაკავებულია);
- სხვადასხვა ფორმით მასალის მიწოდება (დიფერენცირების ელემენტები);
- მოსწავლის იტერესების გათვალისწინება;
- თანატოლთა დახმარება (აუხსნას იმან ვინც კარგად გაიგო);
- შეცდომების დაშვების შიშის გაქარწყლება;
- მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილებების მიღებისას.

### *6.1.2. ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებლებთან*

ფოკუს ჯგუფში, სურვილის მიხედვით, მონაწილეობა მიიღო 11 მოსწავლემ, რომლებიც მსჯელობდნენ ასევე, წინასწარ შემუშავებული სადისკუსიო გეგმის მიხედვით. 5 მათგანმა თქვა, რომ მოსწონს მათემატიკის სწავლა, რადგანაც რიცხვებზე მოქმედებები და ამოცანების ამოხსნა საინტერესოა, ხოლო 2-მა მოსწავლემ აღნიშნა, რომ ინგლისური უფრო უადვილდება და ამოტომ უფრო მეტად მოსწონს ამ საგნის შესწავლა. 4 მოსწავლეს მოსწონს მასწავლებელი და საგანიც ამიტომ მოსწონს სწავლა.

კითხვაზე - რა მნიშვნელობა აქვს მათემატიკის შესწავლას? მოსწავლეები ფიქრობენ, რომ მათემატიკა საჭიროა ცხოვრებაში სხვადასხვა საკითხის მოგვარებისას, მაგალითად, გაზომვებისას, ანგარიში საჭიროა: სახლის შესაძენად, პროდუქტების საყიდლად, საბანკო სესხებისთვის, რომ გაიგო რამდენი საწვავი უნდა ჩაასხა მანქანაში, რობოტის აწყობას რამდენი ჭანჭიკი დასჭირდება და სხვ. აგრეთვე, მომავალში, სხვადასხვა პროფესიის დასაუფლებლად: ექიმი, გამომგონებელი, მკვლევარი, და სხვა, საიდანაც, ფაქტიურად გამოიკვეთა მათი ინტერესები და მათემატიკისადმი დამოკიდებულება. სწავლის მოტივებთან დაკავშირებულ შეკითხვაზე - თუ რატომ უნდათ ბავშვებს ისწავლონ? მსჯელობისას გამოკვეთა მოსწავლეთა სწავლის სოციალური და ნაწილობრივ, შემეცნებითი სასწავლო მოტივები: 6 მოსწავლე ფიქრობს, რომ სწავლობენ იმიტომ, რომ არ შერცხვნენ კლასში, არ იგრძნონ თავი დაამცირებულად თანაკლასელებთან და არ ჩამორჩნენ მათ. 2 მოსწავლის აზრით, თუ არაფერი ეცოდინება უმუშევარი დარჩება ქუჩაში, ხოლო, 3 ფიქრობს, რომ თავისთვის სწავლობს, უნდა იყოს განათლებული, ყველაფერი კარგად იცოდეს,

რომ გაახაროს მშობლები და მისით იამაყონ, ასევე, „ვინმემ რომ კითხოს რამე კარგად რომ უპასუხოს“.

მოსწავლეების აზრით, ზოგიერთ მოსწავლეს არა აქვს სურვილი ისწავლოს. მათი დაბალი ინტერესი გამოწვეულია დაბალი თვითშეფასებით, უიმედობით და საკუთარი შესაძლებლობების მიმართ დაურწმუნებლობით და არჩევანის შესაძლებლობის ნაკლებობით. ისინი ფიქრობენ, რომ მოსწავლე საკუთარ თავს ადარებს „კარგ“ მოსწავლეებს და სჯერა რომ ვერასოდეს გახდება მათნაირი და ეს უკარგავს სურვილს ისწავლოს, იცის, რომ ყოველთვის დამარცხდება, ვერ გაიმარჯვებს ვერაფერში და იფიქრებს, რომ „არ შემიძლია არაფერი“-ო. ასევე, მათი აზრით, ზოგისთვის მოსაბეზრებელია ბევრი წერა და მეცადინეობა და ეზარება ბევრი შრომა. ასევე, მსჯელობისასა ყურადღება გაამახვილეს მასწავლებლის შექებაზე და მის სიხშირეზე, თვლიან, რომ თუ არ შევაქებ ამოცანის ამოხსნისას მოსწავლეს, „ცოტა რამეს გააკეთებს, ამიტომ სულ უნდა უთხრათ ყოჩაღ“. მოსწავლეების აზრით, მნიშვნელოვანია, ისიც, რომ თუ ბავშვმა ვერ გაიგო საკითხი და უჭირს დავალებების შესრულება, შემდეგ აღარ მოუნდება სწავლა, რადგან ძალიან ძნელი ეჩვენება, „სხვები კი ამბობენ, რომ ძალიან ადვილია და თავს დაანებებს ამიტომ სწავლას“.

კითხვაზე - რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა რომ მოსწავლეები დააინტერესოს და ყველა ჩაერთოს გაკვეთილში? მოსწავლეების უმრავლესობა ფიქრობს, რომ მოსწავლეთა დასაინტერესებლად მასწავლებელმა ხშირად უნდა შეაქოს ისინი, სიგელები და საჩუქრები გადასცეს წასახალისებლად, აარჩევინოს დავალებები, ამეცადინოს დამატებით, იმისათვის რომ კარგად გაიგონ შესასწავლი საკითხი, ცოტა უსაყვედუროს კიდევ, რომ უკეთ ისწავლოს, ასევე, ერთმა მოსწავლემ თქვა, რომ „კლასში ბევრს უყვარს ფეხბურთი, ხშირად ჩაგვიყვანეთ, გვათამაშეთ და გოლს რომ გაიტანენ რამე შეეკითხეთ, მაგალითად, გამრავლების ტაბულა“-ო. ისინი აქცენტს აკეთებენ თამაშის ტიპის აქტივობებზე და გარეგან წამახალისებლებზე.

საბოლოოდ გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს მოსწონთ საინტერესო და სახალისო გაკვეთილები და არა მაგალითებისა და ამოცანების დაფასთან ამოხსნა. მათი აზრით, ყველას მოსწონს შეჯიბრის და როლური ფორმის თამაშების ტიპის აქტივობები, თუმცა მოგებული გუნდი ხშირად რომ იქებს თავს, ეს არ მოსწონთ. ასევე, მათთვის უკეთესია და საინტერესოა მეგობრებთან ერთად, ჯგუფში რაიმეს კეთება და ერთად სწავლა, შემდეგ კი, სიგელებით დაჯილდოვება. ისინი ფიქრობენ, რომ

თამაშები და ჯგუფური სწავლება იწვევს ყველას ჩართვას და დაინტერესებას, რაც ეთანხმება მასწავლებელთა მოსაზრებას თანატოლთა სწავლების, წამახალისებელი სასწავლო აქტივობებისა და მეთოდების გამოყენებისა და მოსწავლეთა პოზიტიური წახალისების შესახებ. ასევე, ორივე ჯგუფისთვის (მოსწავლეები, მასწავლებლები) მნიშვნელოვანია თანატოლების (არ ჩამოვრჩე, ვერ გავხდები მისნაირი, დაცინვის შიში, წამოძახება), მოსწავლისა (თავდაჯერებულობა (მაინც ვერ ვუპასუხებ, ვერ შევძლებ, შეცდომის შიში) და მშობლის ფაქტორები (გავახარო, იამაყოს ჩემით) მოსწავლეების მოტივაციაზე ზეგავლენის თვალსაზრისით.

## **6.2. პირისპირ/ ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგები**

ჩაღრმავებული ინტერვიუები განხორციელდა წინასწარ შემუშავებული კითხვარების მიხედვით.

ნახევრად სტრუქტურირებულ, პირისპირ ინტერვიუში მონაწილეობა მიიღო 4<sup>ა</sup> კლასის საგნის 5 - მა მასწავლებელმა. ინტერვიუსთვის შემუშავებული კითხვები ფოკუსს ჯგუფის გეგმისაგან განსხვავებით იყო უფრო კონკრეტული (საკვლევ კლასზე მიმართული) და ფოკუსირებული იყო: სწავლებისას მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინების, კლასის მოსწავლეების დაბალი მოტივაციის მიზეზების, მოსწავლეთა ჩართულობის, გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობების, წახალისების ფორმებისა და მოტივაციის ამალღების საშუალებების გამოყენების საკითხებზე. არასაკმარისი და მოკლე პასუხების შემთხვევაში მასწავლებლებს ვუსვამდი ჩაღრმავებულ შეკითხვებს.

საკუთარი საგნის მიმართ მოსწავლეთა დამოკიდებულებას (მოსწონთ საგანი) და მოსწავლეთა მხრივ გაკვეთილების საინტერესოდ აღქმას, 5-ვე მასწავლებელი ზომავს მოსწავლეთა ჩართულობისა და აქტიურობის მაღალი ხარისხით. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის აზრით, მოსწავლეთა ჩართულობა მაღალია, როცა შესასწავლი თემა საინტერესოა მათთვის და მოსწავლეების დაინტერესება მაღალია, როდესაც სწავლება უკავშირდება პირად გამოცდილებას და პარალელურად რეალურ ცხოვრებასთან. მე და საზოგადოების საგნის მასწავლებელი თვლის, რომ ჯგუფურად, დამატებითი ინფორმაციის მოძიება და კლასისთვის გაზიარება ძალიან მოსწონთ და ააქტიურებს ბავშვებს, რადგან უამრავ ახალ და საინტერესო მასალას იგებენ. სპორტის მასწავლებლის აზრით კი - სპორტული აქტივობები ძალიან უყვართ

მოსწავლეებს, განსაკუთრებით სახალისო თამაშები, რაც იწვევს მათ სრულ ჩართულობას და ყურადღების მობილიზებას.

მოტივაციის პრობლემას კლასში მეტ-ნაკლებად აღიარებს ყველა რესპოდენტი. მათი აზრით, ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვი მოუზიარებელი, მოუწესრიგებელი სასწავლო ნივთებით მოდის გაკვეთილზე და ამის გამო აღარ უნდა საგაკვეთილო პროცესში ჩართვა. ასევე, ზოგიერთი (5 - 6) მოსწავლის მოტივაციის დაქვეითებას იწვევს, ის რომ სხვებთან შედარებით უჭირს მასალის დამახსოვრება (ძნელად ახერხებს) და იწყებს ხმაურს გაკვეთილზე.

საგნის მასწავლებლების აზრით, მოსწავლეები მთელი გაკვეთილის განმავლობაში ყურადღებას ინარჩუნებენ და ჩართულებია არიან თუ სასწავლო აქტივობები მრავალფეროვანია და მათთვის საინტერესოა. განსაკუთრებით მოსწონთ ჯგუფებში და წყვილებში მუშაობა და პრეზენტაციები, თემასთან დაკავშირებით ხატვა, ცხოვრებისეული მაგალითების მოყვანა და პრაქტიკული მუშაობა. ხოლო, გაკვეთილი უინტერესოა მოსწავლეებისთვის, თუ კარგად ვერ გაიგეს შესასწავლი მასალა, ტერმინოლოგია, ცნებები და სხვ.

კითხვაზე - თქვენი აზრით, რითია გამოწვეული მოსწავლეთა სწავლის დაბალი მოტივაცია? რესპოდენტები რამოდენიმე საკითხს უკავშირებენ:

- ნაკლები შრომა და ძალისხმევა მოსწავლეთა მხრიდან;
- მასწავლებლის არაპოზიტიური კომენტარები;
- უინტერესო შესასწავლი თემა;
- მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და დასწავლის ტიპის გაუთვალისწინებლობა;
- მოსაწყენი სასწავლო პროცესი;
- ქაოსური, არაორგანიზებული და არამხარდამჭერი სასწავლო გარემო;
- არასწორი დამოკიდებულებები წახალისებასა და დასჯაზე მშობლის მხრიდან;
- თანატოლთა და მასწავლებელთა არაპოზიტიური დამოკიდებულება, რომელიც აქვეითებს მოსწავლის თავდაჯერებულობას;

ინტერვიუების მონაცემების ანალიზისას, აღმოჩნდა, რომ მასწავლებლები ფიქრობენ, რომ მათი საგანი მოსწონთ მოსწავლეებს და ამის მიზეზად ასახელებენ სწავლებისას გამოყენებულ სასწავლო

აქტივობებს. რესპოდენტთა აზრით, ყველაზე ხშირად გამოყენებული აქტივობებია: მოკლევადიანი ჯგუფური პროექტები, მოძიებული დამატებითი მასალის პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა, სახალისო თამაშები, ორგანიზაციული სქემების გამოყენება, დისკუსია, თანამედროვე ტექნოლოგიების (ბუქი) გამოყენება, ხატვა, საკუთარი გამოცდილების გაზიარება და განტვირთვის სავარჯიშოები.

ასევე, ინტერვიუების მონაცემებიდან ჩანს, რომ საგნის მასწავლებლების აზრი ემთხვევა დაწყებითი საფეხურის მათემატიკის საგნის მასწავლებლების მიერ, ფოკუს ჯგუფში გამოთქმულ შეხედულებას მოსწავლეთა წახალისების ფორმების გამოყენების (სიტყვიერი შექება, „ღიმღიმები“, დიპლომები, სიგელები, მადლობის წერილები, მცირეფასიანი საჩუქრები) მოსწავლის მოტივაციაზე დადებითი გავლენის შესახებ.

მორიგ კითხვაზე - თუ რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა მოსწავლეს სწავლის მოტივაციის ამაღლებისათვის, რესპოდენტთა მოსაზრებები ასეთია:

- მოსწავლეს გავუღვივოთ სიახლეების შეცნობის სურვილი;
- გავითვალისწინოთ მათი ინტერესები;
- მივცეთ თავისუფლად აზრის გამოხატვის და არჩევანის საშუალება;
- შევქმნათ მათთვის უსაფრთხო და დამხმარე გარემო და ყველას მივცეთ საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება;
- დავალებები გავხადოთ საინტერესო და მოსწავლეთათვის დაძლევადი;
- შესასწავლი მასალა მივაწოდოთ მრავალფეროვანი ფორმითა და სასწავლო რესურსების გამოყენებით;
- თავად ვიყოთ პოზიტიურები, მზრუნველები და მოტივირებულები;
- ხშირად გამოვიყენოთ თამაშის ტიპის სახალისო აქტივობები.

### **6.3. რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის შედეგები**

რაოდენობრივი კვლევა დაიგეგმა თვისობრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით. მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფისა და ინტერვიუს მონაცემების ანალიზის გათვალისწინებით შევიმუშავე კითხვარი მოსწავლეთა ანკეტირებისთვის, ასევე,

გამოკვეთილი პრობლემური საკითხები გავითვალისწინე მშობლებთან ჩასატარებელი გამოკითხვის კითხვარის შემუშავებისთვის.


### *6.3.1. მშობელთა გამოკითხვის შედეგები*

მშობელთა გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 4<sup>ა</sup> კლასის მოსწავლეთა 22-მა მშობელმა. ანკეტირებამდე გავგეგმე მათთან შეხვედრა კვლევის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და ასევე, მშობლებისა და მათი შვილების გამოკითხვაში მონაწილეობისათვის თანხმობის მიღების მიზნით. აქვე, დავურიგე კითხვარები, ვთხოვე გადაეხედათ, დაესვათ შეკითხვები და ყურადღება მიექციათ კითხვების ქვემოთ დატანილი ჩანაწერებისთვის მისათითებელი პასუხების შესაძლო რაოდენობის შესახებ და ხაზი გავუსვი კვლევის ეთიკისა და კონფიდენციალობის პრინციპებს. შევთანხმდით, რომ 3 დღის ვადაში, შვილებისაგან დამოუკიდებლად, მთელი ყურადღებით შეევსოთ კითხვარები და მოეტანათ სკოლაში და განეთავსებინათ კითხვარში მითითებულ ადგილზე. შეხვედრაზე, მშობლების დამოკიდებულება აღნიშნული პრაქტიკული კვლევის განხორციელების მიმართ იყო საკმაოდ პოზიტიური და მათი გულწრფელობის მხრივ საკმაოდ იმედისმომცემი.

მშობლის კითხვარი აფასებდა მშობლების მიერ მათემატიკის მნიშვნელობის, შვილის საყვარელი საგნის სიყვარულის მიზეზების (მოტივს), შვილის მიერ მათემატიკის საშინაო დავალების შესრულებისა და ზოგადად, მათემატიკაში სირთულეების, გაკვეთილზე შვილის ყურადღების უნარის, ჩართულობის ხარისხის, ასევე, შვილის ინტერესებისა და მისი მოტივივაციის შესახებ აღქმასა და დამოკიდებულებას.

კითხვარი შედგებოდა 10 კითხვისაგან და ჩემი აზრით, აღმოჩნდა საკმაოდ ინფორმაციული აღნიშნული პრაქტიკული კვლევისთვის. აღნიშნული შედეგები ნაწლობრივ წარმოდგენილია დიაგრამების სახით. სრული სტატისტიკური მონაცემები დაერთვის კვლევის ანგარიშს (იხ. დანართი N10). აღსანიშნავია, რომ ვინაიდან, ზოგიერთ კითხვაზე პასუხის გაცემისას მშობელს შეეძლო არაუმეტეს 3 პასუხის არჩევა, სჭირო გახდა თითოეული კითხვარის დამატებითი, დეტალური ანალიზი, რათა შესაძლებლობების ფარგლებში გამეკეთებინა სათანადო დასკვნები.

დიაგრამა N1



მშობელთა გამოკითხვის მონაცემების ანალიზისას, შვილის საყვარელი საგანის სიყვარულის მიზეზეზად (კითხვა N2) გამოკითხულ მშობელთა 50% (11 მშ.) ასახელებს შვილის მაღალ შესაძლებლობებს საგნის შესწავლისთვის და ამით გამოწვეულ კმაყოფილებას (B) და აღნიშნული მშობლებიდან მხოლოდ 7 (31%) მშობელი თვლის, რომ მის შვილის საყვარელი საგანი მათემატიკაა. ხოლო 22% (5 მშ.) ფიქრობს, რომ მის შვილს „I. სიმოვნებს რთული დავალებების შესრულება“ და აქედან, მხოლოდ 2-ს უყვარს მათემატიკა. ასევე, აღმოჩნდა, რომ 3 მშობელი ფიქრობს, რომ მის შვილს აქვს მაღალი თავდაჯერებულობა (B და I) და შესაბამისად, მაღალი შინაგანი მოტივაცია და აღნიშნული 3 მოსწავლის მშობლიდან მხოლოდ 1-ია ისეთი ვისი შვილის საყვარელი საგანიცაა მათემატიკა.

ასევე, გამოკითხულთაგან, მხოლოდ 7 მშობელი ფიქრობს, რომ საგანი პიროვნულად საინტერესო და სახალისოა მისი შვილისთვის (A) და აქედან, მხოლოდ 2-ია ვის შვილსაც უყვარს მათემატიკა, არცერთი მშობელი არ არის F (მაღალია აქტიურობა და ჩართულობა) პასუხით და მხოლოდ 1-ია ვინც თვლის, რომ მისი შვილის საგანის სიყვარულს განაპირობებს გარეგანი ფაქტორი (J. მნიშვნელოვანია მომავალი წარმატებებისათვის), თუმცა, აღნიშნული რესპოდენტის აზრით, შვილის საყვარელი საგანი არ არის მათემატიკა.

საბოლოოდ, ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ 8 (45%) მოსწავლის საყვარელი საგანის სიყვარულის მიზეზს განაპირობებს შინაგანი მოტივებიდან ერთი მაინც: B. საკუთარი

შესაძლებლობების რწმენა, I. რთული დავალებების დამოუკიდებლად შესრულებისას მიღებული სიამოვნება/კმაყოფილება და A. პიროვნული ინტერესები.

დიაგრამა N2



აღსანიშნავია, ასევე, ის რომ გამოკითხულ მშობელთაგან 50% (11 მშ.) ფიქრობს, რომ მის შვილს მოსწონს სასწავლო პროცესი (K. სასწავლო აქტივობები/მეთოდები ან E. მასწავლებლის მიერ გაკვეთილის ახნა) და აქედან, მხოლოდ 6-ის შვილს უყვარს ყველაზე მეტად მათემატიკა. ასევე, 11 მშობელი საგნის სიყვარულის მიზეზად აღნიშნავს მასწავლებლის ფაქტორს (D. მოსწონს მასწავლებელი ან G. მისი აღიარება), აქედან, 3-ის საყვარელი საგანია მათემატიკა და მხოლოდ 2 მშობელია ისეთი, ვინც ფიქრობს, რომ მის შვილს მათემატიკა უყვარს რომელიმე ოთხი (K, E, D, G) მიზეზის გამო მაინც.

შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კლასის 7 (31%) მოსწავლისთვის საგნის სიყვარულის მამოტივირებელ მიზეზს გარეგანი ფაქტორს წარმოადგენს მასწავლებელი ან გაკვეთილზე, მის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობები/მეთოდები. რადგანაც, მშობლების აზრით, მათემატიკა მოსწავლეთა 45% (10 მოსწ.) მიაჩნია საყვარელ საგნად, არსებობენ მოსწავლეები (5 მაინც), რომელთა მიერ საგნის სიყვარულს, ორივე, შინაგანი და გარეგანი მოტივები განაპირობებს. საინტერესოა ისიც, რომ იმ მშობელთან, რომელთა შვილისთვისაც საყვარელი საგანია მათემატიკა,




მხოლოდ 1 მშობელი ასახელებს ამის მიზეზად ოჯახის წახალისების ფაქტორს (C). მიუხედავად იმისა, რომ მშობელთა უმრავლესობა (72%) შვილის მიერ მათემატიკის შესწავლის ხარისხს აფასებს მაღალ დონეზე (დანართი N10, კითხვა N6) და აღიარებს მათემატიკის სასარგებლო მნიშვნელობას (დანართი N10, კითხვა N3), მშობელთა ანკეტირების სხვა მონაცემებიდან ჩანს, რომ მშობელთა (59%) აზრით, მათი შვილებისთვის რთულია მათემატიკის საშინაო დავალებების შესრულება (დანართი N10, კითხვა N4) და 67%-ისთვის „ძალიან მისაღებია“ დამატებითი მეცადინეობების ჩატარება საშინაო დავალების ხარისხიანად შეუსრულებლობისთვის (დანართი N10, კითხვა N5). ასევე, მშობელთა 72% (16 მშ.) ასახელებს სხვადასხვა სახის სირთულეებს (კითხვა N7), რომლებიც მათ შვილებს აქვთ მათემატიკის საკითხების შესწავლისას, საიდანაც იკვეთება მშობელთა დამოკიდებულება შვილის ცოდნისა (ამოცანის პირობის გააზრება, გამრავლებისა და გაყოფის მოქმედებების შესრულება) და სხვა მახასიათებლების (სიზარმაცე, დაბნეულობა) მიმართ, რაც თავის მხრივ შეიძლება უარყოფითად მოქმედებდეს მათი შვილების მიერ საკუთარი კომპეტენტურობის მიმართ დამოკიდებულებასა და თავდაჯერებულობაზე. მშობელთა აღნიშნული შესაფება ეთანხმება მასწავლებელთა მოსაზრებას, რომელიც გამოიკვეთა ფოკუს ჯგუფის შედეგების ანალიზისას, სადაც მასწავლებლები თვლიდნენ, რომ მშობლის დაბალი წარმოდგენები შვილის შესაძლებლობებზე ერთ-ერთი ხელისშემშლელ ფაქტორია მოსწავლის მოტივაციისათვის. და ასევე, ეთანხმება მოსწავლეთა გამოკითხვის მონაცემებს, საიდანაც იკვეთება, რომ მოსწავლეები (63%) საშუალოდ და უარყოფითად აფასებენ საკუთარ თავდაჯერებულობას (კითხვა N7: თანაკლასელებზე სუსტი ვარ მათემატიკაში, სხვა საგნებზე რთულია, ჩვეულებრივად ვსწავლობ, მანერვიულებს და მახვესმისი შესწავლა).

კითხვაზე: „როგორ შეაფასებდით თქვენი შვილის ყურადღების კონცენტრაციის უნარს გაკვეთილზე?“ (იხ. დანართი N10, კითხვა N8) გამოკითხულ მშობელთა 64% ფიქრობს, რომ მისი შვილს ნაწილობრივ და ძირითადად გაუჭირდება გაკვეთილზე ყურადღების მობილიზება და 32% ასახელებს იმ შემთხვევას, როცა გაკვეთილზე არ არის გამოყენებული მისი შვილისთვის საინტერესო აქტივობები. შესწავლილი ლიტერატურიდან და პირადი გამოცდილებიდან, ცნობილია, რომ ყურადღების დეფიციტი უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა ჩართულობაზე, შესაბამისად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მშობელთა აზრით, მოსწავლეთა უმრავლესობა ნაწილობრივ ერთვება გაკვეთილში, აქვთ საშუალო და დაბალი მოტივაცია, რაც

გამოწვეულია ერთი მხრივ, მოსწავლეთა დაბალი თვითდაჯერებულობითა და მეორე მხრივ, ნაკლებად სახალისო და მრავალფეროვანი სასწავლო პროცესის (სასწავლო აქტივობები და მეთოდები) მიდინარეობით, რაც ასევე, იკვეთება მასწავლებლებთან ფოკუს ჯგუფისა და ინტერვიუების შედეგებიდან, სადაც მასწავლებელთა უმრავლესობა, სახალისო და საინტერესო აქტივობებსა და მეთოდებს მიიჩნევდა მოსწავლეთა მამოტივირებელ ფაქტორად სწავლისათვის.

დიაგრამა N3



მშობელთა დიდი ნაწილი, შვილის ჩართულობისა და აქტიურობის ინტერესის გაზრდისთვის საჭიროდ მიიჩნევს (დანართი N10, კითხვა N9) „გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეთა გამოწვევას (ცნობისმოყვარეობის აღძვრას), საინტერესო და სახალისო აქტივობებისა და მეთოდების გამოყენებას სასწავლო პროცესში, ცხოვრებისეულ კავშირებზე აქცენტებს, შესასწავლი მასალის მოსწავლისთვის გასაგებად მიწოდებას და მასწავლებლის პოზიტიურ გამხნევებას, მისი რწმენისა და თავდაჯერებულობის გაზრდას. მხოლოდ 1 მშობელი ანიჭებს მნიშვნელობას ოჯახის წახალისების ფაქტორს.

ასევე, საინტერესოა მშობელთა თვალთახედვა შვილის ინტერესებისა და თვისუფალი დროის გატარების შესახებ, სადაც მშობელთ დიდი ნაწილი (იხ, დანართი N10, კითხვა N10) სპორტს,

მეგობრებთან გართობასა და კომპიუტერზე თამაშს ასახელებს, მცირე ნაწილი - კითხვას და ფილმების ყურებას, ასევე გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს უყვართ ცხოველები (ძაღვები), ხატვა, რტობოტების აწყობა, ცეკვა, მოგზაურობა. აღნიშნულ საკითხზე მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგებიდან იკვეთება ანალოგიური პროირიტეტი. მოსწავლეების ინტერესებიდან ჩანს, რომ მათი უმრავლესობა ასევე, უპირატესობას ანიჭებს მეგობრებთან თამაშს, სპორტს, კომპიუტერულ თამაშებს და წიგნების კითხვას. მხოლოდ 3 მოსწავლეს მოსწონს თავისუფალ დროს მათემატიკური ამოცანების ამოხსნა.

დასკვნის სახით, მშობელთა ანკეტირების მონაცემებიდან იკვეთება, რომ მათემატიკის სწავლისათვის შინაგანად მოტივირებულია მოსწავლეთა 45% (8 მოსწავლე) და მოსწავლეთა სწავლის მამოტივირებელი შინაგანი ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია: საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, რთული დავალებების დამოუკიდებლად შესრულებისას მიღებული სიამოვნება (თავდაჯერებულობა) და პიროვნული, შემეცნებითი ინტერესები. ხოლო, 31%-ისთვის (7 მოსწ.) მამოტივირებელი გარეგანი მახასიათებლებია და აქედან, ძირითადია მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე გამოყენებული სასწავლოა ქტივობები/მეთოდები, მიდგომები და პოზიტიური დამოკიდებულება.


მიუხედავად, მშობელთა დიდი უმრავლესობისა (72%), რომლებიც აღიარებს მათემატიკის მნიშვნელობას და მისი შვილის მიერ მათემატიკის შესწავლის ხარისხს აძლევს მაღალ შეფასებას, ისინი, ამავე დროს, აღიარებენ, რომ მათ შვილებს უჭირთ საშინაო დავალებების შესრულება (59%), აქვთ გარკვეული სირთულეები (72%) კომპეტენციის, ყურადღების მობილიზებისა და აქტიურობის მიმართულებით (64%) და მათთვის (67%) მისაღებია დამატებითი მეცადინეობების ჩატარება, რაც თითქოს წინააღმდეგობრივი მონაცემებია დასკვნების გასაკეთებლად, თუმცა მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, საიდანაც ჩანს, რომ მათი 42% ადასტურებს სირთულეებს მათემატიკაში, ასევე, მიიჩნევს, რომ თანაკლასელებზე სუსტია და ასევე, 68 % -ს გაკვეთილზე არაფრის გაკეთების სურვილი არა აქვს ან ნაწილობრივ არა აქვს, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი არაა აქტიური/ ჩართული სასწავლო პროცესში, აქვდ დაბალი თვითდაჯერებულობა და შესაბამისად დაბალი მოტივაცია.

მშობელთა აზრით, მოსწავლეთა ინტერესები, ძირითადად, უკავშირდება სპორტს, თანატოლებთან ურთიერთობასა და კომპიუტერულ თამაშებს და მოტივაციის გაზრდისთვის, ისინი მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სასწავლო პროცესში სახალისო და მრავალფეროვან სასწავლო აქტივობების გამოყენებას მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდისათვის პოზიტიურ შედეგებს, და შესწავლილი მასალის გაგების უზრუნველყოფისთვის.

### 6.3.2. მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები


მოსწავლეთა ანკეტირებაში მონაწილეობა მიიღო - 22-მა მოსწავლემ. ყველა მათგანი პოზიტიურად განეწყო კვლევის პროცესისთვის და თანხმობა განაცხადა გამოკითხვაში მონაწილეობაზე. მოსწავლეებს გავაცანი კვლევის მიზნები და ვთხოვე მთელი გულწრფელობითა და ყურადღებით შეევსოთ კითხვარები, რათა მიმეღო რეალური ინფორმაცია. მოსწავლის კითხვარი აფასებდა მათემატიკის საგნით დაინტერესებასა და მოსწავლეთა მოტივაციას, მოსწავლის ინტერესებს, სწავლის მოტივებსა და სტილს, ასევე, მათემატიკის საგნის მნიშვნელობის აღქმას, ხოლო, სასწავლო გარემოს ნაწილში მასწავლებელთან ურთიერთობას, მოსწავლის თავდაჯერებულობასა და რწმენას, მოტივაციის ამაღლების შესახებ მოსწავლეების ხედვას. კითხვარი შედგებოდა 13 კითხვისაგან. აღნიშნული გამოკითხვის შედეგები ნაწლობრივ წარმოდგენილია დიაგრამების სახით. სრული სტატისტიკური მონაცემები თან დაერთვის კვლევის ანგარიშს (იხ. დანართი N11).

დიაგრამა N4



სტატისტიკამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა საყვარელი საგნის სიყვარულის მიზეზად (იხ. დიაგრამა N5) მასწავლებლის ფაქტორს, კერძოდ, მის მიერ მასალის საინტერესოდ ახსნას, საინტერესოდ და სახალისო გაკვეთილს, მასწავლებლის შექებას და მისი პიროვნების მოწონებას მიიჩნევს, ხოლო მოსწავლეთა შედარებით მცირე ნაწილი საკუთარ პიროვნულ ფაქტორს (უადვილდება საგნის შესწავლა ან/და სიამოვნებს რთული დავალებების დამოუკიდებლად შესრულება). თუმცა, აღსანიშნავია, რომ დეტალური ანალიზისას, იმ მოსწავლეებიდან, რომელთათვისაც მათემატიკა ყველაზე საყვარელი საგანია (55%, 12 მოსწ.), 7 მოსწავლე, საგნის სიყვარულის მიზეზს, უკავშირებს შინაგან, ზემოთ ხსენებულ პიროვნულ ფაქტორს (A ან F პას.), რაც აღნიშნულ მოსწავლეთა შედარებით მაღალ შესაძლებლობების რწმენასა და თავდაჯერებულობაზე, შესაბამისად კი, მათ მაღალ შინაგან მოტივაციაზე მეტყველებს (აქ აღსანიშნავია, რომ შეკითხვის პასუხების ჩამონათვალიდან, მოსწავლეებს შეეძლოთ არაუმეტეს 3 პასუხის აღნიშვნა).

დიაგრამა N5



საინტერესოა, აღნიშნულ საკითხზე მშობლების გამოკითხვის შედეგები. აღნიშნული მონაცემების შედარებისას, ჩანს, რომ შედეგები თითქმის ახლოსაა ერთმანეთთან. მშობელთა გამოკითხვის

მონაცემების დეტალური დათვლისას, ჩანს, რომ მშობელთა 45% (10 მშ.) შვილის საყვარელ საგნად თვლის მათემატიკას და ამ რესპოდენტთა დიდი უმრავლესობა 90% (9 მშ.) აღნიშნული საგნის სიყვარულის მიზეზად, ასევე, შვილის შინაგან ფაქტორებს (კითხვა N2: B.მისი შესაძლებლობებით განპირობებული საგნის შესწავლის სიადვილე და ამით გამოწვეულ კმაყოფილება ან/და I.შვილს სიამოვნებს რთული დავალებების დამოუკიდებლად შესრულება,) მიიჩნევს.


N6 კითხვაზე (იხ. დანართი N11), თუ „რამდენად სასარგებლოა მათემატიკის შესწავლა“, მოსწავლეთა 90% (20 მოსწ.) მიიჩნევს, რომ მათემატიკა ღირებული და სასარგებლო საგანია, ასევე, გამოკითხულ მოსწავლეთა უმრავლესობას 68% (15 მოსწ.) აქვს საშუალოზე მაღალი რწმენა, რომ შეძლებს რთული დავალებების შესრულებას მათემატიკაში (კითხვა N9), ხოლო 16 (72%) მოსწავლე თვლის, რომ დავალებებს გულმოდგინეთ ასრულებს (კითხვა N10), რაც, ლოგიკურად, უნდა მეტყველებდეს მათ მაღალ მოტივაციაზე. ასევე, იკვეთება, რომ მოსწავლეთა უმრავლესობის პოზიტიური დამოკიდებულება აქვს საგნისადმი. სტატისტიკა, უჩვენებს, რომ მოსწავლეებს მოსწონთ საგანი და მხოლოდ 3 მოსწავლე ფიქრობს, რომ მათემატიკა მოსაწყენია ან საერთოდ არ ისურვებდა მის სწავლას.

ცხრილი N2 კითხვა N5 - რამდენად მოგწონს მათემატიკა?

N	კითხვა	A. ძირითადად ვეთანხმები	B. უფრო მეტად ვეთანხმები	C. უფრო მეტად არ ვეთანხმები	D. ძირითადად არ ვეთანხმები
5.1	სიამოვნებს მათემატიკის სწავლა	11	11	0	0
5.2	ვისურვებდი, რომ მათემატიკა საერთოდ არ მქონდეს სასწავლო	2	1	9	10
5.3	მათემატიკა მოსაწყენია	2	0	10	10
5.4	მათემატიკაში ბევრ საინტერესოს ვსწავლობ	13	9	0	0
5.5	მიყვარს მათემატიკა	10	11	1	0
5.6	ველოდები მათემატიკის გაკვეთილებს	11	8	1	2
5.7	მომწონს ნებისმიერი დავალება, რომელიც რიცხვების გამოყენებაზეა	11	8	3	0

საკლასო გარემოს შეფასების ნაწილში (მასწავლებელთან ურთიერთობა) მოსწავლეების დიდი ნაწილი თვლის, რომ მასწავლებელს მზრუნველი დამოკიდებულება აქვს მათადმი: ეხმარება სირთულეების გადალახვაში (18 მოსწ.) ან/და მოსწონს მასთან საუბარი (15 მოსწ.) ან/და გამოხატავს პატივისცემას (13 მოსწ.), მხოლოდ 4 მოსწავლე გამოხატავს მასწავლებლის მხრიდან არაპოზიტიურ დამოკიდებულებას (ბრაზდება, როცა შეცდომას ვუშვებ), რაც საკმაოდ საყურადღებო მაჩვენებელია ჩემთვის, მიუხედავად მათი უმრავლესობის დადებითი შეფასებისა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ზემოთ აღწერილი ფაქტორი მეტყველებს მოსწავლეების პოზიტიურ განწყობაზე მათემატიკის საგნის მიმართ და თითქოს დასტურდება მათი უმრავლესობის საშუალოზე მაღალი მოტივაციის არსებობა საგნის შესწავლისთვის, საკმაოდ მნიშვნელოვანი და საგულისხმოა გამოკითხვის შედეგები სხვა ორ შეკითხვაზე. კითხვაზე N4: „ხშირათ ხართ ისეთ მდგომარეობაში, როცა მათემატიკის გაკვეთილზე არაფრის გაკეთება არ გინდა?“ მოსწავლეების 68% (15 მოსწ.) აფიქსირებს პასუხს „არც თუ ისე ხშირად“ და „ხშირად“, რაც წინააღმდეგობაში მოდის ზემოთ აღნიშნულ შედეგებთან. ასევე, საინტერესოა მათი მონაცემები კითხვაზე N7: „როგორ სწავლობ მათემატიკას“, სადაც მოსწავლეთა 42% მიიჩნევს, რომ დაბალი შესაძლებლობები აქვს მათემატიკის კარგად შესწავლისთვის და ამ მოსწავლეთაგან 26% თვლის, რომ მათემატიკაში თანაკლასელებზე სუსტია და მათემატიკის საკითხები აბნევს, ხოლო 13% ფიქრობს, რომ მათემატიკა მისთვის სხვა საგნებზე რთულია.

დიაგრამა N6.



აღნიშნული ორი შეკითხვიდან მიღებული მონაცემები წინააღმდეგობრივია მოსწავლეთა გამოკითხვით მიღებული დანარჩენი მონაცემებისა, რაც ჩემი აზრით, საკმაოდ საგულისხმოა და გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს დასკვნების გასაკეთებლად.


თუმცა, ზემოთ აღნიშნულთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ მშობელთა ანკეტირების მონაცემებსაც, სადაც, N4 შეკითხვაზე: „რამდენად რთულია მათემატიკის საშინაო დავალებების შესრულება თქვენი შვილისთვის?“, სადაც გამოკითხულ მშობელთა 59% (13 მშ.) ფიქრობს, რომ „რთულია“ და „ნაწილობრივ რთულია“ მისი შვილისთვის მათემატიკის დავალების შესრულება. ასევე, მშობელთა დიდი უმრავლესობა (67%) მიიჩნევს, რომ „ძალიან მისაღებია“ მისი შვილისთვის დამატებითი მეცადინეობების ჩატარება საშინაო დავალებაში გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად (კითხვა N5) და მხოლოდ 6 მშობელი ამბობს, რომ არა აქვს მის შვილს სირთულეები მათემატიკაში, ხოლო დანარჩენი 72% ასახელებს სხვადასხვა საკითხებს, რომლებიც დაუძლეველია მისი შვილისთვის და ხაზს უსვამს მისი შვილის ყურადღების გაფანტულობასა და სიზარმაცეს. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ რეალურია იმ მოსწავლეთა (42%) თვითშეფასება, რომლებიც თვლიან, რომ მათემატიკის საგანი სხვა საგნებზე რთულია, აღნიშნულ საგანს სწავლობენ თანაკლასელებზე სუსტად, მათემატიკის საკითხები აბნევთ და ანერვიულებთ (3%). ხოლო ის მონაცემები, საიდანაც ჩანს, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა პოზიტიურადაა განწყობილი საგნისა და მასწავლებლის მიმართ, აღიარებს მათემატიკის სასარგებლო მნიშვნელობას, თვლის, რომ იჩენს გულმოდგინებას დავალებების შესრულებისას და მოსწონს მათემატიკა, შესაძლოა განპირობებული იყო მოსწავლეთა არაგულწრფელობით, რადგან გამოკითხვას ვესწრებოდი პირადად და მიუხედავად ჩემი დიდი თხოვნისა, რომ მოსწავლეებს კითხვარები შეევსოთ მთელი გულწრფელობით, შესაძლოა მოსწავლეებზე გარკვეული გავლენა მაინც მოახდინა ამ ფაქტმა, ან შესაძლოა, მათემატიკა მართლაც მოსწონდეთ და ესმოდეთ კიდევ მისი ღირებულება, თუმცა ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ჩემი, როგორც მასწავლებლის მოწონების ფაქტორითა და იმით, რომ ხშირად ვამახვილებ ყურადღებას საგნის საჭიროებასა და მის მნიშვნელობაზე, მათემატიკის რეალურ ცხოვრებაში გამოყენებისა და აზროვნების განვითარების თვალსაზრისით და აღნიშნულმა დამოკიდებულებამ მოახდინა გარკვეული გავლენა მათ პასუხებზე. თუმცა, მართლაც ასე რომ ფიქრობდნენ მოსწავლეები, ეს რეალურად ვერ იქნება საკმარისი იმისთვის, რომ სჯეროდეთ საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების,



„მათემატიკისადმი დადებითი დამოკიდებულების მქონე მოსწავლეს შეიძლება დაბალი თვითეფექტურობა ქონდეს“ (TIMS 2011:173) და გავაკეთო დასკვნა მოსწავლეთა მაღალი მოტივიციის შესახებ.

მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები ძალიან მნიშვნელოვანია, აგრეთვე, მოსწავლეთა სწავლის მთავარი მოტივებისა და ინტერესების შესახებ დასკვნების გასაკეთებლად.

დიაგრამა N7



აღნიშნული შედეგებიდან ჩანს, რომ 4<sup>ე</sup> კლასელ, გამოკითხულ მოსწავლეთა სწავლის მთავარი მოტივები ორი სახისაა: შემეცნებითი და სოციალური. მოსწავლეთა 36% (A და B) შინაგანად მოტივირებულია (სურს ცოდნის დაუფლება) და აქედან მხოლოდ 3% -ს მოსწონს შემეცნების პროცესი (B). მოსწავლეთა 40% -ის სწავლის მოტივი სოციალურია (E. დავიმსახურო მასწავლებლის მოწონება, F. გავახარო მშობლები, H. დავიმსახურო თანაკლასელების პატივისცემა), საიდანაც იკვეთება მათ აქვთ მიკუთვნებულობისა და აღიარების მოთხოვნილება, ასევე, გარეგანი მოტივები სწავლისათვის ამოდრავებს მოსწავლეების კიდევ 18 %-ს (C. მივიღო კარგი შეფასებები) და მხოლოდ 6% სწავლობს იმისთვის, რომ „G. არ ჩამოვრჩე თანაკლასელებს“.

აღსანიშნავია, ის რომ თანაკლასელებთან დამოკიდებულების ფაქტორი (არ ჩამოვრჩე და კონკურენცია) უარყოფით ჭრილში გამოიკვეთა, როგორც მოსწავლეებთან ფოკუს ჯგუფის მონაცემებში, სადაც მოსწავლეებმა ყურადღება გაამახვილეს აღნიშნულ ფაქტორზე, როგორც დემოტივატორზე (თავს იგრძნობს დამცირებულად, შერცხვება კლასში და იფიქრებს, რომ არაფერი შეუძლია), რომელიც უარყოფითდ მოქმედებს მოსწავლეთა თავდაჯერებულობასა და თვითშეფასებაზე, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფის მონაცემებში ჩანს, რომ კოლეგები მოსწავლის მოტივაციის ხელისშემშლელ ფაქტორებად ასახელებდნენ თანატოლების დაცინვასა და აქტიური მოსწავლეების მიერ პასუხების წამოყვრებას, როგორც დანარჩენი მოსწავლეების დემოტივატორ ფაქტორს საკუთარი შესაძლებლობების რწმენის (ვერასოდეს შევძლებ მოვოფიქრო მასზე ადრე სწორი პასუხი, კლასში შევრცხვები) საკითხში. აგრეთვე, ფოკუს ჯგუფში მონაწილეობისას, მასწავლებელთა ნაწილმა, მოსწავლეთა მოტივაციის ხელშემშლელ ფაქტორად დაასახელა მშობლის უარყოფითი დამოკიდებულება დასაჯა-წახალისებისადმი, თუმცა, მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგებიდან არ დასტურდება მშობლის მხრიდან დასჯის გამოყენების არც ერთი შემთხვევა შვილის არასახარბიელო შეფასებების გამო (D. მიბრაზდებიან ცუდი შედეგებისათვის - 0%), მაგრამ არ არის გამორიცხული, აქაც, მოსწავლეთა არაგულწრფელობასთან გვეკონდეს საქმე.

მნიშვნელოვანია, ისიც, რომ რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტების გამოყენებით, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის შედეგად მოპოვებული მონაცემების ერთობლივი ანალიზიდან, მივიღე მოსწავლეთა ინტერესებისა და მისწრაფებების შესახებ საგულისხმო ინფორმაცია, რომელიც გავითვალისწინე კვლევის ინტერვენციების განხორციელებისას. შედეგებიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა მთავარი ინტერესები უკავშირდება თანატოლებთან ურთიერთობას/გართობას და სპორტს (იხ. დანართი N11, კითხვა N13).

აღნიშნული კვლევისათვის, კერძოდ ინტერვენციების დაგეგმვისთვის მნიშვნელოვანია მე-11 და მე-12 კითხვების საშუალებით შეგროვებული მონაცემების შედეგები. გარდა იმისა, რომ სტატისტიკური მონაცემები (იხ. დანართი N11, შეკითხვა N11) საშუალებას იძლევა გავაკეთო დასკვნები მოსწავლეებისთვის საინტერესო გამოყენებული სასწავლო აქტივობების/მეთოდებისა და სასწავლო რესურსების შესახებ (პრეზენტაცია, დისკუსია, ვარაუდების დასაბუთება, თამაშები, პროექტები, სხვა მათთვის საინტერესო აქტივობები და ელექტრონული რესურსები), აგრეთვე,

აღნიშნული შედეგები შესაძლებელია გამოვიყენო მოსწავლეთა სწავლის სტილის შესაფასებლად. ის მოსწავლეები, რომლებსაც მოსწონთ მასწავლებლისა და თანაკლასელების პრეზენტაციები, დისკუსიები და ვარაუდების გამოთქმა-დასაბუთება (44%) - სწავლობენ მოსმენით (აუდიალური), მოსწავლეების 13% -ს აქვს ვიზუალური სწავლის სტილი (მოსწონთ თვალსაჩინოების გამოყენება), მოსწავლეთა 7% სწავლობს შეხებით (კინესთეტიკი), ხოლო მოსწავლეთა 33% უპირატესობას ანიჭებს დასწავლის თანამშრომლობით, სოციალურ სტილს, თუმცა რადგან, აღნიშნულ შეკითხვაზე მოსწავლეებს უნდა მოენიშნათ არაუმეტეს 3 პასუხისა, შესაძლებელია არსებობდეს შერეული დასწავლის ტიპის მოსწავლეებიც, რომელთა შესახებაც ამ ეტაპზე რთულია დასკვნების გაკეთება.

N12 კითხვაზე „როგორ ფიქრობ რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა, რომ გაიზარდოს შენი სურვილი ისწავლო მათემატიკა“ (იხ. დანართი N11, შეკითხვა N12) მოსწავლეების უმრავლესობა სწავლების მამოტივირებელ ფორმად ირჩევს თამაშებს, შემდეგ პროექტებით სწავლებასა და ჯგუფურ მუშაობებს, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ მე-4 კლასელთა უმრავლესობის სწავლის მოტივები სოციალურია და უპირატესობას ანიჭებენ თანამშრომლობით და სახალისო სწავლების მეთოდებს.

ამდენად, მე-4 კლასის მოსწავლეთა ანკეტირების მონაცემების ანალიზის შედეგები რომ შევაჯამოთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად მოსწავლეთა 55%-ისა, რომელიც აფიქსირებს, რომ მათემატიკა მისი საყვარელი საგანია, მიუხედავად დიდი უმრავლესობისა (თითქმის 98%), რომელსაც მოსწონს საგანი, ხედავს მის სასარგებლო ღირებულებას (90%) და აქვს პოზიტიური დამოკიდებულება საგნის მიმართ, აფიქსირებს, რომ დიდ ძალისხმევას იჩენს დავალებების შესრულებისას (72%) და აქვს აღქმა, რომ შეძლებს რთული დავალებებს თავი გაართვას დამოუკიდებლად (68%), აღნიშნული გამოკითხვის სხვა კითხვებით შეგროვებული ინფორმაცია წინააღმდეგობრივია და კვლევის სხვადასხვა ინსტრუმენტით მოპოვებული ინფორმაციის შედარებითი ანალიზიდან იკვეთება, რომ მოსწავლეთა 42%-ს დაბალი თვითშეფასება და თვითდაჯერებულობა აქვს, ხოლო 68%-ს ნაწილობრივ და საერთოდ არა აქვს სურვილი რამე გააკეთოს და ჩაერთოს გაკვეთილში. მხოლოდ მოსწავლეთა 31%-ია (7 მოსწ.) მათემატიკის სწავლისათვის შინაგანად მოტივირებული (აქვს საკუთარი შესაძლებლობების რწმენა და შემეცნებითი ინტრესი), ზოგადად, კლასის მოსწავლეთა 36% გამოხატავს სწავლის

შემეცნებით ინტერესს საყვარელ საგანში. დანარენ მოსწავლეთა მოტივაცია მათემატიკაში საშუალო და საშუალოზე დაბალია და მათი სწავლისათვის მოტივირებელი ფაქტორები გარეგანია (64%). აღნიშნული ფაქტორებიდან, მნიშვნელოვნად გამოიკვეთა მასწავლებლის ფაქტორი, მის მიერ, საინტერესო და სახალისო აქტივობებით დაგეგმილი გაკვეთილი, გამოყენებული გარეგანი წამახალისებლები და მისი აღიარება. ასევე, მშობლის წახალისებისა და თანაკლასელებთან კონკურენციის ფაქტორები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მოსწავლეებს აქვთ მასწავლებლის, თანატოლებისა და მშობლების აღიარების მოთხოვნილება.

მოსწავლეთა ძირითადი ინტერესები უკავშირდება თანატოლებთან ურთიერთობას/გართობას, სპორტს, კომპიუტერულ თამაშებს და მხატვრული ლიტერატურის კითხვას. დასწავლის სტილის მიხედვით კლასში მოსწავლეთა უმრავლესობა აუდიალია (44%), მოსწონს კეთებით სწავლება (40%) და ვიზუალური თვალსაჩინოების გამოყენება (13%).

მოსწავლეთა უმრავლესობას აქვს სოციალური ურთიერთობებისა და მასწავლებლის აღიარების მოთხოვნილება და სწავლის მამოტივირებელი ფაქტორებიდან, უპირატესობას ანიჭებენ სწავლებისას სახალისო-შემეცნებით თამაშების გამოყენებას, პროექტებით სწავლებას, ჯგუფურ აქტივობებს, პრეზენტაციებს, დისკუსიებს და სწავლებისას ელექტრონული რესურსების გამოყენებას.

#### **6.4. მონაცემთა ანალიზის ძირითადი მიგნებები და დასკვნები**

აღნიშნულ ქვეთავში წარმოდგენილია კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემთა ინტერპრეტაცია და მნიშვნელოვანი დასკვნები.

კვლევის სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებისა და მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ნათელი გახდა, რომ სამიზნე ჯგუფებში გამოითქვა ნაწილობრივ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები ერთი და იგივე საკითხის მიმართ. მოსწავლეებისა და მშობლების აზრი ზოგიერთ საკითხში ეთანხმებოდა ერთმანეთს, თუმცა თითოეულ სამიზნე ჯგუფში მოპოვებული ინფორმაცია ნაწილობრივ გამორიცხავდა თავად ამ ჯგუფში მიღებულ ინფორმაციას ძირითადი საკვლევი საკითხის შესახებ. ვთვლი, რომ კითხვების იმ ნაწილში, რომლითაც ფასდებოდა მათემატიკის მნიშვნელობის აღქმა, მოსწავლეებისა და მშობლების აზრი გადაჭარბებული იყო, ყოველ შემთხვევისთვის აღნიშნულ მაღალი მაჩვენებლის გავლენა

მოსწავლის სწავლის მოტივაციაზე მოტივაციაზე პროპორციულად არ აისახა. ასევე, სუბიექტური იყო მოსწავლეთა მონაცემები: „მომწონს მათემატიკა“, „გულმოდგინედ ვასრულებ საშინაო დავალებებს“ და „მაქვს რთული დავალებების შესრულების რწმენა“ კითხვებზე პასუხისას, რაც სავარაუდოდ, გამოწვეული იყო მათი არაგულწრფელობით, თუმცა, გამოიკვეთა საკითხები, რომლებზეც ყველა ჯგუფი თანხმდებოდა და მონაცემების უფრო დეტალური და შედარებითი ანალიზიდან გამოიკვეთა:

1. მოსწავლეთა უმრავლესობის მათემატიკის სწავლის მოტივაცია საშუალო და საშუალოზე დაბალია;
2. მოსწავლეების სასწავლო მოტივები, უფრო მეტად სოციალური (ალიარება, ურთიერთობები) ხასიათისაა, ვიდრე და შემეცნებითი (ცოდნის დაუფლება, სწავლის პროცესი);
3. მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია გამოწვეულია:
  - სასწავლო პროცესში ნაკლებად სახალისო, საინტერესო, თანამშრომლობითი და მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდების/ აქტივობებისა და სასწავლო რესურსების გამოყენებით, რაც განაპირობებს მოსწავლეთა დაბალ ჩართულობას;
  - მოსწავლეთა დაბალი თვითდაჯერებულობით (საკუთარი შესაძლებლობების რწმენის ნაკლებობა);
  - სწავლებისას მოსწავლეთა ინტერესების, სწავლის სტილისა და საჭიროებების ნაკლები გათვალისწინებით;
  - დაბალი ავტონომიურობით არჩევანის შესაძლებლობასა და გადაწყვეტილებების მიღებაში;
  - მასწავლებლისა და თანატოლების ალიარების მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობით;
  - საშინაო დავალებების შესრულებაში სირთულეებით.

## თავი 7. ინტერვენცია

ფოუს ჯგუფების, ინტერვიუს და ანკეტირების შედეგად გამოკვეთილი კვლევის ძირითადი დასკვნებისა და მიგნებების შესაბამისად, მივიღე გადაწყვეტილება ინტერვენციების დაგეგმვის შესახებ. გასათვალისწინებელი იყო ის, რომ სასწავლო პროცესში განხორციელებული ნებისმიერი

ცვლილება ორიენტირებული უნდა ყოფილიყო მოსწავლეთა საჭიროებებზე, ინტერესებზე, სწავლის სტილზე, მათი წინარე ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებაზე და ასევე, უნდა ყოფილიყო სიახლე მოსწავლეებისთვის, რათა გამოეწვია მათი ცნობისმოყვარეობა და ინტერესი გაეზარდა მათი შესაძლებლობების რწმენა და ჩართულობა, გაეხალისებინა, გაემრავალფეროვნებინა სასწავლო პროცესი და საბოლოოდ, გამოეწვია მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლება.

ამ პერიოდისთვის, გავიარე მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში, ათასწლეულის გამოწვევის ფონდისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული, „მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს მახასიათებლებისა“ და მათემატიკის კონსტრუქტივისტული სწავლების“ ტრენინგ-მოდულები და აღნიშნული ცოდნისა და ლიტერატურის მიმოხილვის გათვალისწინებით, გადავწყვიტე დამენერგა სწავლების რამოდენიმე თანამედროვე მიდგომა, რომელიც აღნიშნულ კლასში არ გამოიყენებია. მონაცემთა შედეგების ანალიზის საფუძველზე, მოსწავლეთა დაინტერესების, ჩართულობისა და თავდაჯერებულობის გაზრდის მიზნით ინტერვენციები დავგეგმე სამი მიმართულებით:

1. სწავლების გამრავალფეროვნება და დიფერენცირების ელემენტების გაძლიერება;
2. მოსწავლეთა ავტონომიურობის გაზრდა;
3. მოსწავლის აღიარებისა და წახალისების სისტემის ეფექტიანობა.

### ***7.1. სწავლების გამრავალფეროვნება - სწავლების დროს მრავალფეროვანი მეთოდების/აქტივობების გამოყენება დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებით***

*ინტერვენციის მიზანი:* კონსტრუქტივისტულ-დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიების გამოყენებით მოსწავლეთა ჩართულობისა და ყურადღების მაქსიმალურად შენარჩუნება, მათი რწმენის, თვითდაჯერებულობისა, ავტონომიურობისა და შესაბამისად, სწავლის მოტივაციის გაზრდა.

დიფერენცირებული სწავლება ემყარება მასწავლებლის რწმენას, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია სწავლა და იმის აღიარებას, რომ ყველა მოსწავლე პიროვნებაა, განსხვავებული გამოცდილებით, ინტერესებითა და შესაძლებლობებით. დიფერენცირებულ გაკვეთილზე სხვადასხვა სახის

სტრატეგია გამოიყენება, რომლებიც მასწავლებელს ეხმარება, დაგეგმოს გაკვეთილები, რომლებზეც ის შეძლებს ცხოვრებისეულ კავშირებზე აქცენტირებით, მრავალფეროვანი აქტივობებითა და სასწავლო რესურსებით მოსწავლეების ინსტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაღვივებას შესასწავლი თემის მიმართ, შესასწავლი მასალის მოსწავლისთვის გასაგებად (მზაობის, სწავლის სტილისა და ინტერესების გათვალისწინება) მიწოდებას, ცოდნის კონსტრუირებას, არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას და თითოეული მოსწავლის მხარდაჭერას სასწავლო მასალის შინაარსის ან/და სწავლა-სწავლების პროცესის ან/და საბოლოო პროდუქტის დიფერენცირებით (G-praied, 2017).

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსწავლეების დიდ ნაწილს, საკუთარი ინტელექტისა და შესაძლებლობებისადმი არასწორი დამოკიდებულების გამო დაბალი თვითეფექტურობა (რწმენა საკუთარი შესაძლებლობების შესახებ) ჰქონდა. რადგანაც, მოსწავლეებს სჯეროდათ, რომ არა აქვთ საკმარისი ნიჭი და უნარები მათემატიკის შესასწავლად, არიან სუსტები აღნიშნულ საგანში და საკუთარ შესაძლებლობებს ადარებენ თანაკლასელების შესაძლებლობებს, გადავწყვიტე განმეხორციელებინა სწავლების ინდივიდუალური მიდგომის ერთ-ერთი ფორმა - დიფერენცირებული მიდგომა, სასიკეთოდ შემეცვალა მათი დამოკიდებულება და რწმენა შესაფერისი სირთულის დავალებების, სწავლების პროცესისა და პროდუქტის დიფერენცირებით. მოსწავლეებს უნდა დაეჯერებინათ, რომ თავდაჯერებულობას და ძალისხმევას მოაქვს წარმატებას და ეს განცდა რეალურად უნდა ეგრძნოთ, რათა დარწმუნებულიყვნენ საკუთარ ძალებში და ამალელებულიყო მათი სწავლის მოტივაცია, თანაც, მრავალფეროვან და ახალ სასწავლო აქტივობებს უნდა გაეღვივებინა მათი ცნობისმოყვარეობა და ინტერესი. შესაბამისად, სწავლებისას გამოვიყენე შემდეგი სასწავლო მეთოდები/ აქტივობები/ინსტრუმენტები:

➤ 7.1.1. დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტის „სასწავლო გაჩერებები“ გამოყენება მიზანი: მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობისა და ინტერესის აღძვრა, სასწავლო პროცესში მათი აქტიურად ჩართულობის ხელშეწყობა სასწავლო მიზნის მისაღწევად სხვადასხვა აქტივობების ერთობლიობის გამოყენებით.

აღნიშნული ინსტრუმენტი გამოვიყენე ახალი სასწავლო თემის „შესაბამისობა“ შესწავლისას. „კვიზის“ საშუალებით შევაფასე მოსწავლეთ მზაობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და შევქმენი 4 ჯგუფი შესაბამისი წინარე ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით. კლასში

მერხების საშუალებით მოვაწყე 4 გაჩერება, მოსწავლეები დავყავი, მცირე ჯგუფებად, ავუხსენი „სასწავლო გაჩერებების“ მეთოდის არსი და მივეცი დეტალური ინსტრუქცია კონკრეტულ „გაჩერებასთან“ გათვალისწინებული სამუშაოს შესახებ. I გაჩერებაზე მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ წაკითხათ ტექსტი სახელმძღვანელოდან, სადაც ცხრილის სახით იყო მოცემული შესაბამისობის 2 მაგალითი. მოსწავლეებს უნდა ამოერჩიათ ერთ-ერთი შემთხვევა და მასალის გაცნობის შემდეგ შეეჯამებინათ რა გაიგეს წაკითხულიდან. II გაჩერებაზე მოსწავლეები უყურებდნენ ჩემ მიერ წინასწარ შერჩეულ ვიდეოს „შესაბამისობის გამოსახვა სხვადასხვა ხერხით“ (სილქნეტის საშინაო სკოლა), რომლის საფუძველზეც უნდა გამოეტანათ დასკვნები, გაეანალიზებინათ და შეეფასებინათ მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია. III გაჩერებაზე - „ინტერვიუ მასწავლებელთან“ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ ჩემთვის დაესვათ მათთვის საინტერესო კითხვები შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით, მიეღოთ პასუხები და შეეჯამებინათ ინფორმაცია ჯგუფში. IV გაჩერებაზე მოსწავლეებს დახვდათ თვალსაჩინოებები (შესაბამისობის ცხრილი და მანიპულატივები (კუბები). მოსწავლეები უნდა გაცნობოდნენ პოსტერზე დატანილ ინფორმაციას შესაბამისობის შესახებ და ცხრილით მოცემული შესაბამისობის მოდელი მიხედვით უნდა დაეწყოთ კუბები.

მუშაობის პროცესში ვაკვირდებოდი ჯგუფებს და საჭიროების შემთხვევაში ვიყენებდი „ხარაჩოს“ მეთოდს მათ დასახმარებლად და ვამხნევებდი სხვადასხვა მამოტივერებელი ფრაზებით. სასწავლო გაჩერებებზე მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს უნდა შეესრულებინათ ორი სახის დავალება: ერთი ჯგუფურად, მეორე- ინდივიდუალურად.

1. თითოეულ ჯგუფს შეეძლო მოემზადებინა ერთ-ერთი შემდეგი სასწავლო პროდუქტებიდან: პოსტერი, ვერბალური პრეზენტაცია, სქემა ან ცხრილი (მაგალითი ცხოვრებში/ მაგალითი საკლასო ოთახში).
2. თითოეულ მოსწავლეს უნდა დაეწერა 3-5 წინადადება რა ისწავლეს შესაბამისობის შესახებ. დიფერენცირებული სწავლების აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენების პროცესზე დაკვირვების, მოსწავლეების პრეზენტაციებისა და შემდგომი დავალებების წარმოდგენის შემდეგ დავასკვნე, რომ მოსწავლეთა უმრავლესობამ უკეთ გაიგო მასალა და მზად იყვნენ სხვადასხვა სირთულის დიფერენცირებული დავალებების შესასრულებლად. აგრეთვე, აღნიშნული მეთოდით სწავლებამ მოსწავლეები გაახალისა. უჩვეულოდ მოწყობილმა სასწავლო ფიზიკურმა



გარემომ გამოიწვია მათი ინტერესი, აღძრა ცნობისმოყვარეობა, გაზარდა სასწავლო პროცესში მათი ჩართულობა, მიღწეულმა შედეგმა (მზაობის მიხედვით დიფერენცირებული დავალებების შესრულებამ), სკაფოლდინგთან და პოზიტიურ კომენტარებთან ერთად კი, ხელი შეუწყო მოსწავლეთა თავდაჯერებულობის გაზრდას, რაც გამოიხატა შედარებით რთული დავალებების შესრულების სურვილში.

### ➤ 7.1.2. ჯგუფური პროექტებით სწავლება

ინტერვენციის მიზანი: ურთიერთსწავლების მეთოდის გამოყენებით მოსწავლეთა სოციალური მიკუთვნებულობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება და თანამშრომლობის უნარის განვითარება.

კვლევის ინტერვენციების განხორციელების პერიოდში განვახორციელეთ რამოდენიმე მინი და ერთი გრძელვადიანი სასწავლო პროექტი. შემაჯამებელი ტიპის, გრძელვადიანი (2 კვირა) პროექტი ეხებოდა მართკუთხედის პერიმეტრის თემას და და გულისხმობდა სავალდებულო და არჩევით დავალებებს თითოეული ჯგუფისთვის. მოსწავლეებს უნდა ჩაეტარებინათ შესაბამისი გაზომვები, გამოეთვალათ პერიმეტრი, მოეფიქრებინათ სკოლის სპორტული მოედნის მოდელის შემოღობვის ორიგინალური ვერსია (მასალა, ფასი და სხვ.) და მოპოვებული მონაცემების წარმოსადგენად მოემზადებინათ პრეზენტაციები შესაბამისი თვალსაჩინოებით (მოედნის მოდელი ან საპრეზენტაციო სლაიდები ან ნახატი), ასევე, უნდა გადაეღოთ სამუშაო პროცესის (იკრიბებოდნენ ერთმანეთის სახლებში) ფოტო ან ვიდეო მასალა და მოეთხროთ ჯგუფური პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე გამოკვეთილი დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. მოსწავლეები ძალიან გაახალისა და დააინტერესა აღნიშნულმა პროექტმა, ერთმანეთთან სტუმრობამ და ურთიერთდახმარებამ. ფოტოები, რომლებიც ვნახეთ პრეზენტაციებისას მეტყველებდა იმაზე, რომ მოსწონთ ერთად კლასგარეშე გარემოში მუშაობა, ახალისებთ ერთად სწავლა და გართობა. აღნიშნულ პროექტში საჭირო იყო მშობელთა მხარდაჭერა, რაც ძალიან დამეხმარა პროექტის მიზნების მიღწევაში. მშობლები ამარაგებდნენ მოსწავლეებს საჭირო მასალებით, ხელს უწყობდნენ ბავშვების თანამშრომლობას და მაწვდიდნენ წინასწარ ინფორმაციას სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფში მათი ურთიერთობისა და თანამშრომლობის შესახებ. პროექტი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. მოსწავლეებმა წარმოადგინეს სპორტული მოედნის ორიგინალური მოდელები, ფოტომასალა, ნახატები.

მოსწავლეები ხალისით ყვებოდნენ სასაცილო ისტორიებს პროექტის მიმდინარეობის შესახებ (მაგ. როგორ მოესვარათ ხელები ბრილინტის ხსნარით, როცა ღებავდნენ მოედნის ბადის ღობეს მწვანედ), ასევე მათი მუშაობის ძლიერ და სუსტ მხარეებს, რა მოეწონათ და რას შეცვლიდნენ პროექტში. პრეზენტაციები შევაფასეთ ერთობლივად, წინასწარ გაცნობილი შეფასების სქემის მიხედვით და მშობლებთან ერთად მოსწავლეებს გადავეცით შესაბამისი სიგელები.

ორი მინი პროექტიდან, რომელებიც გაკვეთილზე განვახორციელეთ, პირველი ეხებოდა ნამრავლის შეფასების (მიახლოებით პოვნა) თემას, ხოლო მეორე - შესაბამისობის საკითხს. პირველ შემთხვევაში, მოსწავლეებს უნდა შეეძარებინათ (მიახლოებით) სიტყვებს ოდენობის მიხედვით ქართულისა და ბუნების სახელმძღვანელოები, ხოლო მეორე პროექტის ფარგლებში, ერთმანეთთან შეთანხმებით უნდა შეედგინათ ყოველდღიური მორიგეობის ცხრილი (დღეში 2 მოსწავლე) და აღეწერათ ეს შესაბამისობა. პრეზენტაცია შეეძლოთ წარმოედგინათ მათთვის სასურველი ფორმით (ვერბალური, ნახატი ან სქემა შესაბამისი გამოთვლებით) და მოეთხროთ ჯგუფის თითოეული წევრის მიერ შესრულებული სამუშაოს მხოლოდ ძლიერი მხარეების შესახებ. ორივე პროექტის ფარგლებში შექმნილი ჯგუფები შექმნილი იყო მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით, მოსწავლეებმა შეძლეს მაქსიმალურად გამოევლინათ საკუთარი შესაძლებლობები წასახალისებლად (ბონუს სისტემა) საჭირო შედეგების მისაღწევად.

ვთვლი, რომ ჯგუფური პროექტებით სწავლებამ გამოიწვია მოსწავლეთა სოციალური თანამშრომლობის, საკუთარი შესაძლებლობის რწმენის, თანატოლთა აღიარების, საკუთარი ინტერესების (სპორტი, თანატოლებთან ურთიერთობა) გათვალისწინებისა და არჩევანის თავისუფლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

### ➤ 7.1.3. თამაში კონკურენციის გარეშე

აქტივობის მიზანი: მოსწავლეთა ჩართულობისა და ინტერესის შენარჩუნება, ერთგვარი განტვირთვა მეცადინეობის დროს, მათემატიკური ცნებების გააზრებისა და სტრატეგიული აზროვნების სტიმულირება მოსწავლეებში.

რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეების უმრავლესობისთვის უმჯობესია თამაშის ტიპის აქტივობების შეჯიბრებითობის პრინციპის გარეშე განხორციელება, შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინებით, ინტერვენციების განხორციელების პერიოდში ორი სახალისო თამაში/სახალისო აქტივობა

დავგეგმეთ: პირველი თამაში „არ იყოფა ხუთზე“ – „ნაშთით გაყოფის თემაზე, ხოლო მეორე – „ტყუილია თუ მართლი“ თემაზე – „გამრავლებისა და გაყოფის კომპონენტები“. თამაშებისას, მოსწავლეებს ევალუბოდათ მკაცრად დაეცვათ თამაშის წესები და ტემპი (5 ჯერ ტაშის შემოკვრის დრო, მასწავლებელი ცოტა ნელა უკრავს ტაშს იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც მეტი დრო სჭირდებათ). პირველ შემთხვევაში, პირველი მოთამაშე დაფაზე წერს რიცხვს 2-დან 10-მდე, ხოლო დანარჩენები რიგითობით მიაწერენ ისეთ რიცხვს, რომ ამ რიცხვისა და ადრე დაწერილი რიცხვებიდან ნებისმიერი რიცხვის სხვაობა არ გაიყოს 5-ზე. მეორე თამაშისას, მოსწავლეები დგებიან წრეზე, იწყებს რომელიმე ერთი მოსწავლე, შემდეგ რიგი გადადის მის მეზობელზე და ა.შ. წრე შეიძლება დატრიალდეს რამდენჯერმე. მასწავლებელი ეუბნება თითოეულ მათგანს წინასწარ მომზადებულ წინადადებებს (მაგალითად, „გამყოფი ყოველთვის ტოლია გასაყოფის“, „პირველი თანამამრავლი ზოგჯერ ტოლია ნამრავლის“, „განყოფი არ შეიძლება იყოს ნულის ტოლი“ და სხვ.), რომელზეც მოწავლემ უნდა დაადასტუროს ტყუილ-მართალი და დაასახელოს შესაბამისი მაგალითი.

როგორც მოსწავლეები აღნიშნავდნენ, თამაში შეჯიბრებითობის ელემენტებით იწვევდა წაგებულ მოსწავლეთა გაღიზიანებას და როგორც კვლევის პრობლემის აღწერის ნაწილში აღვნიშნე, ზოგიერთი მოსწავლე უარს ამბობდა თამაშში მონაწილეობაზე. ამჯერად, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიყენებდით შეჯიბრებითობის პრინციპს, თამაშის დაწყებამდე, მოსწავლეებს ვესაუბრე, როგორც შეცდომის სასიკეთო მხარეებზე, რომ „შეცდომა სწავლის განუყოფელი ნაწილია“, აგრეთვე, მოგებული და წაგებული გუნდების ღირსეულ ქცევაზე თამაშის დასრულების შემდგომ (მოგებულებს - მიელოცათ წაგებული გუნდისთვის და დახმარებოდნენ შეცდომების გასწორებასში, წაგებულები - ღირსეულად შეხვედროდნენ წაგებას, ჩაღრმავებოდნენ წაგების მიზეზებს და მიელოთ თანატოლთა დახმარება) და მათ გუნდურ პასუხისმგებლობაზე სწავლასა და ურთიერთდახმარებაში. ყურადღება გავამახვილე იმაზე, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა შეძლონ ორივე პრინციპით თამაშებში ჩართვა, რადგან შეჯიბრებითობის შემთხვევაში, თუკი დაინახვენ შეცდომის სასიკეთო მხარეებს და ჩამოუყალიბდებათ სწორი ურთიერთდამოკიდებულება (დაცინვისა და თავის შექების მხრივ), ისინი ისწავლიან ღირსეულად შეხვდნენ წაგებას და მოგებას, რაც შემდგომ ცხოვრებაში აუცილებლად გამოადგებათ.

ვფიქრობ, ჩემმა კომენტარებმა, ასევე, ჩემ მიერ, მოსწავლეთა სურვილის გათვალისწინებამ კონკურენციის გარეშე თამაშების აქტივობების გამოყენებაში და დაშვებული შეცდომების ერთობლობლივად გასწორებამ გამოიწვია პოზიტიური ცვლილებები მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებებსა და თამაშით სწავლის მიმართ მათ განწყობებში, გაახალისა ისინი და ხელი შეუწყო მათემატიკურ კომუნიკაციის, ცნებების გააზრებისა და სტრატეგიული აზროვნების სტიმულირებას.

#### ➤ 7.1.4. რუბრიკა „სახალისო წუთი“

აქტივობის მიზანი: მოსწავლეთა განტვირთვა-გახალისება, ლოგიკური აზროვნების განვითარება. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ მოსწავლეებს მოსწონთ სახალისო განტვირთვის აქტივობები გაკვეთილზე. შესაბამისად, ერთობლივად მივიღეთ გადაწყვეტილება რამოდენიმე წუთი გაკვეთილზე დაგვეთმო სახალისო შეკითხვისთვის, რომელსაც თავად მოამზადებდნენ ბავშვები. გავაკეთეთ მოსწავლეების რიგითობის სია შეკითხვა-ამოცანის წარმოდგენისთვის, თუმცა აღნიშნული აქტივობის მოდელირება თავდაპირველად თვითონ გავაკეთე. გაკვეთილის დაწყებამდე, საკლასო დაფაზე განვათავსე სახალისო შეკითხვა (მაგიდასთან ზის 4 ადამიანი, 3 წლის ბავშვი შეძვრა მაგიდის ქვეშ და დაიწყო ფეხების დათვლა. მან დათვალა 3 ფეხი, რატომ?). შეკითხვამ მაშინვე გამოიწვია მოსწავლეთა ინტერესი, დაიწყეს მსჯელობა და პასუხების დასაბუთება, თუმცა შემდეგ, პასუხზე საკმაოდ იხალისეს. შემდეგი დღიდან მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ შერჩეული რიგითობით წარმოედგინათ საკუთარი შეკითხვა და 2 წუთით განტვირთულიყვნენ მათემატიკურ საკითხებზე მუშაობისაგან. რამოდენიმე დღის შემდეგ, მოუვიდათ იდეა, რომ „კვირის სახალისო შეკითხვა“ დაგვეჯილდოებინა ბონუს ქულით და მშობლებიც ჩართულიყვნენ შეკითხვების მომზადებაში. ვფიქრობ, აღნიშნულმა აქტივობამ გამოიწვია მოსწავლეთა ინტერესი და გააქტიურება. შევთანხმდით, რომ აღნიშნული აქტივობა გაგრძელებულიყო სასწავლო წლის ბოლომდე და სურვილის შემთხვევაში შეგვეცვალა სხვა სახალისო აქტივობით.

#### ➤ 7.1.5. რუბრიკა „სასაუბრო თემა“

მიზანი: ნებისმიერი სასაუბრო თემის მათემატიკის კონტექსტში გააზრება, მოსწავლეებში ფანტაზიის უნარის განვითარება, მათი მოტივირება და გააქტიურება აზრის თავისუფლად და სხვადასხვა ფორმით გამოხატვის შესაძლებლობის მიცემით.

მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას სურდა ხვადასხვა თემაზე ესაუბრა მასწავლებელთან და თანაკლასელებთან ერთად. შესამამისად, ინტერნეტის საშუალებით, სასაუბრო თემების შესახებ, მოვიძიე რამოდენიმე საინტერესო აქტივობა და შევთავაზე მოსწავლეებს, გაკვეთილზე, მათემატიკის კონტექსტში გვესაუბრა ერთ-ერთ თემაზე (მაგ. ტრანსპორტი, მოგზაურობა, სპორტი და სხვ.). პირველად, სასაუბრო თემად შევარჩიეთ „ტრანსპორტი“. აქტივობა გულისხმობდა მოსწავლეებს დაეხატათ მათი საოცნებო მანქანა ან სხვა სატრანსპორტო საშუალება და დაეწერა პატარა ამბავი მასთან დაკავშირებით (სად წავიდოდნენ, რამდენ კილომეტრზე, რამდენი საწვავი დასჭირდებოდათ, ვისთან ერთად და ნებისმიერი რამ მათი ფანტაზიით). ნამდვილად, არ ველოდი თუ ასეთ სიხალისეს და ჩართულობას გამოიწვევდა ეს რუბრიკა, შეიძლება ითქვას მოლოდინს გადააჭარბა მოსწავლეთა ფანტაზიის უნარმა ისეთი ამბები და ნახატები შექმნეს რამდენიმე წუთში, თუმცა დაგეგმილზე მეტი დრო წაიღო სახალისო პრეზენტაციებმა და შევთანხმდით, რომ აღნიშნული რუბრიკა კვირაში ერთხელ ჩაგვეერთო გაკვეთილში. გარდა იმისა, რომ სასაუბრო თემის მათემატიკასთან კავშირმა გამოიწვია საერთო ინტერესი, საკუთარ ოცნებებთან მისმა შეხებამ გააქტიურა ის მოსწავლეებიც, რომლებსაც ზოგადად, უჭირდათ აზრის გამოთქმა. მომდევნო სასაუბრო თემა, თემათა ჩამონათვალიდან (რომელიც კედელზე განვათავსე) უნდა შეერჩიათ თავად მოსწავლეებს, ასევე, მათ მიეცათ შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში, წინასწარ, წერილობითი ფორმით წარმოედგინათ იმ აქტივობის აღწერა, რომელიც მათი აზრით, უფრო საინტერესო იქნებოდა კლასის უმრავლესობისთვის ზემოთ განხილულ აქტივობასთან შედარებით, თუმცა შევთანხმდით, რომ მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებოდათ არჩევანი თვითონ გაეკეთებინათ სასაუბრო აქტივობებს შორის. ჩემი აზრით, ინტერვენციამ გამოიწვია მოსწავლეებში ინტერესი, მათი გააქტიურება და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება და სახალისო გახადა გაკვეთილი.

➤ *7.1.6. გასვლითი გაკვეთილი (ხარჯთაღრიცხვა)*

აქტივობის მიზანი: მათემატიკის რეალურ ცხოვრებაში გამოყენება, მარტივი ხარჯთაღრიცხვის შედგენის უნარების გამომუშავება, განსხვავებულ გარემოში ჩატარებული სახალისო გაკვეთილითა და მშობელთა ჩართულობით მოსწავლეებში მათემატიკის სწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდა.

ინტერვენციის ფარგლებში გადაწყვიტე გაკვეთილი არაფორმალურ გარემოში ჩამეტარებინა. მოსწავლეებს შევთავაზე 2-3 კგუფებში, წყვილებში ან ინდივიდუალურად, ზუსტად 10 ლარის ფარგლებში შეედგინათ მარტივი ხარჯთაღიციხვა, რომელიც მათ მიერ (მშობელთა ხარჯებითა და ჩართულობით) მომზადებული საკვების (პიცა ან ტკბილეული ან ხილი ან სხვ.) ინგრედიენტების საყიდლად იქნებოდა საჭირო. შევათანხმეთ გასვლის დღე და მშობლებთან ერთად, იქვე, კულტურის სახლის ეზოში შევიკრიბეთ პრეზენტაციების მოსასმენად და მოსწავლეთა ნახელავის დასაგემოვნებლად. მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები (ხარჯთაღიციხვის ცხრილები და სახალისო ფოტოები), ისაუბრეს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე და უპასუხეს დასმულ კითხვებს. რამოდენიმე არჩეული მოსწავლე და მშობელი, ჩემთან ერთად ჩაერთო შეფასების კომისიაში. შევაჯამეთ გაკვეთილი და მოვისმინეთ მოსწავლეთა უკუკავშირი. მათი აზრით, საკმაოდ სახალისო და თავსატეხი აღმოჩნდა პროდუქტების მასების შემცირება თანხის შესაბამისად და დასჭირდათ მშობლების დახმარება, რომლებიც ასევე, კმაყოფილები იყვნენ იმით, რომ უკვე შესაძლებელია მათი შვილების საყიდლებზე გაგზავნა, რადგან ბავშვებმა მიიღეს გამოცდილება შეზღუდული თანხის პირობებში ყველა პროდუქტი შეეძინათ მასების შემცირების ხარჯზე.

ვფიქრობ, გაკვეთილი გამოვიდა ძალიან საინტერესო და სახალისო როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მათი მშობლებისთვის. აქვე, დავგეგმეთ შემდგომი გასვლითი გაკვეთილი მარტყოფის დედათა მონასტერში, სადაც დედაოები ამზადებენ სხვადასხვა საავტორო პროდუქტებს (შოკოლადი, საპონი და სხვ.) სარეალიზაციოდ, რათა მოსწავლეებს საკუთარი თვალთ ენახათ როგორ მზადდება, რა ტექნოლოგიითა და ხარჯთაღიციხვით ამზადებენ პროდუქტების შესაბამის „პორციებს“ დედაოები (თუ გაგვანდეს რა თქმა უნდა).

#### ➤ 7.1.7. ვიდეოსწავლება, როგორც საშინაო დავალება

აქტივობის მიზანი: ინტერნეტ ვიდეორესურსის გამოყენებით ახალი მასალის წინასწარ გაცნობა, მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობისა და ინტერესის გაღვივება, საშინაო დავალების შესრულებისას სირთულეების აღმოფხვრისა და მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა.

კვლევის მონაცემების შედეგებიდან გამოიკვეთა მშობელთა მოსაზრებები ბავშვების საშინაო დავალების შესრულების სირთულესთან დაკავშირებით, ასევე მოსწავლეთა გამოკითხვიდან გამოჩნდა, რომ უმრავლესობა სწავლობს მოსმენით და მოსწონს ინტერნეტ (მულტიმედია)

რესურსებით სწავლება, შესაბამისად დავგეგმე ახალი მასალის მიწოდების ვიდეოსწავლების მეთოდი არა კლასში, არამედ სახლში, როგორც საშინაო დავალება. მულტიმედია რესურსები (სილქნეტისა და ხანის აკადემიის გაკვეთილები) აღნიშნულ კლასში რემდენჯერმე გამომიყენებია სწავლებისას და შედეგიანი აღმოჩნდა. მშობლებთან შეხვედრისას, როცა მათ კვლევის შედეგები გავაცანი და ინტერვენციებზე ვესაუბრე, მოიწონეს იდეა და შევთანხმდით, რომ ახალი მასალის მიწოდებამდე, სოციალურ ქსელ „facebook“-ის დახურულ მშობელთა ჯგუფში, შესაბამისი თემის ვიდეოგაკვეთილების ე. წ. „ლინკებს“ გადავუგზავნიდი, რათა წინასწარ გაცნობოდნენ მოსწავლეები და შემდეგ, საშინაო დავალების შესრულებისას რამდენჯერაც საჭიროდ ჩათვლიდნენ იმდენჯერ ენახათ და მოესმინათ შესაბამისი გაკვეთილი. შემდეგ გაკვეთილზე ვუჩვენებდი იგივე ვიდეოს ან, პირდაპირ, განვიხილავდით რა გაიგეს და მასალის გაგების დონეს ვამოწმებდი სავარჯიშოების შესრულებითა და ამოცანების დამოუკიდებლად ამოხსნით. როგორც გავარკვიე, კლასის მხოლოდ ორი მოსწავლის მშობელი არ იყო ჩართული აღნიშნულ დახურულ ჯგუფში და აღნიშნული მოსწავლეებთან მიწევდა მეტი ყურადღების მიპყრობა საკლასო დავალებების შესრულებისას მათი დახმარების მიზნით. აღნიშნულმა მიდგომამ და საშინაო დავალებების არჩევანის შესაძლებლობამ, ვფიქრობ, მოსწავლეთა დაინტერესება გაზარდა, რაც აისახა კიდევ შედგომ პერიოდებში მათ მიერ საშინაო დავალებების შესრულების ხარისხზე. გაკვეთილის შეჯამებისას, მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ ვიდეოჩვენების მეთოდის გამოყენებით უკეთ იგებდნენ მასალას და მოსწონდათ მათი მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობა, ასევე, კმაყოფილი იყვნენ მშობლები, რასაც აღნიშნავდნენ სამადლობელი სიტყვებით იმავე დახურულ ჯგუფში.

## ***7.2. მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლება და გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართულობა***

მიზანი: მოსწავლეთა ავტონომიურობის გაზრდით სწავლის მოტივაციის ამაღლება

განათლების სპეციალისტების აზრით სადავო არ არის, რომ რაც უფრო მეტადაა დაინტერესებული მოსწავლე საკითხით, მით უფრო მეტად არის ის ჩართული სასწავლო პროცესში, მით უფრო მაღალია მისი მოტივაცია, მიაღწიოს სასწავლო მიზანს. მოსწავლეებს შეუძლია, გარკვეულ შემთხვევებში მოსწავლეს მისცეს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, ისწავლოს სასწავლო თემასთან დაკავშირებული ის საკითხი, რომელიც ყველაზე მეტად

აინტერესებს ან დავალებები შეარჩიოს მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით და ამ გზით მიაღწიოს სასწავლო მიზანს. აღნიშნული კვლევის რაოდენობრივი მონაცემებიდან გამოიკვეთა მოსწავლეთა ძირითადი ინტერესები, რომელიც უკავშირდებოდა სპორტს, მეგობრებთან ურთიერთობას, ტექნოლოგიებს და ხელოვნებას (მუსიკა, ცეკვა და ა.შ.). აგრეთვე, მნიშვნელოვნად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს სურდათ ჰქონოდათ არჩევანის მეტი თავისუფლება. შესაბამისად, ინტერვენციების განხორციელების პროცესში, თითქმის ყველა სასწავლო აქტივობის განხორციელებისას მივეცი მათ არჩევანის შესაძლებლობა, მაგალითად:

- დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტის „სასწავლო გაჩერებები“ გამოყენებისას მოსწავლეებს საშუალება მიეცათ სხვადასხვა სწავლის სტილის შესაბამისი სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენების, ასევე, შემდგომი დავალებაც იძლეოდა მისი სხვადასხვა ფორმით წარმოდგენის არჩევანის შესაძლებლობას;
- პროექტებით სწავლებისას მოსწავლეებს შეეძლოთ ჯგუფები შეერჩევა ინტერესების და მზაობის მიხედვით და პროექტის პროდუქტისა და მისი წარმოდგენის/პრეზენტაციის ფორმის არჩევანის საშუალებაც მიეცათ;
- რუბრიკა „სახალისო წუთი“ მოსწავლეებს აძლევდა სახალისო შეკითხვისა და მათი წარმოდგენის რიგითობის არჩევის შესაძლებლობას, ასევე, მოსწავლეს, სურვილის მიხედვით, შეეძლო უარი ეთქვა აღნიშნულ რუბრიკაში მონაწილეობაზე.
- რუბრიკა „სასაუბრო თემა“ საშუალებას იძლეოდა მოსწავლეებს თემების ჩამონათვალიდან თავად შეერჩიათ სასაუბრო თემა და რომელიმე მისთვის სასურველი ფორმით (ნახატი, ესე ან ამბავი) გადმოეცა სათქმელი;
- გასვლით გაკვეთილზე, წასახემსებელი ფურშეტისთვის მომზადებული საკვების „ინგრედიენტების ნუსხა“ შეეძლოთ თავად შეერჩიათ 10 ლარის ფარგლებში და პრეზენტაციაც სასურველი ფორმით წარმოედგინათ.

### 7.2.1. აქტივობა „მე ვირჩევ“

მიზანი: მოსწავლეთათვის არჩევანის თავისუფლების მიცემა, მათი ჩართულობის/ ყურადღების შენარჩუნება და თვითდაჯერებულობის გაზრდა.

აქტივობა „მე ვირჩევ“ საშუალებას აძლევდათ მოსწავლეებს კუბურა კამათელის (რომელზეც დატანილი იყო მზაობის მიხედვით დიფერენცირებული დავალებები) გაგორებით ამოერჩიათ



მათთვის სასურველი აქტივობა, ასევე, შეერჩიათ დავალებები „არჩევანის დაფიდან“, სადაც განთავსებული იყო გამრავლება-გაყოფაზე ამოცანები/სიტუაციური ამოცანები ინტერესებისა და სირთულის მიხედვით (1, 2 ან 3 ბონუს ქულიანი დავალებები, კროსვორდები, თავსატეხები და სხვ.) და G-praid -ის დავალების ბარათები, სხვადასხვა ტესტების კრებულები და დამხმარე სახელმძღვანელოები. „მე ვირჩევ“ პრინციპს მოსწავლეები, ასევე, იყენებდნენ საშინაო დავალებების ტიპისა (საკითხის შესახებ ვიდეოსწავლების გაკვეთილის ნახვის შემდეგ შეკითხვებზე პასუხი ან შესასწავლი საკითხის შესახებ ინფორმაციის მოძიება და წერილობითი ან სხვა ფორმის პრეზენტაცია რაოდენობის შერჩევასა სურვილის მიხედვით (მაგალითად, 5 დავალებიდან რომელიმე სამი).

აღსანიშნავია, ისიც, რომ აღნიშნული აქტივობისას მოსწავლეებს შეეძლოთ ემუშავათ წყვილებში, მცირე ჯგუფებში ან ინდივიდუალურად. დავალებების შერჩევაში მეხმერებოდნენ მოსწავლეები და კოლეგები სხვადასხვა დამხმარე სახელმძღვანელოდან და ინტერნეტ რესურსებიდან სასწავლო საკითხის შესახებ მოძიებული ამოცანების მოდიფიცირებაში და მარტივიდან რთულისკენ, გამოწვევების შემცველი შეკითხვების ჩამოყალიბებაში. დავალებების შესრულებისას სირთულების შემჩნევისთანავე ვიყენებდი დამხმარე შეკითხვების სკაფოლდინგის სისტემას დავცდილობდი მოსწავლეები წამეხალისებინა მცირე წარმატებისათვისაც კი პოზიტიური კომენტარებითა და შექებით.

### *7.2.2. ინსტრუმენტი „სასწავლო მენიუ“*

მიზანი: მოსწავლეებისათვის კონკრეტულ სასწავლო მიზანთან დაკავშირებული საკითხის შესწავლის ფორმისა და დავალების ტიპის არჩევანის შეთავაზებით მოსწავლეებში ინტერესის გაღვივება და სწავლის მოტივაციის გაზრდა, მათი ჩართულობისა და ყურადღების მაქსიმალური შენარჩუნება.

ამავე ატივობაში გავაერთიანე დიფერენცირებული მიდგომის ერთ-ერთი ინსტრუმენტის „სასწავლო მენიუ“ გამოყენება რამდენიმე (4) მოსწავლესთან, რომლებიც ჩემი დაკვირვებით შედარებით უფრო დემოტივირებულები იყვნენ და ერთნაირი საჭიროება ქონდათ ამოცანების ამოხსნის მიმართულებით. ანუ, როგორც იტყვიან „დავტესტე“ თუ რა შედეგს გამოიღებდა მრავალგანზომილებიანი (მზაობის, სწავლის სტილისა და ინტერესების მიხედვით) დიფერენცირებული სასწავლო ამოცანების/დავალებების არჩევანის შესაძლებლობის მიცემა

მათთვის. მრავალგანზომილებიანი სასწავლო მენიუ შევადგინე თემაზე „ამოცანების ამოხსნა ზედმეტი მოცემულობით“. მოსწავლეებს დავალებები უნდა შეერჩით სავლდებულო, არჩევითი და არასავლდებულო „მენიუდან“. თითოეულ მენიუმში 2-4 აქტივობა იყო შესასრულებელი, მაგალითად, სავლდებულო დავალებების მენიუმში ორი დავალებიდან ერთ-ერთი სთავაზობდა მოსწავლეს ამოცანას, სადაც მოსწავლეს სხვადასხვა ფერით უნდა გაეფერადებინა ამოცანის მონაცემები და შეკითხვა და ცხრილის სახით უნდა დაეხარისხებინა საჭირო და არასაჭირო მონაცემები. ზოგიერთი ამოცანა არ იყო ტექსტური სახის, მოცემული იყო მარტივი სქემით, ნახატით ან მოკლე ჩანაწერით, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევდა საკუთარი აღქმის სტილის, ინტერესისა და სირთულის შესაბამისი ამოცანა შეერჩიათ ამოსახსნელად. აღნიშნულ მოსწავლეებს შეეძლოთ საკითხს დამატებით გაცნობოდნენ ვიდეოსწავლების მეთოდით (სილქნეტის ვიდეო გაკვეთილები), რისთვისაც ვიყენებდი ჩემ მობილურ ტელეფონს და ყურსასმენებს, ასევე, ისინი ირჩევდნენ დავალების შესასრულებლად საჭირო დროც. საინტერესო იყო ის, რომ შერჩეულ მოსწავლეებთან ერთად, კიდევ რამდენიმე მოსწავლემ გამოთქვა სურვილი ჩართულიყო „სასწავლო მენიუს“ აქტივობაში.

### *7.2.3. „ბონუს“ ქულების მინიჭებისათვის კრიტერიუმების შემუშავება*

აქტივობის მიზანი: მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა გადაწყვეტილებების მიღებაში, მათი პასუხისმგებლობის გაძლიერება და მოტივირება.

„ბონუს“ ქულების (იხ. ქვეთავი 7.3) კრიტერიუმების შემუშავებისთვის მოსწავლეებს ვთხოვე გამოეთქვათ მოსაზრებები და „გონებრივი იერიშის“ მეთოდით ჩამოვწერეთ ყველა გამოთქმული აზრი. შემდეგ, მსჯელობის შედეგად, რადგანაც „ბონუს“ ქულის იდეა გულისხმობდა მოსწავლის დამატებითი ძალისხმევას და შრომის აღიარებას, გამოვრიცხეთ რამოდენიმე კრიტერიუმი და დავიყვანეთ ოთხ, ყველასთვის მისაღებ კრიტერიუმზე (მაგ. ერთ-ერთი კრიტერიუმი: საკუთარი ინიციატივით კლასში დამატებითი ამოცანების ამოხსნა „არჩევანის დაფიდან“ - 1-3 ბ.ქ.). აღსანიშნავია, ის, რომ შესარჩევი იყო ისიც, თუ რა მოყვებოდა აღნიშნული ბონუს ქულების დაგროვებას. შევთანხმდით, რომ სასწავლო ბოლომდე, საჭირო რაოდენობების ბონუს ქულების დაგროვების შემთხვევაში მოსწავლეს მიენიჭებოდა გარკვეული პრივილეგიები, მაგალითად, 1-დან 3-მდე „ბონუს“ ქულის დაგროვების შემთხვევაში შეეძლო აერჩია ან „ბუქში“ თამაში, ან სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში კომპიუტერთან თამაში (თამაშების შერჩევა ვთხოვე

სკოლის ისტ.-ის მასწავლებელს, ხოლო ჯილდოს მიღება მოსწავლეებს შეეძლოთ რიგითობის დაცვით), ასევე, შეეძლო ერთი გაკვეთილის განმავლობაში ყოფილიყო „მასწავლებელი“ ან „მასწავლების ასისტენტი“ (3-დან 5-მდე ბ.ქ.) და გადაეცემოდა „ოქროს“ (15-დან 20-მდე ბ.ქ.), „ვერცხლის“ (10-დან -15-მდე ბ.ქ.) და „ბრინჯაოს“ (5-დან 10-მდე ბ.ქ.) სიგელები ჩემი სახელით. მოსწავლეებს, სურვილის შემთხვევაში, საშუალება ჰქონდათ შეერჩიათ მეწყვილე და დახმაროდნენ ერთმანეთს „ბონუს“ ქულების მოპოვებაში.

რადგანაც, მოსწავლის მცირე მცდელობაც კი ნაბიჯი გადაედგა წარმატებისაკენ, მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, საჭირო იყო შეგვერჩია რაიმე წამახალისებელი, იმ შემთხვევისთვის თუ რომელიმე მოსწავლე უარს იტყოდა „ბონუს“ ქულების მოპოვებაზე, მაგრამ გაკვეთილზე შეძლებდა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას მრავალჯერადი მცდელობით. მოსწავლეების ინიციატივით, ასეთი მოსწავლე დაჯილდოვდებოდა „მადლობის“ სიგელით ძალისხმევისათვის.

რამდენიმე მოსწავლემ მშობლების დახმარებით ფორმატის ფურცელზე გადაიტანა შემუშავებული სქემა და შესაბამისი ცხრილი მოსწავლეთა სიით. ასევე, შევთანხმდით, რომ მათივე ინიციატივით შესაძლებელი იყო შემდგომში ცვლილებების შეტანა კრიტერიუმებსა და წამახალისებლებში.

კრიტერიუმების შემუშავების პროცესშივე, ჩემი დაკვირვებით, ჩანდა, რომ მოსწავლეთა ჩართვამ ახალი წახალისების სისტემის შემუშავებაში მათი ინტერესი გამოიწვია, რაც დადასტურდა კიდევ შემდგომში, ინტერვენციის შეფასების ნაწილში.

### ***7.3. მოსწავლის აღიარებისა და წახალისების „ბონუს“ ქულების სისტემის დანერგვა***

მიზანი: მოსწავლეთა ძალისხმევის განმტკიცება, მათი აღიარება და წახალისება სწავლის მოტივაციის ამაღლებისათვის.

კვლევის მონაცემების ანალიზიდან ჩანდა, რომ მოსწავლეებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლის/თანატოლთა აღიარება და წახალისება. განათლების მკვლევართა აზრით, „მოსწავლეთა შინაგან მოტივაციაზე უარყოფითი გავლენა ჯილდოს შეიძლება ჰქონდეს მაშინ, როდესაც დავალების შესრულებისათვის მოსწავლეებს ისე აჯილდოებენ, რომ არ აფასებენ დავალების შესრულების ხარისხს“ (მარზანო, ფიქერინგი, ფოლოქი, 68). ინტერვენციების ფარგლებში მინდოდა რაიმე ახალი, გარეგანი წახალისების ფორმა გამომეყენებინა და თანაც ისე,

რომ ყველა მოსწავლეს ჰქონოდა მისი მოპოვების საშუალება, არ ყოფილიყო მატერიალური ფორმის და კრიტერიუმების დაკმაყოფილებას გამოეწვია მოსწავლის თვითდაჯერებულობის გაზრდაც.

კვლევის ინტერვენციების დაგეგმვის პროცესში, როდესაც მოსწავლეებს გავაცანი კვლევის მონაცემთა შედეგები და გავესაუბრე წახალისებისა და აღიარების სისტემის დანერგვაზე, ერთ-ერთ მოსწავლეს მოუვიდა „ბონუს ქულების“ მინიჭების იდეა განსაკუთრებული მიღწევებისთვის. მოსწავლეების ჩართულობით შევიმუშავეთ კრიტერიუმები, რომელიც საშუალებას აძლევდა მოსწავლეებს მოეპოვებინათ „ბონუს“ ქულები ინტერვენციების და შემდგომ პერიოდში და მიეღოთ შესაბამისი წამახალისებლები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სისტემაში ჩართვა მოსწავლეებისთვის ნებაყოფლობითი იყო, თუმცა სხვადასხვა „ბონუს“ ქულის მიღების შემთხვევაში განხვავებული ფორმის წამახალისებლების მიღების შესაძლებლობას მათი სურვილი უნდა გაეღვივებინა და გაეზარდა მათი ჩართულობა კრიტერიუმებით აღწერილ აქტივობებში. აღნიშნული წახალისების სისტემა, ჩემი აზრით, როგორც ზემოთ აღვნიშნე (იხ. ქვეთავი 7.2.3.) საშუალებას მისცემდა თითოეულ მოსწავლეს მოეპოვებინა 1-დან 20-ის ჩათვლით „ბონუს“ ქულა, უყურადღებოდ არ დატოვებდა არც ერთი მოსწავლის წარმატებას, რომელიც შეძლებდა თუნდაც 1 „ბონუს“ ქულის მოპოვებასაც კი და მომცემდა საშუალებას წამახალისებინა ისინი მიღწევებისთვის.

აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა მალევე შეძლო მობილიზება და დაიწყო ქულების დაგროვება. ხოლო იმ მოსწავლეებს, რომლებსაც უჭირდათ გადაწყვეტილების მიღება, ვამხნევებდი პოზიტიური, მხარდამჭერი კომენტარებითა და ვაძლევდი მიმართულებას, თუ როგორ შეეძლო ეს გაეკეთებინა და რომ ეს ნამდვილად შეეძლოთ მათ. ასევე, გაკვეთილის შეჯამებისას, შეკითხვების საშუალებით, ვცდილობდი, იმ მოსწავლეებს, ვინც უკვე მოიპოვა დამატებითი ქულები, ღიად და ემოციურად ესაუბრათ იმ ძალისხმევასა და მცდელობაზე, რამაც გამოიწვია მათი წარმატება, რამდენად მოსწონდათ წახალისების სისტემა და შეიცვალა თუ არა მათი დამოკიდებულება საკუთარი თავის რწმენის მიმართ. მხოლოდ 1 მოსწავლეს დავეხმარეთ მეწყვილის შერჩევაში, რათა გამოეჩინა დამატებითი ძალისხმევა და დაემსახურებინა „მადლობის“ სიგელით საჯარო აღიარება. ასევე, თანაკლასელების მიერ ხდებოდა აღნიშნული მოსწავლეების

აღიარება, მილოცვა და დამსახურებული საჯარო შექება, რამაც მოსწავლეთა კმაყოფილება გამოიწვია.

## **თავი 8. ინტერვენციის შეფასება**

ინტერვენციის შედეგების შესამოწმებლად, თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტებიდან გამოვიყენე: გაკვეთილზე დაკვირვება, ფოკუს ჯგუფი მშობლებთან, სტანდარტიზებული ჩაღრმავებული ინტერვიუ მოსწავლეებთან, ხოლო რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტებიდან - მოსწავლეთა ანკეტირება.

### **8.1. ინტერვენციის შეფასება - გაკვეთილზე დაკვირვება**

ინტერვენციების შეფასების თვისობრივი კვლევისას გაკვეთილზე დაკვირვება განვახორციელე 5 გაკვეთილზე, სადაც თითოეულ გაკვეთილზე, ინტერვენციების ფარგლებში დავგეგმე, ზემოთ აღწერილი სწავლების განხვავებული და მოსწავლეებისთვის ახალი მეთოდი/ მოდგომა/სტრატეგია, მივანიჭე მოსწავლეებს დავალებებისა და ოგანიზების ფორმის არჩევანის თავისუფლება და გამოვიყენე მამოტივირებელი წამახალისებლები, როგორც კომენტარების, აგრეთვე, „ზონუს“ ქულების სახით. შევიმუშავე გაკვეთილზე დაკვირვების სპეციალური ფორმა (იხ. დანართი N7), რომელსაც ვავსებდი, როგორც გაკვეთილის მიმდინარეობისას, ასევე, გაკვეთილის დამთავრებისთანავე, მხოლოდ, გასვლით გაკვეთილზე გამოვიყენე კოლეგის დასწრება და დაკვირვება. გაკვეთილზე დაკვირვების შედეგებმა აჩვენა, რომ მოსწავლეთა უდიდესი ნაწილისათვის საინტერესო აღმოჩნდა სასწავლო თემის შესაბამისი დავალებების/აქტივობების მორგება მათივე ინტერესებსა და სწავლის სტილზე და დავალებების არჩევანის შესაძლებლობა, ასევე, სასწავლო აქტივობების/მეთოდების და მრავალფეროვნება, მულტიმედია ვიდეო რესურსების სახლში გამოყენება და წახალისების „ზონუს“ სისტემა. მოსწავლეების ყველაზე მაღალი ინტერესი და ჩართულობა დაფიქსირდა: გასვლით გაკვეთილზე, „სასწავლო გაჩერებების“ მეთოდის გამოყენებისას, „მოედნის შემოღობვის“ პროექტისა და რუბრიკა „სახალისო წუთის“ აქტივობის განხორციელებისას. უკანასკნელ აქტივობაში ჩართვის სურვილი ყველა მოსწავლემ გამოთქვა და მიუხედავად იმისა, რომ დაკვირვების ფარგლებში (5 გაკვეთილი) ბოლომდე ვერ მოხერხდა მისი სრულად შეფასება, შეიძლება ითვას, რომ სახალისო ამოცანებმა რეალურად გამოიწვია მოსწავლეთ განტვირთვა და გახალისება გაკვეთილზე,

მოსწავლეები თავისუფლად გამოხატავდნენ საკუთარ აზრს, ყოველგვარი, შეცდომის დაშვების შიშის გარეშე. დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ თითოეულ გაკვეთილზე, საშუალოდ 19 (82%) მოსწავლე დამოუკიდებლად და მთელი საგაკვეთილო დროის განმავლობაში ერთვებოდა აქტივობებში, ხოლო 4 მოსწავლესთან ჩართულობის გასააქტიურებლად გამოყენებულმა „სასწავლო მენიუს“ ინსტრუმენტმა გაამართლა და ისინიც გააქტიურდნენ, თუმცა მაინც დამჭირდა ზედმეტი ძალისხმევა, რომ ერწმუნათ საკუთარი თავის. საინტერესო იყო ის, რომ ჩემი გამამხნეველი და პოზიტიური კომენტარების შედეგად მოსწავლეები (65%) ცდილობდნენ აერჩიათ უფრო რთული დავალებები, ვიდრე შედარებით ადვილი, ასევე, გარეგანი წახალისების ახალმა მიდგომამ („ბონუს“ ქულები) გამოიწვია მათი გამოცოცხლება და გააღვივა ინტერესი ამოეხსნათ დამატებითი ამოცანები (1,2,3, ბონუს ქულიანი) და აქაც, მოსწავლეთა უმრავლესობა ცდილობდა აერჩიათ მეტ „ბონუს“ ქულიანი დავალებები. ჯილდოს მისაღებად ისეთმა მოსწავლეებმა გამოთქვეს დამატებითი დავალებების შესრულების სურვილი, რომლებიც საკმაოდ ზარმაცობდნენ საკლასო და საშინაო დავალებების შესრულებისას. ისინი განსაკუთრებით დაინტერესდნენ კომპიუტერების კაბინეტში თამაშებით (დაკვირვების პერიოდში 6 -მა მოსწავლემ უკვე მოაგროვა 8 „ბონუს“ ქულა, 9-მ 3 ბ.ქ., ხოლო 5-მა - 2 ბ.ქ.). ასევე, გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ნაკლებად ან საერთოდ აღარ შფოთავდნენ შეცდომების გამო და ჩემი გამამხნეველი კომენტარების დახმარებით, მათი უმრავლესობა ჯგუფური მუშაობებისას გახდა პოზიტიური თანაგუნდელების შეცდომების მიმართაც. ყველა მოსწავლეს მოეწონა სწავლებისას ვიდეო და სხვა ვიზუალური მასალის გამოყენება სასწავლო რესურსად, რამაც გაზარდა მათი დაინტერესება და მასალის გაგების დონე. გაკვეთილის ბოლოს, უკუკავშირებისას თითქმის ყველა მოსწავლე აღიშნავდა, რომ ძალიან მოეწონა გაკვეთილზე გამოყენებული ახალი აქტივობები და მეთოდები და არჩევანის თავისუფლება. შესაბამისად, გაკვეთილზე დაკვირვების შედეგებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ მოსწავლეთა მოტივაცია კვლევის დაწყებამდე პერიოდთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა, რაც გამოიხატა სასწავლო აქტივობებში მათ მაღალ ჩართულობაში, დაინტერესებასა და გახალისებაში, ასევე, დავალებების შესრულების ხარისხის, სირთულეებთან გამკლავების უნარის, თავდაჯერებულობისა და მეტის შეცნობის ინტერესის გაზრდაში.

## 8.2 ინტერვენციის შეფასება - ფოკუს ჯგუფი მშობლებთან

მშობლებთან განხორციელებულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდა საკვლევის კლასის 13 მშობელი (დედა), რომლებმაც გამოთქვეს სურვილი (ჰქონდათ თავისუფალი დრო) დისკუსიაში მონაწილეობაზე. პირველ რიგში, მშობლებს გავაცანი კვლევის შედეგები და ძირითადი დასკვნები და წინასწარ მომზადებული სადისკუსიო გეგმის შესაბამისად, ვთხოვე გულწრფელად გამოეხატათ საკუთარი აზრი მოსწავლეთა მოტივაციის დონის ცვლლებასთან დაკავშირებით, როგორც ბავშვების მონათხრობიდან გამომდინარე, ასევე, საშინაო დავალების ახალ მოდელთან დაკავშირებით.

სადისკუსიო გეგმა შედგებოდა 7 კითხვისაგან (იხ. დანართი N8) და დისკუსია მიმდინარეობდა, დაახლოებით 1 საათის განმავლობაში.

დისკუსიისას მშობლებმა აღნიშნეს, რომ ეცნობოდნენ კვლევის მიმდინარეობას და ინტერვენციების შესახებ ინფორმაციას. მათი აზრით, დადებითი შედეგი გამოიღო სახლში ვიდეოსწავლების მეთოდმა. მათთვისაც საინტერესო იყო გაცნობოდნენ აღნიშნულ სასწავლო მასალას და საშუალება მიეცათ უკეთ დახმარებოდნენ საკუთარ შვილებს საშინაო დავალებების შესრულებაში. მშობლებისთვის შესამჩნევი აღმოჩნდა ის, რომ ბავშვები გამოხატავდნენ ინტერესს, მეტ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ დავალების ხარისხიანად შესრულებისას და საშუალება ჰქონდათ განმეორებით ესარგებლათ ვიდეორესურსებით სირთულეებისას. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა მათთვის „ამოცანების ამოხსნის“ თემაზე ვიდეო გაკვეთილი, რადგან, ძირითად, სირთულედ სწორედ ამოცანის პირობის გააზრებას თვლიდნენ საშინაო დავალებების შესრულებისას. ასევე, მათი აზრით, ბავშვების გახალისება და ჩართულობა გამოიწვია პროექტებსა და გასვლით გაკვეთილში მშობლების მონაწილეობამ და როგორც შვილების ნაამბობიდან აღნიშნეს, „ბონუს“ ქულების სისტემის შემოღებამ და „სასწავლო გაჩერებების“ მეთოდმა, რომლებსაც დიდი ინტერესითა და ემოციებით ყვებოდნენ სახლში. მშობლები ამბობდნენ, რომ დადებითისკენ შეიცვალა ბავშვების თავდაჯერებულობა, ისინი ცდილობდნენ დავალებების არჩევისას არ შეერჩიათ მარტივი ამოცანები და მაგალითები, მეცადინეობის დასაწყისში, პირველად ისმენდნენ ვიდეოგაკვეთილს და ამზადებდნენ მათემატიკის დავალებას. რამოდენიმე მშობელმა აღნიშნა, „რომ ამაღლდა არა მხოლოდ ჩვენი შვილების, არამედ ჩვენი მოტივაციაც“. შესაბამისად, მშობლებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფის

შედეგებით, განხორციელებული ინტერვენციები დადებითად შეფასდა მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდის მხრივ. ასევე, მშობლებმა ყურადღება გაამახვილეს „ბონუს“ ქულების სისტემაზე და აღნიშნეს, რომ ბავშვები ძალიან დაინტერესდნენ და დაიწყეს დაგეგმვა თუ როგორ მოიპოვონ აღნიშნული ქულები.

### **8.3. ინტერვენციის შეფასება - სტანდარტიზებული ჩაღრმავებული ინტერვიუ მოსწავლეებთან**

ჩაღრმავებული ინტერვიუსთვის მიზნობრივად შევარჩი ის 4 მოსწავლეები, რომლებთანაც გამოვიყენე დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტი „სასწავლო მენიუ“. ჩემი მიზანი იყო დამედგინა გამოყენებული ინსტრუმენტის ეფექტიანობა მოსწავლეთა ავტონომიურობის ხარისხის გაზრდის, მათი ჩართულობისა და მოტივაციის ამაღლების თვალსაზრისით. რადგანაც ინტერვიუ მხოლოდ აღნიშნულ საკითხს ეხებოდა საჭიროდ აღარ ჩავთვალე კითხვარის შემუშავება. თითოეულ მოსწავლესთან ინტერვიუს ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 20 წუთს.

მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ ძალიან მოეწონათ დავალებების სამი „მენიუ“ (სავლდებულო, არჩევითი და არასავალდებულო) და ის, რომ შეეძლოთ აერჩიათ მათთვის სასურველი დავალება თითოეული მენიუდან. 3 მოსწავლის აზრით, სავალდებულო მენიუდან დავალებების შესრულებისას მათ ძალიან დაეხმარათ ამოცანის პირობაში განსხვავებული მონაცემების სხვადასხვა ფერებით გაფერადების აქტივობა და გაუადვილდათ ამოცანის ტექსტში ზედმეტი მონაცემის პოვნა. 1 მოსწავლემ თქვა, რომ აირჩია ამოცანების არა ტექსტური ვარიანტები, არამედ ნახატი/სქემა და მასზე დაკვირვებით, უფრო მარტივად შეძლო შეედარებინა მონაცემები ამოცანის შეკითხვასთან და გაერკვია რომელი იყო ზედმეტი მონაცემი. რაც შეეხება დავალებების სირთულეს, მოსწავლეთა აზრით, ის, რომ შეეძლოთ აერჩიათ დავალების მათთვის სასურველი ტიპი ან საერთოდ არ შეესრულებინათ დავალება (არასავალდებულო მენიუდან), არ იყვნენ შეზღუდული დროში და ასევე, ჰქონდათ დამხმარე სასწავლო ვიდეო მასალის გამოყენების შესაძლებლობა, უკვე, სირთულეს აღარ წარმოადგენდა მათთვის დავალების შესრულება. ამბობდნენ, რომ იყვნენ უფრო მშვიდები დავალების შესრულებისას და სჯეროდათ, რომ „მენიუდან“ რომელიმე ამოცანას მაინც კარგად გაართმევდნენ თავს. მოსწავლეები, აღნიშნავდნენ, რომ მოეწონათ აქტივობა, ისინი გახალისდნენ არჩევანის შესაძლებლობისა და წარმატების



მიღწევის გამო. ერთ-ერთმა მოსწავლემ თქვა: „თავიდან არც მეგონა თუ შევძლებდი ამოხსნას იმდენი დავალება რომ დავინახო, შემდეგ კი მინდოდა ყველა შემესრულებინაო“.


შესაბამისად, მოსწავლეებთან ინტერვიუების შედეგებიდან ჩანს, რომ ისინი დადებითად აფასებენ „სასწავლო მენიუს“ ინსტრუმენტის გამოყენებას. მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი ხშირად მომემზადებინა ასეთი „მენიუ“ მათთვის და აქტიურად იმუშავებდნენ მთელი გაკვეთილის განმავლობაში სიხარულით, ასევე, განსაკუთრებულად გამოახტეს კმაყოფილება ყურსასმენების გამოყენებით ვიდეომასალის მოსმენის გამო, რამაც მათი თქმით ძალიან დააინტერესათ და უბიძგათ კარგად შეესრულებინათ დავალება.

#### **8.4. ინტერვენციის შეფასება - მოსწავლეთა ანკეტირება**

ინტერვენციების ეფექტიანობის შეფასებისათვის, რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენე მოსწავლეებთან ანკეტირება, სრული შერჩევით (23 მოსწავლე, აქ მონაწილეობის სურვილი გამოთქვა სსსმ მოსწავლემაც). გამოკითხულთა ერთობლიობაც იყო 23 მოსწავლე. ანკეტის კითხვარი შედგებოდა 10 კითხვისაგან (იხ. დანართი N12). კითხვარების შევსების ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 30 წუთს. ჩემი მიზანი იყო გამეგო მოსწავლეთა აზრი, თუ რა შედეგები მოყვა ჩემ მიერ განხორციელებულ ინტერვენციას, რამდენად შეიცვალა მათი ინტერესი, დამოკიდებულება, თავდაჯერებულობა, ჩართულობა და ზოგადად, მათი მოტივაცია მათემატიკის სწავლისადმი. შემუშავებული კითხვარის კითხვები, ძირითადად, უკავშირდებოდა განხორციელებული ინტერვენციების შეფასებას, თუმცა კვლევის ეტაპზე განხორციელებული ანკეტირების კითხვარიდან განმეორებით გამოვიყენე N7 კითხვა („როგორ სწავლობ მათემატიკას?“), რომელიც ეხებოდა მოსწავლეთა თვითრწმენისა და თვითშეფასების კვლევას და რომელზეც, ჩემი აზრით, გულწრფელი პასუხები იყო გაცემული მოსწავლეთა მხრიდან. ამდენად, ჩემთვის საინტერესო იყო ინტერვენციების განხორციელების შემდეგ მოპოვებული და თავდაპირველი მონაცემების შედარებითი ანალიზი, აღნიშნული ცვლადების ცვლილების შეფასებისა და სწორი დასკვნების გაკეთებისათვის.

კითხვაზე - „რომელი სასწავლო მეთოდი/აქტივობა მოგეწონა ყველაზე მეტად“ მონაცემები გადანაწილდა შემდეგნაირად:

## კითხვა N1. რომელი სასწავლო მეთოდი/აქტივობა მოგეწონა ყველაზე მეტად?



- A. "სასწავლო გაჩერებები"
- B. ჯგუფური პროექტები
- C. თამაში კონკურენციის გარეშე
- D. რუბრიკა „სახალისო წუთი“
- E. რუბრიკა „სასაუბრო თემა“
- F. გასვლითი გაკვეთილი (ხარჯთაღრიცხვა)
- G. ვიდეოსწავლება, როგორც საშინაო დავალება

მოცემულ მონაცემებთან შესაბამისობაშია მოსწავლეთა პასუხები სასწავლო აქტივობებში ხალისით ჩართულობასთან დაკავშირებით (იხ. დანართი N12, კითხვა N2), მათ უმრავლესობა ასახელებს „გასვლით გაკვეთილს“ – 17%, „სასწავლო გაჩერებები“- 16%, „ჯგუფური პროექტები“ – 14%, რუბრიკა „სახალისო წუთი“ – 13%, ხოლო მოსწავლეთა 7%- ის ჩართულობის მამოტივირებელი აღმოჩნდა თამაში (5%) და „სასაუბრო თემა“ (2%). აღნიშნული დადასტურდა გკვეთილზე დაკვირვების შედეგებიდანაც, სადაც დაფიქსირდა ჩართულობის მაღალი ხარისხი სწორედ აღნიშნულ აქტივობებში. ასევე, მოსწავლეთა უმრავლესობის (91%) აზრით, დავალებების საუკეთესოდ შესრულებასა და მასალის უკეთ გაგებაში დაეხმარათ „სასწავლო გაჩერებების“ მეთოდით სწავლება (30%), „ჯგუფური პროექტები“ (22%), „ვიდეო გაკვეთილები“ (22%) და „გასვლითი გაკვეთილი“ (17%), მხოლოდ 9%-მა დაასახელა „თამაში“ (იხ. დანართი N12, კითხვა

N3), რაც მეტყველებს, იმაზე, რომ აღნიშნულ აქტივობებში ჩართულობამ, „მე ვირჩევ“ აქტივობაში დავალებების არჩევის შესაძლებლობასთან ერთად გაზარდა პასუხისმგებლობისა და მასალის ათვისების დონე, მოსწავლეებმა შეძლეს დავალებების შესრულებაში წარმატების მიღწევა, რამაც გაზარდა მათი თვითდაჯერებულობა და რწმენა. საინტერესოა, მოსწავლეთა პასუხები ავტონომიურობის საკითხთან დაკავშირებით (იხ. დანართი N12, კითხვა N4), სადაც მოსწავლეთა დიდი ნაწილი (86%, 20 მოსწ.) ფიქრობს, რომ უკეთ და მეტი პასუხისმგებლობით ასრულებს დავალებებს, მაშინ, როდესაც საკუთარი სურვილით ირჩევს მათ. ასევე, მოსწავლეთა აზრით (95%, 22 მოსწ.), დავალებების არჩევისას ისინი ცდილობდნენ აერჩიათ რთული დავალებები (“4” და “5” შეფასება შკალაზე), რაც მეტყველებს იმაზე, რომ მათ აქვთ საკუთარი შესაძლებლობის რწმენა. გაკვეთილზე დაკვირვებამ კი აჩვენა რომ აღნიშნული მონაცემები დაახლოებით 30%-ით გადაჭარბებულია, რადგან იქ, მხოლოდ 65%-თან დაფიქსირდა შედარებით რთული დავალებების არჩევის მონაცემი. თუმცა, ის, რომ მოსწავლეები ასე ფიქრობენ, კარგია, რადგან თუნდაც მაღალი აღქმა და რწმენა, იმისა რომ ისინი ირჩევენ შედარებით რთულ დავალებებს, მეტყველებს მათი თავდაჯერებულობის გაზრდაზე, რომ შეძლებენ მათ შესრულებას.

შედარებითი ანალიზის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია კითხვარის N6 კითხვაზე: „როგორ სწავლობ მათემატიკას?“ მოსწავლეთა პასუხები. ეს არის ერთადერთი შეკითხვა, რომელიც მონაცემთა შეგროვებისას გამოყენებული კითხვარიდან (კითხვა N7) შეუცვლელად გადმოვიტანე ინტერვენციის შეფასების კითხვარში, რადგან სხვა დანარჩენი კითხვებზე მაღალი დადებითი მაჩვენებლებიდან თითქოს იკვეთებოდა, რომ მოსწავლეების მოტივაცია თავიდანვე მაღალი იყო, რაც სავარაუდოდ, მოსწავლეთა არაგულწრფელი დამოკიდებულებით იყო გამოწვეული და აღნიშნული კითხვების ხელახლა გამოყენების შემთხვევაში, შედეგების შედარება აზრს კარგავდა. შესაბამისად, ინტერვენციის შეფასების კითხვარის N6 და მონაცემთა შეგროვების ეტაპზე გამოყენებული კითხვარის N7 კითხვებზე პასუხების შედარებითი ანალიზი სარწმუნო და საინტერესოა მოსწავლეთა თვითშეფასებისა და თავდაჯერებულობის დონის ცვალებადობის გაზომვის ავთენტურობის თვალსაზრისით.

საწყისი (იხ. დანართი N11, კითხვა N7) და ახალი (იხ. დანართი N12, კითხვა N6) დიაგრამების შედარებიდან იკვეთება დადებითი მაჩვენებლების 32%-იანი ზრდა, რაც მეტყველებს მოსწავლეთა მოტივაციის დონის შესაბამისად გაზრდაზე.


ცხრილი N3 შედარებითი ანალიზის შედეგები კითხვა N6

პასუხების ჩამონათვალი	საწყისი შედეგები (%)	ინტერვენციის შემდგომი შედეგები (%)	ცვლილება (%)
A: მათემატიკის საკითხებს სწრაფად ვსწავლობ	16	31	+ 15
E: მათემატიკაში ძლიერი ვარ	21	21	0
G: ჩვეულებრივ კარგად ვსწავლობ მათემატიკას	21	38	+17
<i>მაღალი თვითშეფასებისა და თავდაჯერებულობის მაჩვენებლები სულ (%)</i>	გაიზარდა 32%-ით		
B: მათემატიკა ჩემთვის სხვა საგნებზე რთულია	13	4	-9
C: მათემატიკის სწავლა მანერვიულებს	3	0	-3
D: მათემატიკაში ჩემ კლასელებზე სუსტი ვარ	16	6	-10
F: მათემატიკის საკითხები მაბნევს	10	0	-10
<i>დაბალი თვითშეფასებისა და თავდაჯერებულობის მაჩვენებლები სულ (%)</i>	შემცირდა 32%-ით		

თანაკლასელებთან სოციალური მიკუთვნებულობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მხრივ (იხ. დანართი N12, კითხვა N7) მოსწავლეთა 82% ფიქრობს, რომ ჯგუფური პროექტებით სწავლებამ გააუმჯობესა მათი ურთიერთობები, ხოლო დავალებების შესრულებაში მასწავლებლის გამამხნეველი კომენტარების პოზიტიურ გავლენას (იხ. დანართი N12, კითხვა N8) ადასტურებს მოსწავლეთა 91% (21 მოსწ.). საინტერესოა, აგრეთვე მოსწავლეთა დამოკიდებულება გარეგანი წახალისების „ბონუს“ სისტემის მიმართ. მათი სრული უმრავლესობა „5“ ბალიან შკალაზე „4“ და „5“ ქულიანი შეფასებით აფასებს აღნიშნულ სტრატეგიას (იხ. დანართი N12, კითხვა N9), რასაც მშობლებიც ადასტურებენ ფოკუს ჯგუფის შეხვედრისას და იკვეთება გაკვეთილზე დაკვირვების მონაცემებიდან.

კითხვარის ბოლო, მე-10 კითხვაზე: „გაიზარდა თუ არა საგნისადმი შენი ინტერესი?“ მონაცემები გადანაწილდა შემდეგნაირად:

## დიაგრამა N9



საიდანაც ჩანს, რომ მოსწავლეთა ძირითადი ნაწილი ადასტურებს საკუთარი მოტივაციის გაზრდას. თუ აღნიშნულ მონაცემს განვიხილავთ სხვა, კერძოდ, მოსწავლეთა ჩართულობის, ავტონომიურობისა და თავდაჯერებულობის გაზრდილ მაჩვენებლებთან მიმართებაში, გაკვეთილზე დაკვირვებისა და მშობლებთან ფოკუს ჯგუფის მსგავსი შედეგების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა მიერ ინტერვენციების დადებითი შეფასება გულწრფელია და ანკეტირების შედეგები სარწმუნოა.

## თავი 9. დასკვნა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემით აღიარებული სტატუსის (წამყვანი) მოპოვებისათვის განხორციელებული პრაქტიკული პედაგოგიური კვლევის ფარგლებში, სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის 4<sup>ა</sup> კლასში განხორციელებული კვლევის „როგორ ავამაღლოთ სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის 4<sup>ა</sup> კლასის მოსწავლეებში მათემატიკის სწავლის მოტივაცია“ შედეგად შეიძლება დავასკვნა, რომ კვლევის ყველა ეტაპი წარმატებით განხორციელდა. აგრეთვე,

თამამად შეიძლება აღვნიშნო, რომ დავუფლვე პრაქტიკული კვლევის ჩატარებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, რაც მომავალში გამომადგება საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის კვლევებზე დაფუძნებული სწავლების პრაქტიკის დანერგვის გზით.

აღსანიშნავია, რომ განხორციელებული ინტერვენციების შედეგად რეალურად შეიცვალა მოსწავლეთა მოტივაცია. სწავლების გამრავალფეროვნებამ ახალი მეთოდებითა და სტრატეგიებით, დიფერენცირებული მიდგომის ელემენტების გამოყენებამ, მოსწავლეთათვის არჩევანის თავისუფლების გაზრდამ, ახალი წახალისებისა და აღიარების სისტემის დანერგვამ აამაღლა მოსწავლეთა თვითდაჯერებულობა (საკუთარი შესაძლებლობების რწმენა), მათი ჩართულობისა და ავტონომიურობის დონე, აგრეთვე ხელი შეუწყო მათი აღიარებისა და სოციალური მიკუთვნებულობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების გაზრდას და საბოლოოდ, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.

რაღა თქმა უნდა, საკვლევ კლასში, მოტივაციის მხრივ სასიკეთო ცვლილებების აღიარება არ ნიშნავს, რომ საკვლევ პრობლემა ბოლომდე გადაჭრილი და მოგვარებულია, რადგანაც, ზოგადად, ვერც ერთი კვლევა ვერ იქნება ამომწურავი და ყოვლისმომცველი, თუმცა, საერთო ჯამში აღნიშნული კვლევა შემძღია შევაფასო წარმატებულად, რადგან ინტერვენციებმა შედეგი გამოიღო და იმედი მაქვს, რომ მათი გაგრძელება და დახვეწა, შემდგომში, მოსწავლეთა მოტივაციის განვითარებასა და წარმატებებს შეუწყობს ხელს.

კვლევის დაგეგმვის პროცესში შემუშავებული ინსტრუმენტებისა (კითხვარი, ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმა, ინტერვიუს გეგმა) და მიმდინარეობის პროცესში მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდების (ანკეტირება, ჩაღრმავებული ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი) გამოყენებით მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა კვლევის შემდეგი პრობლემური საკითხები და მიგნებები:

- მოსწავლეთა სასწავლო მოტივებიდან, ძირითადად, მნიშვნელოვანია სოციალური მიკუთვნებულობისა და აღიარების მოტივების დაკმაყოფილება, ხოლო, ნაწილობრივ, შემეცნებითი მოტივები;
- გაკვეთილზე გამოყენებული სწავლების მეთოდები/აქტივობები/სასწავლო რესურსები არაა საკმარისად მრავალფეროვანი და მოსწავლეთა ინდივიდუალურ მახასიათებლებზე

(ინტერესები, სწავლის სტილი, საჭიროებები, მზაობა, შესაძლებლობები) მორგებული, რაც იწვევს მოსწავლეთა დაბალ ინტერესს და ჩართულობას;

- დაბალია მოსწავლეთა თავდაჯერებულობა და საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენა;
- მოსწავლეებს ნაკლებად აქვთ ავტონომიურობის განცდა;
- მოსწავლეებს აქვთ სირთულეები საშინაო დავალებების შესრულებაში;

შესაბამისად, კვლევის ინტერვენციების ეტაპზე, დაიგეგმა მოსწავლეთა ინტერესების, სწავლის სტილისა და მზაობის გათვალისწინებით სწავლების მრავალფეროვანი, ინოვაციური მეთოდების/სტრატეგიებისა და სასწავლო რესურსების გამოყენების, სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისას არჩევანის შესაძლებლობის მიცემისა და როგორც, გარეგანი (წახალისების „ბონუს“ ქულების სისტემა, პოზიტიური კომენტარები), ასევე, შინაგანი (ინტერესები, თავდაჯერებულობა) მოტივაციის ამაღლებისა და სოციალური სწავლების ხელშემწყობი ღონისძიებები, რამაც ხელი შეუწყო, არა მარტო, მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრირებას, მასალის უკეთ გაგებას, თანამშრომლობას, ძალისხმევისა და ავტონომიურობის გაძლიერებას, თვითეფექტურობისა და ჩართულობის ამაღლებას, საკლასო წამახალისებელი, პოზიტიური და მხარდამჭერი გარემოს გაუმჯობესებას, არამედ, მშობელთა ენთუზიაზმისა და ჩართულობის გაზრდას (რაც აღნიშნული კვლევის ფოკუსი და მიზანი არ ყოფილა) შესაბამისად, მოსწავლეებში გაიზარდა მათემატიკის სწავლის მოტივაცია და სასწავლო შედეგები.

ინტერვენციების ეფექტიანობა დადასტურდა ინტერვენციების შეფასებისას სხვადასხვა ინსტრუმენტის (ფოკუს ჯგუფი, ინტერვიუ, გამოკითხვა, გაკვეთილზე დაკვირვება) გამოყენებით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, რაც საშუალებას მძლევს განვამტკიცო და მდგრადობა შევძინო მოტივაციის ამაღლების განხორციელებულ ღონისძიებებს და შემდგომი კვლევების გათვალისწინებით განვაფიქროო მოსწავლეთა მოტივაცია, შესაბამისად კი, დავხვეწო საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკა და გამოცდილება გავუზიარო კოლეგებს.

აგრეთვე, რადგანაც მოსწავლეთა სწავლის დაბალი მოტივაცია გამჭოლი პრობლემატიკაა სკოლაში, აღნიშნული კვლევის შედეგებითა და ანგარიშით შესაძლებელია იხელმძღვანელონ არა მხოლოდ მათემატიკის საგნის, აღნიშნული საკითხით დაინტერესებულმა კოლეგებმა, არამედ, მსგავს სასწავლო გარემო პირობებში, შესაბამისი მახასიათებლების მქონე მოსწავლეების სხვა საგნების მასწავლებლებმაც მოტივაციაზე მოქმედი მსგავსი ფაქტორების კვლევის დაგეგმვის

თვალსაზრისით, ან თუნდაც, იხელმძღვანელონ ანგარიშში აღწერილი ლიტერატურის ავტორების ნაშრომებით და მოამზადონ სტატია ან პრეზენტაცია. თუმცა, კვლევის *ნაკლოვანებად* უნდა აღინიშნოს სწორედ მისი განზოგადების საკითხი, რადგან, კვლევა ჩატარდა ერთი სკოლის მხოლოდ ერთ, 23 მოსწავლიან კლასში და საკმაოდ საფრთხილოა მისი შედეგების განვრცობა თუნდაც აღნიშნული ასაკობრივი და სხვა მსგავსი მსგავსი მახასიათებლების მქონე მოსწავლეთა მთელ რაოდენობაზე, ვინაიდან, გასათვალისწინებელია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური მახასიათებლები და მოტივები, აუცილებელია მათი შესწავლა და შესაბამისი დასკვნების საფუძველზე სწავლის მოტივირების ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. აგრეთვე, შესაძებელი იყო კვლევის მონაცემთა შეგროვებისა და ინტერვენციების შეფასების ეტაპებზე დამეგეგმა და გამომეყენებინა კიდევ უფრო მრავალფეროვანი კვლევის ინსტრუმენტები კვლევის შედეგების მეტი დამაჯერებლობისათვის და ამისათვის გამეთვალისწინებინა კვლევის ვადები და შემერჩია შესაბამისი დრო კვლევის დაწყებისთვის (მაგ. სასწავლო წლის დასაწყისი), რასაცაუცილებლად გავითვალისწინებ შემდგომი კვლევების დაგეგმვისას.

## თავი 10. რეკომენდაციები

კვლევის დადებითი შედეგების გათვალისწინებით შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების გაკეთება:

- მოსწავლეთა წამყვანი სოციალური (თანატოლებთან/მასწავლებელთან ურთიერთობა) და შემეცნებითი (ახლის შეცნობის სურვილი) ხასიათის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ხელს უწყობს სწავლის მოტივაციის ამაღლებას;
- სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნება სხვადასხვა ინოვაციური სასწავლო მეთოდებითა და აქტივობებით აღვივებს მოსწავლეთა ინტერესებს, ხელს უწყობს მოსწავლეთა ყურადღების მაქსიმალურად შენარჩუნებასა და ჩართულობას, სწავლის მოტივაციის გაზრდას;
- კონსტრუქტივისტულ-დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისას ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური



მახასიათებლების (მზაობა, ინტერესი, სწავლის სტილი, საჭიროებები, შესაძლებლობები) გათვალისწინებას, რაც, თავის მხრივ იწვევს მოსწავლეთა დაინტერესებას და აქტიურ ჩართულობას და წარმატების მიღწევის შემთხვევაში ამაღლებს მათ თავდაჯერებულობას.

- სასწავლო ვიდეორესურსები და სხვა ვიზუალური საშუალებების მიზანმიმართული და ხშირი გამოყენება ხელს უწყობს მასალის აღქმასა და გაგებას, ზრდის მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობას, დაინტერესებას, ჩართულობას და მათი მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობა სახლში ემარება საშინაო დავალებებში სირთულეების დასაძლევად;
- ჯგუფური პროექტებით სწავლება ხელს უწყობს ურთიერთსწავლებას, პრობლემების ერთობლივად გადაჭრას, თანატოლებთან მიკუთვნებულობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებასა და თანამშრომლობის წახალისებას, რაც ზრდის გუნდურ პასუხისმგებლობასა და მოტივაციას;
- არაფორმალურ გარემოში (გასვლითი გაკვეთილი-პროექტი) სწავლება ააქტიურებს ჩართულობას, აღძრავს ინტერესს, ხელს უწყობს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას და სოციალური ურთიერთობების გაღრმავებას;
- სახალისო ლოგიკური ამოცანები/შეკითხვები და განტვირთვის აქტივობები ახალისებს სასწავლო პროცესს, ხელს უწყობს თავისუფლად აზრის გამოხატვას და ამცირებს შეცდომის დაშვების შიშს;
- დავალებების არჩევანის შესაძლებლობა და გადაწყვეტილების მიღებაში ჩართულობა (სავარჯიშოების/კრიტერიუმების შედგენა) აძლიერებს მოსწავლეთა დამოუკიდებლობას და თვითდაჯერებულობას. მოსწავლეები უკეთ და მეტი პასუხისმგებლობით ასრულებს დავალებებს, მაშინ, როდესაც საკუთარი სურვილით ირჩევენ მათ.
- გამოწვევების ატმოსფეროს ჩამოყალიბება, სირთულის შემცველი დავალებების შესრულებისას წარმატების მიღწევა იწვევს კომპეტენტურობის შეგრძნების გაძლიერებას და კმაყოფილებას, რაც ზრდის თვითდაჯერებულობას, საკუთარი ძალების რწმენის განმტკიცებას და შესაბამისად, შინაგან მოტივაციას;
- მოსწავლეებისთვის საინტერესო და მათ ცხოვრებასთან დაკავშირებულ თემებზე საუბრები ხელს უწყობს ემოციური კმაყოფილების ზრდას, აზრის თავისუფლად გამოხატვისა და მასწავლებელთან ურთიერთობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას;

- პოზიტიური, მამოტივირებელი კომენტარები და მხარდამჭერი სასწავლო გარემო ამცირებს შეცდომის დაშვებით გამოწვეულ შფოთვას, აღვივებს წარმატების იმედს, აძლიერებს მოსწავლის ძალისხმევასა და ჩართულობას, ხელს უწყობს საკლასო პოზიტიური კულტურის დამკვიდრებას;
- კონკურენციის გარეშე თამაშის ტიპის აქტივობების ხშირი გამოყენება ხელს უწყობს შესასწავლი ცნებების უკეთ და ხალისით გააზრებას, სტრატეგიული აზროვნების განვითარებას, აქტიურობას და სწავლების პროცესს ხდის სასიამოვნოს;
- მოსწავლის დამატებითი ძალისხმევისა, შრომისა და ენთუზიაზმისა აღიარება და დაფასება, მაღლიერების დემონსტრირება (მაგ. მაღლობის სიგელი) და მიღწევებზე ორიენტირებული წახალისების (მაგ. „ბონუს“ ქულები) ეფექტური სისტემის დანერგვა ხელს უწყობს გარეგანი მოტივაციის ამაღლებას, აღიარების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და პოზიტიური საკლასო კულტურის დამკვიდრებას;

## დანართები

დანართი N1. კვლევის ჩატარების თანხმობის ფორმა

კვლევის ჩატარების თანხმობის ფურცელი			
<p>თანახმა, ვარ მონაწილეობა მივიღო სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის, 4<sup>ა</sup> კლასის მათემატიკის მასწავლებლის მიერ ჩატარებულ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის „როგორ ავამაღლოთ სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის 4<sup>ა</sup> კლასის მოსწავლეებში მათემატიკის სწავლის მოტივაცია“ დაგეგმილ, ყველა საჭირო ეტაპზე, ანკეტირებასა და ინტერვიუებში.</p>			
N	მოსწავლის სახელი გვარი	მოსწავლის ხელმოწერა	მშობლის ხელმოწერა
<p>კვლევის ხელმძღვანელი:</p> <p>სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის 4<sup>ა</sup> კლასის მათემატიკის მასწავლებელი: ----- /ლია შოთაძე/</p> <p style="text-align: center;">(ხელმოწერა)</p> <p>თარიღი: -----</p>			

დანართი N2. სადისკუსიო გეგმა მასწავლებლებთან ფოკუს ჯგუფისთვის

### ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმა (მასწავლებელი)

მოცემული სადისკუსიო გეგმა შემუშავებულია სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის 4 კლასის მათემატიკის მასწავლებლის მიერ. მისი მიზანია საკვლევი საკითხის (როგორ უზრუნველყოთ 4 კლასის მოსწავლეებში მათემატიკის სწავლის მოტივაციის ამაღლება) შესახებ მასწავლებლებისა მოსაზრებებისა და შეხედულებების გაგება და ამ ინფორმაციის გამოყენება ინტერვიუებისა და ანკეტების კითხვების შემუშავებისათვის.

N	შეკითხვა	კომენტარები
1	რა მნიშვნელობა აქვს მოტივაციას?	
2	რა მდგომარეობაა მოტივაციის თვალსაზრისით თქვენს კლასებში? არსებობს თუ არა მოტივაციის პრობლემა?	
4	რა ფაქტორები ახდენს გავლენას მოსწავლის სწავლის მოტივაციაზე? რითია გამოწვეული მათი დემოტივაცია?	
5	რა უწყობს ხელს სწავლის მოტივაციის ამაღლებას მოსწავლეებში?	
6	რა უშლის ხელს სწავლის მოტივაციის ამაღლებას მოსწავლეებში?	
7	რა უნდა გაკეთდეს მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ასამაღლებლად?	

თარიღი: -----

მასწავლებლები:

დანართი N3. სადისკუსიო გეგმა მოსწავლეთა ფოკუს ჯგუფისთვის

### ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმა (მოსწავლე)

მოცემული სადისკუსიო გეგმა შემუშავებულია სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის 4 კლასის მათემატიკის მასწავლებლის მიერ. მისი მიზანია საკვლევი საკითხის (როგორ უზრუნველყოთ 4 კლასის მოსწავლეებში მათემატიკის სწავლის მოტივაციის ამაღლება) შესახებ მოსწავლეების მოსაზრებებისა და შეხედულებების გაგება და ამ ინფორმაციის გამოყენება მოსწავლის კითხვარის შემუშავებისათვის.

N	შეკითხვა	კომენტარები
1	მოგწონთ თუ არა მათემატიკის გაკვეთილი, რატომ? რატომ არა?	
2	რა მნიშვნელობა აქვს მათემატიკის შესწავლას?	
4	თქვენი აზრით, რატომ უნდათ ბავშვებს ისწავლონ კარგად?	
5	რატომ არა აქვს ზოგიერთ მოსწავლეს სურვილი/ინტერესი ისწავლოს?	
6	რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა რომ მოსწავლეები დააინტერესოს და ყველა ჩაერთოს გაკვეთილში?	
7	როგორი გაკვეთილები მოსწონთ მოსწავლეებს?	

თარიღი: -----

მოსწავლეები:

დანართი N4. კითხვარი მასწავლებლებთან ინტერვიუსთვის

## ინტერვიუ საგნის მასწავლებლებთან

*მოცემული კითხვარი შემუშავებულია სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის 4 კლასის მათემატიკის მასწავლებლის მიერ. კითხვარის მიზანია გავიგო აღნიშნული კლასის საგნის მასწავლებლების დამოკიდებულება და მოსაზრებები საკვლევი კლასის ფარგლებში საკვლევი საკითხის (როგორ უზრუნველყოთ 4 კლასის მოსწავლეებში მათემატიკის სწავლის მოტივაციის ამაღლება) მიმართ.*

თარიღი: -----

საგანი: -----

მასწავლებელი:-----

1. მოსწონთ თუ არა მოსწავლეებს საგანი რომელსაც ასწავლით? რატომ ფიქრობთ ასე?
2. საინტერესოა მოსწავლეებისთვის თქვენს მიერ ჩატარებული გაკვეთილი? როგორ იგებთ ამას?
3. რა პრობლემებს აწყდებით ეაღნიშნულ კლასის მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის თვალსაზრისით? საერთოდ დგას თუ არა ეს პრობლემა თქვენი საგნის სწავლისას?
4. ინარჩუნებენ თუ არა მოსწავლეები ყურადღებას მთელი გაკვეთილის განმავლობაში? თუ ასეა, როგორ ახერხებთ ამას? რა შემთხვევაში არიან ბავშვები უინტერესოდ?
5. თქვენი აზრით, რითია გამოწვეული მოსწავლეებში სწავლის დაბალი მოტივაცია?
6. როგორ ფიქრობთ, ახერხებთ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას გაკვეთილის დაგეგმვისას? როგორ? კიდევ რას ითვალისწინებთ მოსწავლეთა მახასიათებლებიდან?
7. რა ტიპის აქტივობებს იყენებთ გაკვეთილზე ყველაზე ხშირად? (იყენებთ თუ არა თანამედროვე ტექნოლოგიებს და ჯგუფურ მუშაობებს?) და თქვენი აზრით, როგორი გაკვეთილი/აქტივობები იწვევს მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობის გაღვიძებას და მეტის გაგების სურვილს?
8. რამდენად ხშირად და რა შემთხვევაში იყენებთ გაკვეთილზე მოსწავლეთა სწავლის წახალისების ფორმებს? რა ტიპის წახალისებას?
9. თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოთ გაკვეთილზე, რომ მოსწავლეებს მოეწონოთ და ჩაერთონ გაკვეთილში?
10. როგორ უნდა ავამაღლოთ მოსწავლეებში საგნის სწავლის მოტივაცია?
11. რამის დამატება ხომ არ გინდათ ამ საკითხთან დაკავშირებით?

## ანკეტა 4<sup>ა</sup> კლასის მშობლებისთვის

მოგესალმებით,



მათემატიკის მასწავლებელი - ლია შოთაძე.

მათემატიკაში, თქვენი შვილის მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, ვატარებ სამოქმედო კვლევას „როგორ უზრუნველყოთ სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 სკოლის 4<sup>ა</sup> კლასის მოსწავლეებში მათემატიკის სწავლის მოტივაციის ამაღლება“.

**გთხოვთ**, მონაწილეობა მიიღოთ გამოკითხვაში და უპასუხოთ შეკითხვებს მთელი **გულწრფელობითა** და ყურადღებით, რაც დამეხმარება უკეთ გავაანალიზო ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვების სწავლის მოტივაციაზე და მოვახდინო შესაბამისი რეაგირება. ნაშრომი გამოქვეყნდება ელექტრონულ სივრცეში, თუმცა დაცული იქნება კონფიდენციალობის პრინციპი.

შევსებული ანკეტა უნდა ჩამაბაროთ მისი მიღებიდან **3 დღეში** და განათავსოთ სკოლის ფოიეში, დარაჯის მაგიდაზე მდებარე სპეციალურ **ყუთში**, წარწერით „4<sup>ა</sup> კლასის მშობლები“ (ყუთს მეთვალყურეობას გაუწევს სკოლის კარის მაკონტროლებელი პირი).

## კითხვარი

1. რომელი სასკოლო სასწავლო საგანი უყვარს ყველაზე მეტად თქვენს შვილს?

(შემოხაზეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

- A. ქართული ენა და ლიტერატურა
- B. ბუნებისმეტყველება
- C. ხელოვნება
- D. ინგლისური ენა
- E. მათემატიკა
- F. სპორტი
- G. მუსიკა

2. თქვენი აზრით რატომ უყვარს ეს საგნი თქვენს შვილს?

(მონიშნეთ რამდენიმე, არაუმეტეს სამი პასუხი, რომელიც მიგაჩნიათ უფრო მნიშვნელოვნად)

- A. თვითონ საგანია საინტერესო მისთვის, სულ ხალისით საუბრობს ამ საგანზე სახლში
- B. აქვს კარგი შესაძლებლობები ამ საგნის შესწავლის, უადვილდება და კმაყოფილია ამით
- C. ოჯახში ვამახვილებთ ამ საგანზე ყურადღებას და ვაჯილდოვებ თუ კარგად ისწავლის
- D. მოსწონს მასწავლებელი
- E. მასწავლებელი საინტერესოდ ხსნის გაკვეთილს
- F. ამბობს, რომ აქტიურობს და ჩართულია მთელი გაკვეთილის განმავლობაში
- G. მოსწონს მასწავლებლის შექება და აღიარება
- H. მოსწონს თანაკლასელებს რომ ეხმარება და ისინი თვლიან რომ საუკეთესოა ამ საგანში
- I. სიამოვნებს ის, რომ რთულ დავალებებს დამოუკიდებლად ართმევს თავს

- J. თვლის, რომ ეს საგანი მნიშვნელოვანია მისი მომავალი წარმატებისთვის ცხოვრებაში?
- K. მოსწონს სასწავლო პროცესი ამ გაკვეთილზე (სწავლების მეთოდები და აქტივობები)
- L. სხვა (გთხოვთ დააკონკრეტოთ) -----

**3. როგორ ფიქრობთ, რა ღირებულება აქვს მათემატიკას?**

(შემოხაზეთ ის რიცხვი, რომელიც მეტად გამოხატავს თქვენს მოსაზრებას )

უსასარგებლო      1   2   3   4   5   6   7      სასარგებლო

(სურვილის შემთვევაში გთხოვთ დატოვოთ კომენტარი) -----

**4. რამდენად რთულია მათემატიკის საშინაო დავალებების შესრულება თქვენი შვილისთვის?**

(შემოხაზეთ მხოლოდ ერთი პასუხი რომელსაც ეთანხმებით ან აღნიშნეთ კატეგორია „სხვა“)

- A. არ არის რთული, არ ითხოვს დახმარებას, დამოუკიდებლად და ხალისით ასრულებს დავალებებს;
- B. ნაწილობრივ რთულია, ითხოვს დახმარებას, ვეხმარები მხოლოდ დავალების პირობის გააზრებაში;
- C. რთულია, ნერვიულობს ამაზე, ითხოვს დახმარებას და იძულებული ვარ საფუძვლიანად დავეხმარო;
- D. რთულია, თუმცა არ ითხოვს დახმარებას და დიდი ძალისხმევა მჭირდება რომ შეასრულოს დავალების ნაწილი მაინც;
- E. ვერ გავცემ პასუხს, რადგან ვერ ვიცი მისი დავალების შესამოწმებლად;
- F. სხვა (გთხოვთ დააკონკრეტოთ) -----

**5. რამდენად მისაღებია თქვენთვის, საგაკვეთილო პროცესის დამთავრების შემდეგ, დამატებითი მეცადინეობების (ნახევარ საათიანი) ჩატარება საშინაო დავალების ხარისხიანად შეუსრულებლობის გამო გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად?**

(შემოხაზეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

- 1 - ძალიან მიუღებელი
- 2 - ნაწილობრივ მიუღებელია
- 3 - არც მისაღებია და არც მიუღებელი
- 4 - ნაწილობრივ მისაღებია
- 5 - ძალიან მისაღებია



6. როგორ შეაფასებდით თქვენი შვილის მათემატიკის შესწავლის ხარისხს?  
(შემოხაზეთ ის რიცხვი, რომელიც მეტად გამოხატავს თქვენს მოსაზრებას )

უარყოფითად      1      2      3      4      5      დადებითად

7. თქვენი აზრით, რა სირთულეები აქვს თქვენს შვილს მათემატიკაში, რა საკითხები უჭირს?

-----  
-----

8. როგორ შეაფასებდით თქვენი შვილის ყურადღების კონცენტრაციის უნარს გაკვეთილის პროცესში?

(შემოხაზეთ მხოლოდ ერთი პასუხი რომელსაც ეთანხმებით ან აღნიშნეთ კატეგორია „სხვა“)

- A. დარწმუნებული ვარ ყურადღებიანი იქნება მთელი გაკვეთილის განმავლობაში
- B. ყურადღებას შეინარჩუნებს გაკვეთილის დაწყებისას პირველი 20 წუთის განმავლობაში
- C. ნაკლებად კონცენტრირებული იქნება გაკვეთილის დაწყებიდან 20 წუთის შემდეგ
- D. გაუჭირდება ყურადღების მობილიზება თუ არ არის მისთვის საინტერესო აქტივობები
- E. ზოგადად უყურადღებოა, ხშირად ეფანტება ყურადღება და გადაერთვება ხოლმე სხვა რამეზე
- F. ვერ შევაფასებ, რადგან არ დავკვირვებივარ მისი ყურადღების კონცენტრაციის უნარის ფლობას
- G. სხვა (გთხოვთ დააკონკრეტოთ) -----

-----

9. თქვენი აზრით, რა გამოიწვევს თქვენი შვილის ინტერესს აქტიურად ჩაერთოს მთელი გაკვეთილის განმავლობაში (შემოხაზეთ რამოდენიმე პასუხი, არაუმეტეს სამი პასუხისა)

- A. ჩემი შვილი არ საჭიროებს დამატებით მოტივირებას, მას ყოველთვის სიამოვნებს სწავლა და ყოველთვის მობილიზებული და აქტიურია
- B. გაკვეთილის დასაწყისშივე ცნობისმოყვარეობის აღძვრა, რაიმე, მისთვის საინტერესო ამბით/დავალებით/შეკითხვით
- C. ახალი მასალის ახსნისას, ამ საკითხის შესახებ ჩემი შვილის წინა ცოდნის გათვალისწინება

- D. ცხოვრებისეული მაგალითების მოყვანა, რაც ბავშვს დაანახებს შესასწავლი საკითხის გამოყენების მნიშვნელობას
- E. შესასწავლი მასალის გასაგებად ახსნა, იქამდე სანამ არ დარწმუნდება მასწავლებელი, რომ საკითხი გაიგო ჩემმა შვილმა
- F. იმის დაჯერება და იმ რწმენის ჩამოყალიბება ბავშვისთვის, რომ შეძლებს თავი გაართვას ნებისმიერ (მისთვის ნაწილობრივ რთულ) დავალებას დამოუკიდებლად
- G. თანამედროვე ტექნოლოგიებისა (ბუქი, ვიდეო, აუდიო და სხვა ელექტრონული რესურსები) და თვალსაჩინოებების ხშირი გამოყენება სწავლების პროცესში
- H. საინტერესო და სახალისო სასწავლო მეთოდებისა და აქტივობების მრავალფეროვნება სასწავლო პროცესში (მაგ. ჯგუფური მუშაობა, თამაში, ექსპერიმენტი, პროექტი, დისკუსია, ღია შეკითხვები და სხვ.)
- I. მასწავლებლის მიერ პოზიტიური შექებისა და ჯილდოს ხშირი გამოყენება გამოიწვევს ჩემის შვილის წახალისებას და შესაბამისად გააქტიურდება
- J. თანაკლასელებთან ერთად სწავლა ძალიან მოსწონს ჩემ შვილს და ვფიქრობ მათთან ურთიერთობა გამოიწვევს მის დაინტერესებას
- K. ოჯახში, კარგი სწავლისთვის, ბავშვი ყოველთვის წახალისებულია შექებით ან/და საჩუქრით, ამიტომ ის ცდილობს ყოველთვის იაქტიუროს და მაღალი შეფასებები დაიმსახუროს

10. რითია დაკავებული თქვენი შვილი თვისუფალ დროს? რა იტაცებს? რაზე ოცნებობს? (აღნიშნეთ მისი ჰობი და სკოლის გარეშე საქმიანობები)

-----

-----

-----

მადლობა მონაწილეობისთვის! 🙌 😊 ☆

შევსების თარიღი: -----



## ანკეტა 4<sup>ა</sup> კლასის მოსწავლეებისთვის

მოგესალმებით,



მათემატიკის მასწავლებელი - ლია შოთაძე.

**გთხოვთ**, მონაწილეობა მიიღოთ გამოკითხვაში და უპასუხოთ შეკითხვებს მთელი **გულწრფელობითა** და ყურადღებით, რაც დამეხმარება გავიგო რა გიშლით ხელს გქონდეთ უკეთ სწავლის სურვილი და როგორ გავზარდო თქვენი ინტერესი მათემატიკის შესწავლის მიმართ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი წარმატებისათვის.

გამოკითხვა ანონიმურია. კითხვარი უნდა შეავსოთ ბოლომდე და დააკვირდეთ ანკეტის შევსების ინსტრუქციებს.

### კითხვარი

#### 1. რომელი სასკოლო სასწავლო საგანი გიყვარს ყველაზე მეტად?

(შემოხაზეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

- H. ქართული ენა და ლიტერატურა
- I. ბუნებისმეტყველება
- J. ხელოვნება
- K. ინგლისური ენა
- L. მათემატიკა
- M. სპორტი
- N. მუსიკა

#### 2. რატომ გიყვარს ეს საგნი?

(მონიშნეთ რამდენიმე, არაუმეტეს სამი პასუხი, რომელიც მიგაჩნიათ უფრო მნიშვნელოვნად)

- M. მიადვილდება ამ საგნის შესწავლა
- N. მომწონს მასწავლებელი
- O. საინტერესო და სახალისოა გაკვეთილი
- P. მასწავლებელი საინტერესოდ ხსნის გაკვეთილს
- Q. მომწონს როცა მასწავლებელი მაქებს
- R. მსიამოვნებს ის, რომ რთულ დავალებებს დამოუკიდებლად ვასრულებ
- S. სხვა (გთხოვთ დააკონკრეტოთ) -----

#### 3. ვსწავლობ იმიტომ, რომ:

(მონიშნეთ რამდენიმე, არაუმეტეს სამი პასუხი, რომელიც მიგაჩნიათ უფრო მნიშვნელოვნად)

- A. მინდა ბევრი ვიცოდე
- B. მომწონს სწავლის პროცესი
- C. მივიღო კარგი შეფასებები

- D. მიზრადმიმართული ცუდი შედეგებისთვის
- E. დავიმსახურო მასწავლებლის მოწონება
- F. გავახარო მშობლები
- G. არ ჩამოვრჩე თანაკლასელებს
- H. დავიმსახურო მეგობრების მოწონება და პატივისცემა

4. ხშირად ხარ ისეთ მდგომარეობაში, როცა გაკვეთილზე არაფრის გაკეთება არ გინდა?  
(შემოხაზეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

A. ყოველთვის      B. ხშირად      C. არც თუ ისე ხშირად      D. არასდროს

5. რამდენად მოგწონს მათემატიკა?  
(მონიშნეთ თითოეულ სტრიქონში ერთი პასუხი „+“ სიმბოლოთი)

N		A. ძირითადად ვეთანხმები	B. უფრო მეტად ვეთანხმები	C. უფრო მეტად არ ვეთანხმები	D. ძირითადად არ ვეთანხმები
5.1	მსიამოვნებს მათემატიკის სწავლა				
5.2	ვისურვებდი, რომ მათემატიკა საერთოდ არ მქონდეს სასწავლო				
5.3	მათემატიკა მოსაწყენია				
5.4	მათემატიკაში ბევრ საინტერესოს ვსწავლობ				
5.5	მიყვარს მათემატიკა				
5.6	ველოდები მათემატიკის გაკვეთილებს				
5.7	მომწონს ნებისმიერი დავალება, რომელიც რიცხვების გამოყენებაზეა				

6. როგორ ფიქრობთ, რამდენად სასარგებლოა მათემატიკის შესწავლა?  
(შემოხაზეთ ის რიცხვი, რომელიც მეტად გამოხატავს თქვენს მოსაზრებას )

უსასარგებლო      1   2   3   4   5   6   7      სასარგებლო

(სურვილის შემთვევაში გთხოვთ დატოვოთ კომენტარი) -----  
-----

7. როგორ სწავლობ მათემატიკას?  
(შემოხაზეთ რამდენიმე პასუხი)

- A. მათემატიკის საკითხებს სწრაფად ვსწავლობ
- B. მათემატიკა ჩემთვის სხვა საგნებზე რთულია
- C. მათემატიკის სწავლა მანერვიულებს
- D. მათემატიკაში ჩემ კლასელებზე სუსტი ვარ
- E. მათემატიკაში ძლიერი ვარ
- F. მათემატიკის საკითხები მაბნევს
- G. ჩვეულებრივ კარგად ვსწავლობ მათემატიკას
- H. სხვა (დააკონკრეტეთ) -----

8. როგორ შეაფასებდით მათემატიკის მასწავლებელთან ურთიერთობას?  
(შემოხაზეთ მხოლოდ სამი პასუხი, რომელიც უფრო მნიშვნელოვნად მიგაჩნია)

- A. მასწავლებელი პატივს სცემს ჩემს აზრს
- B. მასწავლებელი მეხმარება სირთულეების დაძლევაში
- C. მასწავლებელი ხშირად მიყვირის გაკვეთილზე
- D. მასწავლებელი ბრაზდება, როცა შეცდომას ვუშვებ
- E. მომწონს მასწავლებელთან საუბარი სხვადასხვა თემაზე
- F. მასწავლებელი ჩემთვის ავტორიტეტული პიროვნებაა
- G. მასწავლებლის აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანი არ არის

9. შეაფასე რამდენად გაქვს რწმენა, რომ შეძლებ რთული დავალებების შესრულებას მათემატიკაში?  
1                      2                      3                      4                      5

10. შეაფასე გულმოდგინედ აკეთებ მათემატიკაში დავალებებს თუ ზერელედ?  
ზერელედ                      1                      2                      3                      4                      5                      გულმოდგინედ

11. როგორი სასწავლო საქმიანობა იწვევს შენს დაინტერესებას და გააქტიურებას?  
(მონიშნე რამდენიმე პასუხი)

- A. როცა ვისმენ მასწავლებლის ახსნას და თანაკლასელების პრეზენტაციებს
- B. როცა ვმონაწილეობ დისკუსიაში და ვპასუხობ კითხვებს
- C. როცა გამოვთქვამ ვარაუდებს და ვასაბუთებ საკუთარ აზრს
- D. როცა ვთამაშობთ და ვეჯიბრებით სხვებს
- E. როცა ვთამაშობთ და არ ვეჯიბრებით სხვებს
- F. როცა ვმუშაობთ პროექტზე ერთობლივად
- G. როცა ვმუშაობ ჯგუფთან და ვსწავლობთ ერთმანეთისაგან
- H. როცა ვმუშაობ მარტო, დამოუკიდებლად
- I. როცა ვაკეთებ ჩემი ხელით რაიმეს (ვზომავ, ვჭრი, ვქმნი ფიგურებს, ვხატავ სქემას და სხვა)
- J. როცა სწავლისთვის ვიყენებთ თვალსაჩინოებებს (ვიდეო, ელექტრონულ რესურსებს, ბუკი, პლაკატი, სქემა, ცხრილი და სხვ.)
- K. სხვა (დაასახელე) -----

12. როგორ ფიქრობ რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა, რომ გაიზარდოს შენი სურვილი ისწავლო მათემატიკა?

- -----
- -----
- -----
- -----
- -----

13. რითი ხარ დაკავებული თავისუფალ დროს? რა გიტაცებს? რაზე ოცნებობ?  
(აღნიშნე შენი ჰობი, სკოლის გარეშე საქმიანობები, მომავალი პროფესია)

-----  
-----  
-----

მადლობა მონაწილეობისთვის! ☺ ☺ ☆

შევსების თარიღი: -----



დანართი N7. ინტერვენციის შეფასების გაკვეთილზე დაკვირვების გეგმა

### გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა

გაკვეთილზე დაკვირვების აღნიშნული ინსტრუმენტი შემუშავებულია სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის NI საჯარო სკოლის 4 კლასის მათემატიკის მასწავლებლის მიერ. დაკვირვების მიზანია გავიგოთ თუ როგორ და რამდენად შეიცვალა მოსწავლეთა ინტერესი და ჩართულობა მათემატიკის გაკვეთილზე კვლევის ინტერვენციების დანერგვის პროცესში. გაზარდა თუ არა სწავლების გამრავალფეროვნებამ, მოსწავლეთა ავტონომიურობის გაზრდამ და წახალისების ახალმა სტრატეგიამ მათი მოტივაცია.

თარიღი: -----

კვირის დღე: -----

მოსწავლეთა რაოდენობა: -----

გაკვეთილზე გამოყენებული სწავლების მეთოდ(ებ)ი/სტრატეგი(ებ)ი/მიდგომ(ებ)ი -----

-----  
-----

N	საკითხი	დიახ	არა	ნაწილო ბრივ	მოსწავლეთა რაოდენობა	შენიშვნა
1	სასწავლო თემა საინტერესოა მოსწავლეებისთვის					
3	მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული საგაკვეთილო პროცესში					
4	სასწავლო მეთოდი/სტრატეგია იწვევს მოსწავლეთა დაინტერესებას					
5	მოსწავლეები ხალისით ერთვებიან ჯგუფურ მუშაობაში და მოსწონთ ერთმანეთისაგან სწავლა					
6	მოსწავლეები ყურადღებას ინარჩუნებენ მთელი საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში					

7	მოსწავლეებს მოსწონთ არჩევანის უფლების მიცემა დავალებების არჩევისას					
7	მოსწავლეები ირჩევენ ადვილ დავალებებს, რადგან არ არიან დარწმუნებული საკუთარ წარმატებაში (თავს არიდებენ )					
8	მოსწავლეები ირჩევენ რთულ დავალებებს და აქვთ სურვილი გამოსცადონ საკუთარი თავი					
10	მოსწავლეები არ შფოთავენ შეცდომების დაშვების გამო					
11	მოსწავლეებს მოსწონთ მასწავლებლის პოზიტიური და გამამხნეველი კომენტარები					
12	მოსწავლეებს მოსწონთ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ვიზუალური მასალის გამოყენება სასწავლო რესურსად					
13	მოსწავლეები მუშაობენ დამოუკიდებლად სხვების დახმარების გარეშე					
17	მოსწავლეები აქტიურდებიან მასწავლებლის შექების ან სხვა წამახალისებლების შედეგად					
18	მოსწავლეთა უკუკავშირი პოზიტიურია გაკვეთილის ბოლოს					



დანართი N8. ინტერვენციის შეფასების სადისკუსიო გეგმა მშობლებთან ფოკუს ჯგუფისათვის

### მშობლებთან ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმა (ინტერვენციის შეფასება)

მოცემული სადისკუსიო გეგმა შემუშავებულია სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის 4 კლასის მათემატიკის მასწავლებლის მიერ. მისი მიზანია კვლევის ინტერვენციის შეფასება მშობლების მიერ.

N	შეკითხვა	კომენტარები
1	რამდენად ეცნობით კვლევის მიმდინარეობის/ინტერვენციების შესახებ ჩემ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას დახურულ სოციალურ ჯგუფში?	
2	მოგწონთ თუ არა ვიდეოსწავლების მეთოდი საშინაო დავალებად? რატომ? რატომ არა?	
4	რომელმა ინტერვენციამ განაპირობა მოსწავლის ჩართულობის გაზრდა თქვენი აზრით?	
5	როდის ასრულებს მოსწავლე მათემატიკის საშინაო დავალებას? მეცადინეობის დასაწყისში თუ ბოლოს?	
6	როგორ ფქრობთ, თქვენმა ჩართულობამ სასწავლო აქტივობებში (პროექტი/ გასვლითი გაკვეთილი და სხვ.) რამდენად გაზარდა თქვენი შვილის მოტივაცია?	
7	თქვენი აზრით, ამაღლდა თუ არა თქვენი შვილის სწავლის მოტივაცია განხორციელებული აქტივობების შედეგად ?	

თარიღი: -----

მშობლები:

დანართი N9. ინტერვენციის შეფასების კითხვარი მოსწავლეთა ანკეტირებისთვის

## ანკეტა 4<sup>ა</sup> კლასის მოსწავლეებისთვის (ინტერვენციის შეფასება)

**მოგესალმებით,** მათემატიკის მასწავლებელი - ლია შოთაძე.

გთხოვთ, მონაწილეობა მიიღოთ კვლევის „როგორ ავამაღლოთ სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის 4<sup>ა</sup> კლასის მოსწავლეებში მათემატიკის სწავლის მოტივაცია“ ინტერვენციის შეფასების გამოკითხვაში და უპასუხოთ შეკითხვებს გულწრფელად და ყურადღებით, რაც დამეხმარება გავიგო რა შედეგები მოყვა ჩემ მიერ განხორციელებულ ჩარევას, რამდენად შეიცვალა თქვენი ინტერესი, დამოკიდებულება, ჩართულობა და ზოგადად, მოტივაცია მათემატიკის სწავლისადმი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი წარმატებისათვის.

გამოკითხვა ანონიმურია. კითხვარი უნდა შეავსოთ ბოლომდე და დააკვირდეთ ანკეტის შევსების ინსტრუქციებს.

## კითხვარი

1. რომელი სასწავლო მეთოდი/აქტივობა მოგეწონა ყველაზე მეტად?

(შემოხაზეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

- O. „სასწავლო გაჩერებები“
- P. ჯგუფური პროექტები
- Q. თამაში კონკურენციის გარეშე
- R. რუბრიკა „სახალისო წუთი“
- S. რუბრიკა „სასაუბრო თემა“
- T. გასვლითი გაკვეთილი (ხარჯთაღრიხვა)
- U. ვიდეოსწავლება, როგორც საშინაო დავალება

2. რომელ სასწავლო აქტივობაში ჩაერთე ხალისით აქტიურად?

(მონიშნეთ რამდენიმე პასუხი, რომელიც მიგაჩნიათ უფრო მნიშვნელოვნად)

- T. „სასწავლო გაჩერებები“
- U. ჯგუფური პროექტები
- V. თამაში კონკურენციის გარეშე
- W. რუბრიკა „სახალისო წუთი“
- X. რუბრიკა „სასაუბრო თემა“
- Y. გასვლითი გაკვეთილი (ხარჯთაღრიხვა)

3. რომელი სასწავლო აქტივობისას შეძელი ახალი მასალის უკეთ გაგება და დავალებების საუკეთესოდ შესრულება?

(შემოხაზეთ ერთი პასუხი)

- A. „სასწავლო გაჩერებები“
- B. ჯგუფური პროექტები
- C. თამაში კონკურენციის გარეშე
- D. გასვლითი გაკვეთილი (ხარჯთაღრიხვა)
- E. ვიდეო გაკვეთილებით შინ სწავლება

4. უკეთ და მეტი პასუხისმგებლობით ასრულებ დავალებებს, როცა მათ ირჩევ საკუთარი სურვილის მიხედვით?

- A. დიახ                      B. არა                      C. ნაწილობრივ

5. შეაფასე როგორ დავალებებს ირჩევდი „მე ვირჩევ“ აქტივობის დროს?

მარტივი      1      2      3      4      5      რთული

6. როგორ სწავლობ მათემატიკას?

(შემოხაზეთ რამდენიმე პასუხი)

- I. მათემატიკის საკითხებს სწრაფად ვსწავლობ
- J. მათემატიკა ჩემთვის სხვა საგნებზე რთულია
- K. მათემატიკის სწავლა მანერვიულებს
- L. მათემატიკაში ჩემ კლასელებზე სუსტი ვარ
- M. მათემატიკაში ძლიერი ვარ
- N. მათემატიკის საკითხები მაბნევს
- O. ჩვეულებრივ კარგად ვსწავლობ მათემატიკას

7. ჯგუფური პროექტებით სწავლებამ გააუმჯობესა თანაკლასელებთან შენი ურთიერთობა?

- A. დიახ                      B. არა                      C. ნაწილობრივ

8. დაგეხმარათ თუ არა მასწავლებლის პოზიტიური და გამამხნეველი კომენტარები დავალებების შესრულებისას?

- A. დიახ                      B. არა                      C. ნაწილობრივ

9. შეაფასე რამდენად მოგწონს წახალისების „ბონუს“ სისტემა?

ნაკლებად      1      2      3      4      5      ძალიან

10. გაიზარდა თუ არა მათემატიკის საგნისადმი შენი ინტერესი?


- A. დიახ                      B. არა                      C. ნაწილობრივ

მადლობა მონაწილეობისთვის! ☺ ☺ ☆

შევსების თარიღი: -----



### კითხვა N3. როგორ ფიქრობთ, რა ღირებულება აქვს მათემატიკას?



### კითხვა N4 რამდენად რთულია მათემატიკის საშინაო დავალებების შესრულება თქვენი შვილისთვის?

E. ვერ გავცემ პასუხს, რადგან ვერ ვიცლი მისი დავალების შესამოწმებლად;

1

D. რთულია, თუმცა არ ითხოვს დახმარებას და დიდი ძალისხმევა...

1

C. რთულია, ნერვიულობს ამაზე, ითხოვს დახმარებას და იძულებული...

2

B. ნაწილობრივ რთულია, ითხოვს დახმარებას, ვეხმარები მხოლოდ...


9

A. არ არის რთული, არ ითხოვს დახმარებას, დამოუკიდებლად და...

9


0 1 2 3 4 5 6 7 9 10

კითხვა N5. რამდენად მისაღებია თქვენთვის, საგაკვეთილო პროცესის დამთავრების შემდეგ, დამატებითი მეცადინეობების (ნახევარ საათიანი) ჩატარება საშინაო დავალების ხარისხიანად შეუსრულებლობის გამო გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად?




- 1 - ძალიან მიუღებელი
- 2 - ნაწილობრივ მიუღებელია
- 3 - არც მისაღებია და არც მიუღებელი
- 4 - ნაწილობრივ მისაღებია
- 5 - ძალიან მისაღებია


კითხვა N6. როგორ შეაფასებდით თქვენი შვილის მათემატიკის შესწავლის ხარისხს?



**კითხვა N7. თქვენი აზრით, რა სირთულეები აქვს თქვენს შვილს მათემატიკაში, რა საკითხები უჭირს?**




**კითხვა N8. როგორ შეაფასებდით თქვენი შვილის ყურადღების კონცენტრაციის უნარს გაკვეთილზე?**




- A. ყურადღებიანი იქნება მთელი გაკვეთილის განმავლობაში
- B. ყურადღებას შეინარჩუნებს გაკვეთილის დაწყებისას პირველი 20 წუთის განმავლობაში
- C. ნაკლებად კონცენტრირებულია გაკვეთილის დაწყებიდან 20 წუთის შემდეგ
- D. გაუჭირდება ყურადღების მობილიზება თუ არ არის მისთვის საინტერესო აქტივობა
- E. ზოგადად უყურადღებოა, ხშირად ეფანტება ყურადღება და გადაერთვება ხოლმე სხვა
- F. ვერ შეაფასებ, რადგან არ დაკვირვებია მისი ყურადღების კონცენტრაციის უნარის ფლობას


**კითხვა N9. თქვენი აზრით, რა გამოიწვევს თქვენი შვილის ინტერესს აქტიურად ჩაერთოს მთელი გაკვეთილის განმავლობაში**



**კითხვა N10. რითია დაკავებული თქვენი შვილი თვისუფალ დროს? რა იტაცებს? რაზე ოცნებობს?**




### კითხვა N3. ვსწავლობ იმიტომ, რომ:




- A. მინდა ბევრი ვიცოდე
- B. მომწონს სწავლის პროცესი
- C. მივიღო კარგი შეფასებები
- D. მიზრადებიან ცული შედეგებისთვის
- E. დავიმსახურო მასწავლებლის მოწონება
- F. გავახარო მშობლები
- G. არ ჩამოვრჩე თანაკლასელებს
- H. დავიმსახურო მეგობრების მოწონება და პატივისცემა

### კითხვა N4. ხშირად ხარ ისეთ მდგომარეობაში, როცა მათემატიკის გაკვეთილზე არაფრის გაკეთება არ გინდა?






## კითხვა N6. როგორ ფიქრობთ, რა მნიშვნელობა აქვს მათემატიკის შესწავლას?




## კითხვა N7. როგორ სწავლობ მათემატიკას?




- A. მათემატიკის საკითხებს სწრაფად ვსწავლობ
- B. მათემატიკა ჩემთვის სხვა საგნებზე რთულია
- C. მათემატიკის სწავლა მანერვიულებს
- D. მათემატიკაში ჩემ კლასელებზე სუსტი ვარ
- E. მათემატიკაში ძლიერი ვარ
- F. მათემატიკის საკითხები მაბნევს
- G. ჩვეულებრივ კარგად ვსწავლობ მათემატიკას


### კითხვა N8. როგორ შეაფასებდით მათემატიკის მასწავლებელთან ურთიერთობას?



### კითხვა N9. შეაფასე რამდენად გაქვს რწმენა, რომ შეძლებ რთული დავალებების შესრულებას მათემატიკაში?




## კითხვა N10 შეაფასე გულმოდგინედ აკეთებ მათემატიკაში დავალებებს თუ ზერელედ?




## კითხვა N11. როგორი სასწავლო საქმიანობა იწვევს შენს დაინტერესებას და გააქტიურებას?


- A. როცა ვისმენ მასწავლებლის ახსნას და თანაკლასელების პრეზენტაციებს
- B. როცა ვმონაწილეობ დისკუსიაში და ვპასუხობ კითხვებს
- C. როცა გამოვთქვამ ვარაუდებს და ვასაბუთებ საკუთარ აზრს
- D. როცა ვთანამშობთ და ვეჯიბრებით სხვებს
- E. როცა ვთანამშობთ და არ ვეჯიბრებით სხვებს
- F. როცა ვმუშაობთ პროექტზე ერთობლივად
- G. როცა ვმუშაობ ჯგუფთან და ვსწავლობთ ერთმანეთისაგან
- H. როცა ვმუშაობ მარტო, დამოუკიდებლად
- I. როცა ვაკეთებ ჩემი ხელით რაიმეს (ვზომავ, ვჭრი, ვქმნი ფიგურებს, ვხატავ სქემას და სხვა)
- G. როცა სწავლისთვის ვიყენებთ თვალსაჩინოებებს (ვიდეო, ელექტრონულ რესურსებს, ბუკი, პლაკატი, სქემა, ცხრილი და სხვ.)




## კითხვა N12. როგორ ფიქრობ რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა, რომ გაიზარდოს შენი სურვილი ისწავლო მათემატიკა?




## კითხვა N13. რითი ხარ დაკავებული თავისუფალ დროს? რა გიტაცებს? რაზე ოცნებობ?




### კითხვა N2. რომელ სასწავლო აქტივობაში ჩაერთე ხალისით აქტიურად?




### კითხვა N3. რომელი სასწავლო აქტივობისას შეძელი ახალი მასალის უკეთ გაგება და დავალებების საუკეთესოდ შესრულება?




კითხვა N4. უკეთ და მეტი  
პასუხისმგებლობით ასრულებ დავალებებს,  
როცა მათ ირჩევ საკუთარი სურვილის  
მიხედვით?



კითხვა N5. შეაფასე როგორ დავალებებს  
ირჩევდი „მე ვირჩევ“ აქტივობის დროს?




## კითხვა N6. როგორ სწავლობ მათემატიკას?




- A მათემატიკის საკითხებს სწრაფად ვსწავლობ
- B მათემატიკა ჩემთვის სხვა საგნებზე რთულია
- C მათემატიკის სწავლა მანერვიულებს
- D მათემატიკაში ჩემ კლასელებზე სუსტი ვარ
- E მათემატიკაში ძლიერი ვარ
- F მათემატიკის საკითხები მაბნევს
- G ჩვეულებრივ კარგად ვსწავლობ მათემატიკას

## კითხვა N7. ჯგუფური პროექტებით სწავლებამ გააუმჯობესა თანაკლასელებთან შენი ურთიერთობა?




- A. დიახ
- B. არა
- C. ნაწილობრივ

კითხვა N8. დაგეხმარათ თუ არა მასწავლებლის  
პოზიტიური და გამამხნეველი კომენტარები  
დავალებების შესრულებისას?



კითხვა N9. შეაფასე რამდენად მოგწონს წახალისების  
„ბონუს“ სისტემა?





## გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. ჯანელიძე, ლაბარტყავა ნ, კვირიკაშვილი ვ, ქობალია ქ, „მასწავლებელია წიგნი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2014; რედაქტორები: ნ. ინგოროყვა, ი. კაკაბაძე, სტილისტი: ი. ტაველიძე, მხატვრები: მ. ტყეშელაშვილი, კ. თოფურია, დიზაინერი: ბ. დანელია;
2. გ. გახელაძე, ელბაქიძე ნ. ინასარიძე მ. ლაბარტყავა ნ. ლაღიზე ა. ლობჯანიძე ს. მელიქიშვილი მ. რატიანი მ. ჟღენტი კ. „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის გზამკვლევი დანართი“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2014, რედაქტორი: მ. ინასარიძე, დიზაინი: ბ. დანელია, პროექტის ხელმძღვანელი: ნ. ელბაქიძე;
3. გ. ნოზაძე, „საგნობრივ შედეგებზე ორიენტირებული გაკვეთილების დაგეგმვა“ <http://mastsavlebeli.ge/?p=2502>, 5 ივლისი, 2012, ნანახია 25.03.2019;
4. გ. შუბლაძე, მღებრიშვილი ბ. წოწკოლური ფ. „მენეჯმენტის საფუძვლები“, ელ-წიგნი, მესამე განყოფილება, თავი 13.1, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, გამომცემლობა: უნივერსალი, 2008. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00--off-0ekonomik--00-1---0-10-0--0--0prompt-10---4-----0-11--11-ka-50--20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL2.10&d=HASH473087b171f34317cbf26b.4.4.1&gt=1>, ნანახია 07.03.2019;
5. „დამატებითი აქტივობანი რემედიაციის გაკვეთილებისთვის“, საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი, საკითხავი მასალა #4.1.2, 2017;
6. დაწყებითი განათლების პროექტის „G-pried“, ელექტრონული კურსები (მათემატიკის სწავლების ინოვაციური მეთოდები (I-IV), სესია #1: „მათემატიკის ინტერაქტიული კონსტრუქტივისტული სწავლება და ეფექტიანი გარემო“, <http://kargiskola.ge/downloadsesia.php>, ნანახია 05.04.2019;
7. დაწყებითი განათლების პროექტის „G-pried“, ელექტრონული კურსები (მათემატიკის სწავლების ინოვაციური მეთოდები (I-IV), სესია #4 „საკითხის სწავლება კონსტრუქტივისტული მეთოდის გამოყენებით“, <http://kargiskola.ge/downloadsesia.php>, ნანახია 05.04.2019;

8. დ. პატარაია, ჯიბლაძე მ. „TIMS 2011 -მათემატიკა, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების კვლევა, მოსწავლეთ მიღწევები მათემატიკაში და მასზე მოქმედი ფაქტორები“, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, [https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/timss\\_2011-%20math\\_final.pdf](https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/timss_2011-%20math_final.pdf) , ნანახია 05.02.2019;
9. დ. უზნაძე, „ზოგადი ფსიქოლოგია“, თბილისი, ნანახია 5.09.1940, <https://interesi.files.wordpress.com/2017/11/e18393e18398e1839be18398e183a2e183a0e18398-e183a3e18396e1839ce18390e183abe18394-e18396e1839de18392e18390e18393e18398-e183a4e183a1.pdf> , ნანახია 05.03.2019;
10. ენციკლოპედიური ლექსიკონი CIVIL (ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები № 2, - [რედაქტორი: ამირან ბაბუნაშვილი], - ISSN 1512-4487 - აპრილი, 2007) <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=11959>, ნანახია 14.03.2019;
11. ეროვნული სასწავლო გეგმა, (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018 წ.);
12. ვ. ჯანიაშვილი, აბესაძე მ. „მორალური განვითარების სტადიები და კვლევა სასკოლო ასაკის ბავშვებში“, ელექტრონული ჟურნალი „მასწავლებელი“, 31 ივლისი 2014, <http://mastsavlebeli.ge/?p=1942> , ნანახია 21.03.2019;
13. თ. გაგომიძე, „შუა ბავშვობა (6-11 წლის ბავშვის ასაკობრივი განვითარება, აღზრდა და სწავლება“, 31.10. 2017, <https://www.wvi.org/article/%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%90-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-6%E2%80%9311-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90->

[%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-0](#) , ნანახია 15.03.2019;

14. თ. კაციტაძე „ლორენს კოლბერგის რჩევები ბავშვის აღზრდის თაობაზე“, ელ. ჟურნალი „მასწავლებელი“, 17 სექტემბერი, 2012, <http://mastsavlebeli.ge/?p=2486> , ნანახია 21.03.2019;
15. თ. მოსიაშვილი, „ცნობისმოყვარეობიდან ცოდნისმოყვარეობამდე“, ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“, <http://mastsavlebeli.ge/?p=1731> , 31 მარტი 2015, ნანახია 03.02.2019;
16. ი. აბულაძე, „მოტივაცია თეორიასა და პრაქტიკაში“, 24 ივნისი 2014, <http://mastsavlebeli.ge/?p=1982> , ნანახია 07.04.2019;
17. ი. კუტალაძე, მიმინოშვილი მ. „მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების წავლისა და სწავლების საერთშორისო კვლევის TIMSS 2007-ის ანგარიში“ მათემატიკა, გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2009. ენობრივი რედაქცია: ლ.კაჭარავა, თ. დულარიძე, დიზაინი: ქ. ხარებავა, კვლევის კოორდინატორები საქართველოში: დ. პატარაია, მ. ჯიბლაძე. [https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/timss\\_2007\\_matematika\\_2013.pdf](https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/timss_2007_matematika_2013.pdf) , ნანახია 05.02.2019;
18. ი. კუტალაძე, TIMSS 2007-2015 მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების წავლისა და სწავლების საერთშორისო კვლევა „მათემატიკის სწავლა-სწავლების შესაძლებლობები და შედეგები“, 2017, კვლევის განმახორციელებელი: ათსწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო, კვლევის კოორდინატორები: დ. გაბელაია, მ. ჯიბლაძე, მონაცემთა ბაზების მენეჯერი და რედაქტორი: თ მიმინოშვილი, სამეცნიერო რედაქცია: მ. მანია, დიზაინი: ქ. არებავა, ენობრივი რედაქცია: ნ. გორდელაძე. [https://naec.ge/uploads/postData/KVLEVEBI/TIMSS\\_2007-2015.pdf](https://naec.ge/uploads/postData/KVLEVEBI/TIMSS_2007-2015.pdf); ნანახია 10.02.2019;
19. ი. კუტალაძე, „TIMSS 2011 - ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე მათემატიკაში (II ნაწილი)“, ინტერნეტგაზეთი „ახალი განათლება“, [http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi\\_id=2&id=222](http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=2&id=222), 2013-12-06, ნანახია 15.02.2019;
20. „ინკლუზიური განათლება გზამკვლევი მასწავლებლებისათვის“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმების შეფასების ცენტრი 2009, რედაქტორი: მ. მიქელაძე, მხატვარი-დიზაინერი: ბ. ოჩიაური, ფოტოგრაფი: ნ. გრგალაშვილი, დამკაზადონებელი: ქ. გოგავა.

- <http://ncp.ge/files/inclusion%20education/wignebi/I%20N%20K%20L%20U%20Z%20I%20A.pdf>, ნანახია 20.02.2019;
21. ლ. ხეჩუაშვილი, „პიროვნება - შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში I, თბილისი, 2013, (<https://tsulearn.files.wordpress.com/2014/12/e183a8e18394e183a1e18390e18395e18390e1839ae18398-e1839ee18398e183a0e1839de18395e1839ce18394e18391e18398e183a1-e183a4e183a1e18398e183a5.pdf>), ნანახია 14.03.2019;
22. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი - <https://edu.aris.ge/news/maswavleblis-ganaxlebuli-profesiuli-standarti-damtkicda-dokumenti.html>, 12 ივნისი, 2017, ნანახია 21.03.2019;
23. მ. გაბაშვილი, „ეფექტიანი სწავლება თეორია და პრაქტიკა, თავი VI –მოსწავლეთა მოტივაცია, გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010, რედაქტორი: ი. კუტალაძე, სარედაქციო კოლეგია: ნ. იმედაძე, ფარანაძე დ. მირიანაშვილი მ. გორდელაძე ნ. გაგომიძე თ. ენობრივი რედაქცია: თ. დულარიძე, დიზაინი: ს. ბახუტაშვილი.
24. მ. ინასარიძე, ლობჯანიძე ს. რატიანი მ. სამსონია ი. „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“, ნაწილი I, თვი IV, მასწავლებელთ პროფესიული განვითარების ცენტრი, 2015;
25. მ. მელიქიშვილი, „დimitრი უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013, რედაქტორები: ნ. ნაცვლიშვილი, ნ. ლაბარტავა.
26. მ. წერეთლი, „განათლების ფსიქოლოგია რიდერი, ნაწილი IV, მოტივაცია საკლასო ოთახში“, 2016, [https://tsu.ge/data/file\\_db/faculty\\_psychology/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%204.pdf?fbclid=IwAR2bMrvxPedM\\_ItxSdzLrM6O2g3P-XKtNbMP52sa8yhaGoFQBp4C-hrN7CU](https://tsu.ge/data/file_db/faculty_psychology/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%204.pdf?fbclid=IwAR2bMrvxPedM_ItxSdzLrM6O2g3P-XKtNbMP52sa8yhaGoFQBp4C-hrN7CU), ნანახია 15.02.2019;
27. მ. წერეთლი, „განათლების ფსიქოლოგია რიდერი, ნაწილი II-III“, 2016, მოტივაციის თეორიები“ [https://www.tsu.ge/data/file\\_db/faculty\\_psychology/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%202-3.pdf?fbclid=IwAR1hJUIP4Gaa2r8Wmb2ETbEPiLSBaKR633OJ8-Ycb3vsODXEO-PiogPtVg](https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_psychology/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%202-3.pdf?fbclid=IwAR1hJUIP4Gaa2r8Wmb2ETbEPiLSBaKR633OJ8-Ycb3vsODXEO-PiogPtVg) , ნანახია 09.02.2019;

28. მ. ხუნძაყიშვილი, ბივერი ს, „განმავითარებელი შეფასება დიფერენცირებული სწავლება“, სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, სსიპ მასწავლებელთა განვითარების პროფესიული ცენტრი, 2018წ. გუგუშვილი, CSS ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, 2016 (გამოყენებული ლიტერატურა: გერიგი; ზიმბარდო (2009) ფსიქოლოგია და ცხოვრება. თსუ, თბილისი; Kazdin, A. E. (Ed.) (2000). Encyclopedia of psychology. 8 Volume Set. Vol. 1), <http://dictionary.css.ge/content/motivation>, ნანახია 14.03.2019;
29. ნ. დალაქიშვილი, ერაძე კ. ლობჯანიძე ს. მელიქიშვილი მ. „პედაგოგიური გზამკვლევი პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, გაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი, 2016, პროექტის ხელმძღვანელი ნ. ელბაქიძე, რედაქტორები: მ. ინასარიძე, ელბაქიძე ნ. გულუა თ. დიზაინი: ბ. დანელია, პროექტის კოორდინატორი: თ. გულუა, დაიბეჭდა შპს „სეზანში“.
30. ნ. ჯანაშია, იმედაძე ნ. გორგოძე ს. „განვითარებისა და სწავლის თეორიები“ (დამხმარე სახელმძღვანელო I ნაწ.), 2009, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი 2008, საკონსულტაციო საბჭო: ნ. ნაცვლიშვილი, ს. ჯანაშია, რედაქტორები: ნ. ნაცვლიშვილი, ს. გორგოძე, ილუსტრაცია, დიზაინი: გ. გამეზარდაშვილი, კომპ. უზრუნველყოფა: თ. გოდერძიშვილი, პროექტის კოორდინატორი: ე. გველესიანი;
31. რ. ტყემალაძე, დალაქიშვილი ნ. თოფაძე ქ. პაჭკორია თ. ბუწაშვილი თ. „სწავლება და შეფასება, დამხმარე სახელმძღვანელო II“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009, რედაქტორები: ნ. ნაცვლიშვილი, ს. გორგოძე, ილუსტრაცია: გ. გამეზარდაშვილი, კომპ. უზრუნველყოფა: თ. გოდერძიშვილი, პროექტის კოორდინატორი: ე. გველესიანი;
32. რ. ჯ.მარზანო, ფიქერინგი დ.ჯ, ფოლოქი ჯ, „ეფექტური სწავლება სკოლაში: კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები, რომლებიც აუმჯობესებენ ოსწავლეთ აკადემიურ მოსწრებას“, სასწავლო გეგმების შემუშავებისა და მენტორობის ასოციაცია (ASCD) ალექსანდრია, ვირჯინია, აშშ. მთრგმნელი: მ. ჩარქსელიანი, რედაქტორები: ნ. ნაცვლიშვილი, ს. გორგოძე, ყდის დიზაინი და დაკაზადონება: გ. ბაგრატიონი, პირველი ქართული გამოცემა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009.

33. ს. გორგოძე, „ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი“, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2012. <http://cdi.org.ge/uploads/pages/usafrtxo-skolis-gzamkvlevi-72.pdf>, ნანახია 21.03.2019;
34. „სწავლების დიფერენცირება მოსწავლეთა მზაობის, ინტერესებისა და სასწავლო პროფილების მიხედვით“, საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი, საკითხავი მასალა #8.4.1, 2017;

## კვლევის რეფლექსია

ჩემ მიერ ჩატარებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის „როგორ ავამაღლოთ სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის 4<sup>ე</sup> კლასის მოსწავლეებში მათემატიკის სწავლის მოტივაცია“ ანგარიში გავაცანი და მისი შედეგები გავუზიარე სკოლის დაწყებითი საფეხურის, მათემატიკის კათედრისა და საკვლევის კლასის საგნის პედაგოგებს და დამრიგებელს. აგრეთვე, კვლევის მიმდინარეობის პროცესში, კვლევის სხვადასხვა ეტაპზე მიღწეულ შედეგებს მოკლედ ვაცნობდი საკვლევი კლასის მოსწავლეების მშობლებს სოციალურ გვერდ „facebook“-ის მშობელთა დახურული ჯგუფში.

მასწავლებლებთან საპრეზენტაციო შეხვედრა გაიმართა 2019 წლის 18 ივნისს, სკოლის „კინო კლუბის“ კაბინეტში. შეხვედრას ესწრებოდა 14 პედაგოგი, რომლებთანაც, კვლევის ანგარიში წარვადგინე ელექტრონული პრეზენტაციის ფორმით, ხოლო, თითოეულ დაინტერესებულ პედაგოგს, შემდგომში, კვლევის ანგარიში გადავუგზავნე ელექტრონულ ფოსტაზე.

პრეზენტაცია მიმდინარეობდა ინტერექტიულ რეჟიმში, პედაგოგები სვამდნენ შეკითხვებს მათთვის საინტერესო საკითხებზე, როგორც კვლევის დაგეგმვის, მონაცემების მოპოვების, ინტერვენციების განხორციელებისა და შეფასების მიმართულებით, ასევე, გამოცდილებიდან გამომდინარე, აღნიშნული მიდგომით პრობლემების მოგვარებისა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიმართ ჩემი დამოკიდებულების შესახებ. ვფიქრობ, კვლევის ფარგლებში მიღებული საკმაოდ ღრმა და საფუძვლიანი გამოცდილების გათვალისწინებით ამომწურავად შევძელი პასუხების გაცემა მასწავლებელთა დასმულ შეკითხვებზე, რაზეც დადებითი გამოხმაურებაც მივიღე დადებითი კომენტარების სახით.

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საკვლევი საკითხი მნიშვნელოვანი და აქტუალურია თითოეული მათგანისთვის და ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის გათვალისწინება შესაძლებელია არა მხოლოდ მოტივაციაზე მოქმედი ფაქტორების, კვლევის შედეგებისა და რეკომენდაციების ნაწილში, არამედ დაგეგმვის ეტაპზე შემუშავებული კვლევის ინსტრუმენტების (ანკეტირების კითხვარი, ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმა, დაკვირვების ცხრილი) გაზიარების მხრივ. აქ, ჩემი აქცენტები უკავშირდებოდა იმ სიფრთხილებს, რაც კვლევის შედეგების განზოგადების მხრივ უნდა გაითვალისწინონ მასწავლებლებმა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემ მიერ დაგეგმილი ინტერვენციები, ზოგადად, შეიძლება დადებითად აისახოს მოსწავლეთა სწავლის მოტივაციაზე, აუცილებლად გასათვალისწინებელია მოტივაციის ინდივიდუალური ხასიათი, თითოეული მოსწავლის პიროვნული ინტერესები და სწავლის სტილი, მათი მორგება სავარჯიშოებისა და დავალებების შინაარსზე, აქტივობებისა და მასალის მიწოდების ფორმის შერჩევა და კლასში, თანატოლთა შორის და მასწავლებელთან ურთიერთობის კონტექსტები.

მასწავლებლებმა საკმაოდ მნიშვნელოვნად მიიჩნიეს და მოიწონეს კვლევის ანგარიშის ლიტერატურის მოძიების ვრცელი და შინაარსიანი ნაწილი, მონაცემთა შეგროვების ეტაპზე შემუშავებული მოსწავლის კითხვარის კითხვების ამომწურავი ხასიათი და სისრულე, ხოლო, ინტერვენციის მარავალფეროვანი გზებიდან მათი ყურადღება მიიპყრო მოსწავლეთა წახალისების „ბონუს ქულების“ სისტემამ, განხორციელებულმა პროექტებმა, „მე ვირჩევ“ აქტივობამ, ვიდუოსწავლების მეთოდის საშინაო დავალებად გამოყენებამ და სწავლების დიფერენცირებული მიდგომის ინსტრუმენტებით მოსწავლეთა თვითდაჯერებულობის გაზრდისა და შინაგანი მოტივაციის ამაღლების კონტექსტში რეაგირებამ. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ იცნობენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომას, იყენებენ კიდევ მის ელემენტებს სწავლების პროცესში, თუმცა მოტივაციის კონტექსტში აღნიშნული საკითხის ნათლად გააზრებას, რეალურად, ხელი შეუწყო კვლევის ანგარიშში წარმოდგენილმა ინტერვენციებისა და მათი შეფასების ანალიზის დეტალურმა განხილვამ.

ანგარიშის წარდგენისას, მასწავლებლებმა, ასევე, აღნიშნეს, რომ საინტერესო იქნებოდა კვლევა ჩატარებულიყო კომპლექსურად, დაწყებითი საფეხურის სხვა საგნებშიც შედეგების განზოგადების მეტი შესაძლებლობის თვალსაზრისით, ასევე, ხაზი გაუსვეს, კვლევის განხორციელებისა და ინტერვენციების დაგეგმვის ეტაპებზე კოლეგების ჩართულობის

საჭიროებასა და მათთან თანამშრომლობის ეფექტურობას რაც, კვლევის აღნიშნულ ეტაპებზე ნაკლებად იყო გამოყენებული ჩემ მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ კვლევაში. აღნიშნული საშუალებას მაძლევს, კარგად დავფიქრდე საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკისა თუ სკოლის საჭიროებების კვლევის საკითხში კოლეგებთან თანამშრომლობის როლზე და გავითვალისწინო შემდგომი კვლევების დაგეგმვისა და განხორციელებისას.

პრეზენტაციის დასასრულს, მასწავლებლებმა გააკეთეს დასკვნა, რომ საკუთარ კლასებში, მოსწავლეთა ინტერესებისა და სწავლის სტილის შესწავლის მიზნით, ჩატარებული მინი კვლევების შედეგების გათვალისწინებით განხორციელებული მოდიფიცირების შემდგომ, აღნიშნული კვლევის შედეგებსა და რეკომენდაციებს აქტიურად გაითვალისწინებდნენ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში.

მასწავლებელთა დადებითი შეფასება, მიღებულ გამოცდილებასთან ერთად, საშუალებას მაძლევს კვლევაზე დაფუძნებული პრობლემის მოგვარების მეთოდი ვაქციო სწავლების ძირითად პრაქტიკად და მომავალში, კოლეგებთან თანამშრომლობით, შევეჭიდო, არა მარტო საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის, არამედ, სკოლის საჭიროების კვლევას სასკოლო პრობლემების მოგვარებისა და საკუთარი თუ კოლეგების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ხელმოწერა:



/ლია შოთაძე/

თარიღი: 20.06.2019